კონდოლიზა რაისი მოსკოვთან ურთიერთობების მოგვარებას შეეცდება A5

"საოჯახო ტოტო" - ცხრილი A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 7 აპრილი, 2003 წელი. №95 (307)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### კომენტარები მოპირდაპირე მხრიდან

სახელისუფლებო ძალები კვლავ პრეზიდენტის ლიდერობით ერთიანდებიან. რამდენად სერიოზულ ძალად მიიჩნევენ სხვა დანარჩენნი ახალ საარჩევნო ბლოკს და როგორ აფასებენ შანსებს მომავალ არჩევნებში?

A2

## უცხოეთი

### ინდოეთი ახალი ბირთვული რაკეტების გამოცდას გეგმავს

გუშინ ინდოეთმა განაცხადა, რომ შორ მანძილზე მოქმედ რაკეტას "აგნი III"-ს გამოცდის, რომელსაც, ექსპერტების თქმით, ბირთვული ქობინების მოსკოვამდე ან შანხაიმდე მიტანა შეეძლება.

A5

## ეკონომიკა

### მთავრობა ენერგოკრიზისს "სპეცთათბირებსაც" აღარ უძღვნის

ერთი თვეა, ენერგოსისტემაში ავარია ავარიაზე ხდება. უკვე მერამდენედ, რუსეთიდან იმპორტი ამ მიზეზით შეწყდა. ამჯერად დამნაშავე ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოწოლილი ზვავი აღმოჩნდა, რომელმაც კინაღამ 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის – "კავკასიონის" ანძები დაიტანა ქვეშ.

A6

## სამართალი

### ყაჩაღები პოლიციელთა შვილებს თანამზრახველის ციხიდან გამოსახსნელად იტაცებდნენ

ბანდიტურმა დაჯგუფებამ, რომელზეც ამჟამად გიამბობთ, პოლიციის მაღალჩინოსნების შვილების გატაცებით გაითქვა სახელი და თითქმის ორი წლის მანძილზე მთელ საქართველოში დაუსჯელად თარეშობდა. ამ ჯგუფს ძმები ბალავაძეები ხელმძღვანელობდნენ.

A7

## ომბუდსმენი

ომის მომხრეები და მოწინააღმდეგეები - გასულ კვირას ამ განსხვავებულ პოზიციებს გაზეთმა საკმაო ადგილი დაუთმო - "24 საათის" პრეს-ომბუდსმენის ორშაბათის ტრადიციული მიმოხილვა.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | |
| ქუთაისი | 22 | |
| ბათუმი | 19 | |
| სოხუმი | 19 | |
| ფოთი | 21 | |
| თელავი | 18 | |
| ზუგდიდი | 22 | |
| გორი | 17 | |
| ახმეტა | 19 | |
| ჭიათურა | 19 | |
| გაგრა | 17 | |
| სამტრედია | 22 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.3396 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4154 |
| რუბლი | 0.0697 |

# სახელისუფლებო ბლოკის მიზანი - უპირობო გამარჯვება





ბესო გულაშვილის ფოტოები

*სახელისუფლებო პარტიების ლიდერები, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე, საქართველოს პრეზიდენტთან დახურულ კონსულტაციებს მართავდნენ. ბუნებრივია, ამ თავყრილობების მთავარი თემა მომავალი საპარლამენტო არჩევნები იყო. ამ შეხვედრებზე უკვე ოფიციალურად გაფორმდა საარჩევნო ბლოკი, რომელსაც თავად საქართველოს პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. ბლოკის საარჩევნო შტაბის უფროსი კი სახელმწიფო მინისტრი, მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე ავთანდილ ჯორბენაძე იქნება.*

თამარ მჭედლიშვილი

ჯერჯერობით, ამ ბლოკის მხოლოდ სამი სუბიექტია ცნობილი – თავად მოქალაქეთა კავშირი, სოციალისტური პარტია და სულ ახლახან ჩამოყალიბებული მოძრაობა "დიდი აბრეშუმის გზით". თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების საარჩევნო ბლოკის რიგებში მხოლოდ ამ სამი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს ვიხილავთ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჰესების ფარული პრივატიზება მაინც გრძელდება

### ყოფილ სოციალისტ პარლამენტარს "ჩითახევჰესი" არ ჰყოფნის

*საქართველოს ჰიდრო-ელექტრო სადგურები ქვეყნის სტრატეგიულ ობიექტებს განეკუთვნება და პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონით პრივატიზებას, პრაქტიკულად, არ ექვემდებარება. ამასთანავე, საქართველოში ახლახან მყოფმა მსოფლიო ბანკის ექსპერტებმაც და სავალუტო ფონდის მისიამაც მთავრობას ჰესების პრივატიზების ან მართვის უფლების გადაცემისგან, ქვეყანაში არსებული არასახარბიელო საინვესტიციო გარემოს გამო, თავის შეკავება ურჩიეს. მიუხედავად ამისა დღეს, 7 აპრილს თერჯოლის რაიონში მდებარე "ძევრულჰესის" იჯარით გაცემის კონკურსია დანიშნული. "ძევრულჰესის" ხელში ჩაგდების სურვილში იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა პარლამენტარი თამაზ გელაშვილი ამხილა.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

იმერეთის გუბერნატორის ინფორმაციით, დეპუტატმა თამაზ გელაშვილმა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს მიმართა და "ძევრულჰესის" იჯარით გადაცემაში დახმარება სთხოვა, სანაცვლოდ, ჰესის რეაბილიტაციისთვის მრავალმილიონიანი ინვესტიციის განხორციელებას დაჰპირდა. ჯორბენაძემ გელაშვილის განცხადება, შესაბამისი რეზოლუციით, ქონების მართვის სამინისტროს გადაუგზავნა. ამავე პერიოდში, 30 დეკემბერს მოულოდნელად აქტიურდება "ძევრულჰესის" სამეთვალყურეო საბჭო და ჰესის ოთხი წლით იჯარით გაცემაზე თანხმდება. მარტში კი, ქონების მართვის სამინისტრო ჰესის იჯარით გაცემისთვის კონკურსს აცხადებს.

გაგრძელება A6 გვერდზე

# ომის მეთვრამეტე დღე: ბაღდადი ალყაშია



A4

REUTERS

# მსხვილი ბიზნესის არჩევანი

ბადრი კოპლატაძე

ჩვენ პარტიების აშენებული ქვეყანა არ გვინახავს... პოლიტიკურმა ძალებმა ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედონ... უნდა შეიქმნას თამაშის ახალი წესები... პრეზიდენტს უფლებამოსილება უნდა გაუგრძელდეს. ეს განცხადებები ისმოდა სულ რაღაც ერთი წლის წინათ გადამხდელთა კავშირში გამართულ ბიზნესმენთა შეხვედრაზე.

ჩვენ დავაფინანსებთ იმ პარტიებს, რომლებიც ჩვენს ინტერესებს დაიცავენ... ხელისუფლება ბიზნესს ავიწროებს... ჩვენ გავიფიცებით და გადასახადებს არ გადავიხდით! - ასეთია მსხვილ გადამხდელთა ამჟამინდელი განწყობა.

რამ გამოიწვია პოზიციათა ასეთი რადიკალური ცვლილება? რა მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში ისეთი, რამაც ბიზნესი აიძულა, ხელისუფლებისთვის ზურგია ექცია? ბუნებრივია, ამ კითხვებზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, თუმცა, შეიძლება, მიზეზთა რამდენიმე ჯგუფი გამოიყოს.

### სახელისუფლო ძალების პოლიტიკური უპერსპექტივობა

ნებისმიერ ქვეყნაში, მათ შორის საქართველოშიც, ბიზნესს პროგნოზირებადი, სტაბილური პოლიტიკური გარემო სჭირდება. ბიზნესი ყოველთვის მხარს უჭერს ძლიერ, წარმატებულ და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ ხელისუფლებას, რადგანაც მხოლოდ ასეთ პირობებში აქვს მას განვითარების შესაძლებლობა. დღევანდელი ხელისუფლება ვერც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს. მისი მოღვაწეობის შედეგები არავის აძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. ყველაზე კარგად ამას სწორედ ბიზნესი გრძნობს, რომლის წინასწარ გადახდილი გადასახადები განსაზღვრავს კიდეც, ხშირ შემთხვევაში, ბიუჯეტის შესრულებას. მსხვილ ბიზნესმენთათვის, როგორც ჩანს, ისიც ნათელია, რომ არაპოპულარულ, არაორგანიზებულ და მხოლოდ ადმინიტრაციული ბერკეტების მოიმედე ხელისუფლებას არჩევნებში წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამომრჩეველი ცინიკურია, როდესაც მომავლის რწმენა არა აქვს

შოთა უტიაშვილი

*"24 საათის" სტუმარია მაიკ მერფი, ამერიკელი რესპუბლიკელების საარჩევნო კონსულტანტი. მომავალ საპარლამენტო არჩევნებში იგი "ახალ მემარჯვენეებს" დაეხმარება.*

**- რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება საქართველოთი და "ახალი მემარჯვენეებით"?**

- დიდი ხნის მანძილზე რესპუბლიკელები იზოლაციონისტებად ვითვლებოდით, მაგრამ ბოლო ხანს შევიცვალეთ და საერთაშორისო ინტერესები გაგვიჩნდა. ჩვენ ახალ პარტნიორებს ვეძებთ. ამერიკასთან მჭიდრო ურთიერთობებისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო, საქართველო თავიდანვე აღმოჩნდა ჩვენი თვალთახედვის არეალში.

ბუნებრივია, გვაქვს სურვილი, ვითანამშრომლოთ ისეთ პარტიებთან, რომლებიც ჩვენს შეხედულებებს იზიარებენ და მხარს უჭერენ დემოკრატიულ რეფორმებს, თავისუფალ მეწარმეობასა და ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას.

ასეთ პარტიებს შორის საქართველოში ყველაზე ძლიერად "ახალი მემარჯვენეები" მიგვაჩნია. ამ აზრს იზიარებენ რესპუბლიკური პარტიის ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან სენატორი მაკკეინი, ბილ კრისტალი და სხვები. ვაშინგტონის რესპუბლიკურ წრეებში ბევრი ფიქრობს, რომ საქართველოს ახლა ყველაზე მეტად, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდა სჭირდება, მე ვაპირებ დავეხმარო "ახლებს" საარჩევნო სტრატეგიის შემუშავებაში. ამ სფეროში უკვე დიდი ხანია, ვმუშაობ. ვარ გუბერნატორ ჯებ ბუშის, სენატორ მაკკეინის და ბევრი ცნობილი პოლიტიკოსის მრჩეველი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 საზოგადოება A8 "საოჯახო ტოტო"

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მოქკავშირის ბოიკოტი

გუშინ საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე მომუშავე პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა "შერატონ მეტეხი პალასში" სხდომა გამართა. შეხვედრის ინიციატორები ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც, საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, საქართველოს პარლამენტთან საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობენ.

საგულისხმოა, რომ გუშინდელ შეხვედრას სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლები კვლავ არ დასწრებიან. როგორც ჩანს, "მოქალაქეთა კავშირსა" და "სოციალისტურ პარტიას" საარჩევნო კანონმდელობის შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი აქვთ. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია მოქკავშირის ერთ-ერთი ლიდერის ვიტალი ხაზარაძის განცხადება, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ გააკეთა და რომლის თანახმად, ინტერფრაცქიული ჯგუფის წევრთა უმრავლესობის მოსაზრებას, საარჩევნო ადმინისტრაციების პარტიული ნიშნით დაკომპლექტების თაობაზე, იგი აბსოლუტურად არ ეთანხმება. მისი ღრმა რწმენით, საარჩევნო ადმინისტრაციები სასამართლო ხელისუფლებამ უნდა დააკომპლექტოს.

ამის მიუხედავად, ინტერფრაქციულმა ჯგუფმა გარკვეულ შეთანხმებას უკვე მიაღწია. ეს, პირველ რიგში, ამომრჩეველთა რეგისტრაციას და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების იმ წესს ეხება, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები, რომელსაც ჯგუფის წევრები პარლამენტის ბიუროს დღეს წარუდგენენ.

თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ამ წინადადებებს იგივე "მოქალაქეთა კავშირის" მხრიდან საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდება. კულუარული ინფორმაციით, სახელისუფლებო ძალებს არ სურთ ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციების შემადგენლობების შეცვლა და ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა პარლამენტმა დღეს მოქმედი წესი არ შეცვალოს. აქედან გამომდინარე, ვიტალი ხაზარაძის განცხადება, შესაძლოა, სხვაგვარადაც გავიგოთ – მოქალაქეთა კავშირი, ძალების სრული მობილიზაციით, ლობირებას გაუწევს ვითომ მისთვის მისაღებ ვარიანტს. შეთანხმება მიღწეული არ იქნება. შედეგად კი, ცესკოს შემადგენლობა იგივე დარჩება. სხვათაშორის, ეს კანონის დარღვევა სულაც არ იქნება, რადგან საარჩევნო კოდექსის გარდამავალ დებულებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ახალი საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნამდე ძველ საარჩევნო კომისიებს უფლებამოსილება ავტომატურად გაუგრძელდებათ.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** ნიკო ლეკიშვილი აბსურდულს უწოდებს მაჟორიტარი დეპუტატებისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას, რისი ინიციატივითაც ხელისუფლების მხარდამჭერ მაჟორიტარ პარლამენტართა ერთი ჯგუფი გამოვიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ტრადიციონალისტთა კავშირი" კატეგორიულად გამორიცხავს პოლიტიკურ გაერთიანება "ერთობასთან" შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ბლოკის შექმნას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის რეფორმირების შემთხვევაში, იმერეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული თემურ შაშიაშვილი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ნოდარ ნათაძეს მიაჩნია, რომ საქართველო-ამერიკას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გამო, რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ვერანაირ აგრესიულ დადგენილებას ვერ მიიღებს. მისივე აზრით, ამგვარი დადგენილების მისაღებად მათ ამერიკის მთავრობის სპეციალური სანქცია უნდა ჰქონდეთ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით თოდუა პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" მიერ ამომრჩეველთა სამონიტორინგო სიების შედგენისათვის მიმდინარე აქციას - "არჩევნები გაყალბების გარეშე" - დადებითად აფასებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარეს იმედი აქვს, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საბჭოში საღი აზრი გაიმარჯვებს და საქართველოს საწინააღმდეგო დადგენილებას არ მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" თავმჯდომარის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ავთანდილ ჯორბენაძის "მოქალაქეთა კავშირის", ვახტან რჩეულიშვილის "სოციალისტებისა" და აკაკი ჩხაიძის "აბრეშუმის გზის" გაერთიანების გამარჯვებას ქართველი ხალხი არ დაუშვებს. **ინტერ-პრესი**

## ამომრჩეველი ცინიკურია, როდესაც მომავლის რწმენა არა აქვს

პირველი გვერდიდან

რასაკვირველია, "ახლებთან" ვთანამშრომლობ როგორც კერძო პირი და არა როგორც მთავრობის წარმომადგენელი.

**- ამბობენ, რომ თქვენ თითქმის უფასოდ იმუშავებთ.**

- ამ თემაზე, ჯობია, თავად პარტიამ ისაუბროს.

**- გარემო, რომელშიც აქ მოგიწევთ მუშაობა, ალბათ, სრულიად განსხვავებულია ამერიკულისაგან?**

- ბევრი რამ უნივერსალურია. არის პოლიტიკური ტექნოლოგიები, რომლებიც ყველა ქვეყანაში მუშაობს, თუმცა ადგილობრივი კულტურა, რასაკვირველია, ყველა არჩევნებში უდიდეს როლს თამაშობს.

რაც შეეხება საქართველოს წინასაარჩევნო დღის წესრიგს, ისევე როგორ ამერიკაში, აქტუალურია ე.წ. "კარაქისა და პურის" საკითხები (დასაქმება, ეკონომიკური განვითარება), მაგრამ ამის გარდა ქართველი ამომრჩეველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის საკითხებს.

ვფიქრობ, წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იქნება ამომრჩეველთა პასიურობისა და ცინიზმის დაძლევა. როგორც წესი, კორუფცია და ეკონომიკური სტაგნაცია ხალხს პოლიტიკოსების მიმართ ცინიკურს ხდის.

და ბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ არჩევნები ლეგიტიმური იყოს.

ამერიკაში არჩევნები, როგორც წესი, გაყალბებების გარეშე ტარდება და ამას სხვა ქვეყნებშიც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. საქართველოში გაყალბებული არჩევნების ჩატარება ცუდ გავლენას მოახდენს აშშ-სთან ურთიერთობებზე, განსაკუთრებით - დახმარების მხრივ.

ის ხალხი, ვინც ვაშინგტონში საქართველოს ლობირებს და კონგრესს ფულის გამოყოფას ურჩევს, ძალზე იმედგაცრუებული დარჩება, თუ არჩევნები ცუდად ჩაივლის.

**- მაგრამ სომხეთისა და აზერბაიჯანის არჩევნებში მომხდარი ტოტალური გაყალბების მიუხედავად, ამერიკა ორივესთან ინარჩუნებს ძველ ურთიერთობას.**

- ერთმა წამყვანმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა წამოსვლის წინ მითხრა: "ეს არჩევნები მათთვის გზაჯვარედინი იქნება. მათ უნდა გადაწყვიტონ, რა გზას აირჩევენ - ან გახდებიან მეორე სომხეთი, რომელთანაც ჩვენ პარტნიორული ურთიერთობები გვაქვს, მაგრამ არა განსაკუთრებული, ან ისინი სომხებზე უკეთეს არჩევნებს ჩაატარებენ და მაშინ ჩვენ გავაგრძელებთ განსაკუთრებული ურთიერთობების მშენებლობას".



მაიკ მერფი

გოგიტა ბეხაიძის ფოტო

**- თქვენი ინფორმაციით, ამერიკის სხვა პოლიტიკური ძალები რა პოზიციას დაიკავებენ ამ არჩევნებში?**

- ადმინისტრაცია, რა თქმა უნდა, არც ერთ პარტიას არ დაუჭერს მხარს. რაც შეეხება დემოკრატებს, ამაზე თავად ისინი უკეთ გეტყვიან.

**- ქართული პარტიები, ძირითადად, პიროვნებებთან და არა იდეოლოგიებთან ასოცირდება. თქვენ თუ შეეცდებით ამის შეცვლას?**

- ჩემი აზრით, იდეოლოგიური პარტიების დრო მოვიდა. ვფიქრობ, "ახლები" სწრედ თანამიმდევრული იდეოლოგიითა და მისადმი ერთგულებით გამოირჩევიან. პიროვნებებზე აგებული პოლიტიკა ამომრჩეველს არც ისე დიდ არჩევანს სთავაზობს

**- რა მეთოდებით აპირებთ ამომრჩეველთა პასიურობასთან ბრძოლას?**

- არავის უნდა, რომ ცინიკოსი იყოს. ამომრჩეველი ცინიკურია, როდესაც მომავლის რწმენა არა აქვს და მიაჩნია, რომ მისი ხმა მაინც არაფერს შეცვლის. ჩვენ შევეცდებით, ისინი საწინააღმდეგოში დავარწმუნოთ.

თუ პარტიას აქვს პროგრამა, რომლის შეფასებაც ამომრჩეველს შეუძლია, აქვს იდეოლოგია და ამომრჩეველთან ურთიერთობის პატიოსანი და ეფექტური კამპანია, მაშინ ამით შეიძლება მათი გულის მოგება. იდეები ძალაა.

ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ ჩვენ ბევრს ვიმუშავებთ.

**- მოსახლეობის რა სექტორზე იმუშავებთ?**

- სანამ სერიოზულ კვლევასა და ანალიზს არ ჩავატარებთ, ამაზე საუბარი ადრეა. მაგრამ ვფიქრობთ, ჩვენ მხარს დაგვიჭერენ ისინი, ვინც დარწმუნებულია, რომ საქართველოში თავისუფალი ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური აღმავლობა ვითარებას რადიკალურად შეცვლის. შეიძლება, ესენი იყვნენ მცირე ბიზნესის, საშუალო კლასის წარმომადგენლები და ახალგაზრდობა.

**- ბიზნესმენებს მოსახლეობა ხშირად არა პატიოსან მეწარმეებად, არამედ უკანონო გზებით გამდიდრებულ ხალხად აღიქვამს...**

- ბიზნესს, ისევე როგორც ყველაფერს, ორი მხარე აქვს, კარგი და ცუდი. მე მინდა, რომ "ახალ მემარჯვენეებთან", მათი ლიდერების გარშემო ის ხალხი შეიკრიბოს, ვინც ბიზნესის კარგ მხარეს წარმოადგენს, ვინც ქმნის სამუშაო ადგილებს და იხდის ხელფასებს.

თქვენს მიერ ხსენებული პრობლემა რეალურად არსებობს და ჩვენ ბევრი მუშაობა მოგვიწევს, რომ ხალხს ავუხსნათ, ბიზნესის რომელ მხარეს წარმოვადგენთ.

**- ბოლო არჩევნების შედეგებს თუ გადახედავთ, საქართველოში მემარცხენე იდეები უფრო პოპულარული ჩანს, ვიდრე მემარჯვენე...**

- წარსულში ასე იყო, მაგრამ ჩვენ მომავლისაკენ უნდა ვიყუროთ. თუ მემარჯვენე ცენტრისტებს უფრო ნათელი და უკეთესი მესიჯი ექნებათ, მაშინ ისინი წარმატების მიღწევას შეძლებენ.

ვფიქრობ, მემარჯვენეები პოლიტიკურ სპექტრში კარგ ნიშას იკავებენ: ისინი არიან რეფორმისტული, პროდასავლური ძალა და ხალხი, ალბათ, დააფასებს ამას.

**- რა რესურსებით აპირებთ საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას?**

- ჩვენთან, ამერიკაში და, ალბათ, მთელ მსოფლიოში არსებობს სამი სახის წინასაარჩევნო დახმარება: მოხალისეები, რომლებიც პარტიას თავის დროსა და ენერგიის უთმობენ, შემოწირულობები და იმ კანდიდატების სახსრები, ვინც სიაში არიან. ძლიერმა პარტიამ სამივეს მოზიდვა უნდა შეძლოს.

## სახელისუფლებო ბლოკის მიზანი - უპირობო გამარჯვება

პირველი გვერდიდან

როგორც მოქალაქეთა კავშირის საორგანიზაციო მდივანი გიორგი ზურაბაშვილი აცხადებს, **"უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები სხვა პოლიტიკურ ძალებთან და საარჩევნო ბლოკის კარები ღიაა ყველა იმ პარტიისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ვინც მზად არის, მხარი დაუჭიროს და დაიცვას ის კურსი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ადგას."**

მართალია, გიორგი ზურაბაშვილი არ აკონკრეტებს, თუ ვისთან აწარმოებს სახელისუფლებო პარტია კონსულტაციებს, მაგრამ კულუარებში სულ უფრო ხშირად ასახელებენ "მრეწველებს", ასევე პარლამენტარ გიორგი ყარყარაშვილის თაოსნობით ჩამოყალიბებულ "საქართველოს მეომართა ლიგას" და "ავღანელთა კავშირს". ასე რომ, სულაც არ იქნება გასაკვირი, ამ ბლოკის შემადგენლობაში ისეთი პოლიტიკოსები ვიხილოთ, რომლებიც ამჟამად აცხადებენ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ძალებს "დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე მოსინჯავენ". ალბათ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ წარიმართება დაწყებული კონსულტაციები და მასში მონაწილე პარტიათა ლიდერები რაზე გარიგდებიან.

ბლოკის უპირველესი ამოცანა მომავალ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლაა. სხვათა შორის, ამის თაობაზე ბლოკის სამივე სუბიექტი უკვე საკმაოდ ხმამაღლა საუბრობს, თუმცა ეს მხოლოდ ზოგადი მიზანია, რომელიც მხოლოდ მაშინ იქნება მიღწეული, თუკი ბლოკში შემავალი სუბიექტები კვოტებს ისე გადაინაწილებენ, რომ ერთმანეთთან პრეტენზია არ ექნებათ.

დღეს ბლოკის ხელმძღვანელობა პარტიათათვის გამოყოფილ საარჩევნო კვოტებზე არ საუბრობს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან, ჯერ ერთი, ე.წ. "ტექნიკურ საკითხებზე" საუბარი მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა საარჩევნო შტაბის სტრუქტურა ჩამოყალიბდება (როგორც გიორგი ზურაბაშვილი ვარაუდობს, ეს აპრილის ბოლო რიცხვებში მოხდება) და მეორე – საბოლოოდ გაირკვევა, რამდენი პოლიტიკური სუბიექტი შევა ამ საარჩევნო ბლოკში.

რაც შეეხება თავად მოქალაქეთა კავშირში შექმნილ ვითარებას. როგორც კულუარებში ამბობენ, დღეს სახელისუფლებო პარტიაში ატმოსფერო შედარებით მშვიდია – აღარ იგრძნობა ის დაპირისპირება, რაც სახელმწიფო მინისტრსა და ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულ ლევან მამალაძეს შორის ყოველთვის არსებობდა. მეტიც: გიორგი ზურაბაშვილის თქმით, **"ხმები კონფლიქტის თაობაზე თავიდანვე აშკარად გადაჭარბებული იყო."** ამის მიუხედავად, სულაც არ არის გამორიცხული, ლევან მამალაძემ საკუთარი პრეტენზიები უშუალოდ არჩევნების წინ წამოაყენოს, თუ, რა თქმა უნდა, მას არ დააკმაყოფილებს ის პირობები, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი შესთავაზებს. პირველ რიგში, ბლოკში მისი გუნდისთვის გამოყოფილ კვოტებს და ქვემო ქართლის რაიონებში მაჟორიტარი კანდიდატების დასახელების უფლებას ვგულისხმობთ.

წყნარად არიან "სოციალისტებიც" - მათ ბლოკში, მინიმუმ, ოცი ადგილი, როგორც იტყვიან, განაღდებული აქვთ. ეს კი ვახტანგ რჩეულიშვილს მშვიდად ყოფნის საბაბს აძლევს, რადგან პარლამენტში გასვლის შემდგომ მას დამოუკიდებელი ფრაქციის შექმნის იმედი აქვს. ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი იმ დაპირებების თაობაზე, რომელსაც ცალკე პრეზიდენტი და ცალკე სახელმწიფო მინისტრი რკინიგზის დეპარტამენტის შეფს, მოძრაობის "დიდი აბრეშუმის გზით" ლიდერს აკაკი ჩხაიძეს აძლევს. თუმცა, სავარაუდოდ, აქაც იგივე სცენარი ამოქმედდება – საარჩევნო სიაში ამ ორგანიზაციის იმდენი წევრი შევა, რაც ფრაქციის შექმნისთვის იქნება აუცილებელი.

სხვათაშორის, ბლოკის დღევანდელმა ლიდერებმა წინასაარჩევნო კამპანიის სტრატეგია და ამომრჩევლებთან საუბრის ტაქტიკა უკვე განსაზღვრეს. გიორგი ზურაბაშვილის თქმით, **"ბლოკი მოსახლეობას ჰპირდება საქართველოს მთლიანობის აღდგენას, პრეზიდენტის პროდასავლური კურსის მხარდაჭერას და განმტკიცებას, ამერიკის შეერთებულ შტატებთან - როგორც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან - თანამშრომლობის გაღრმავებას, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, ძლიერი ეროვნული ჯარის ჩამოყალიბებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მინიმალური ხელფასების ეტაპობრივად ზრდას და ა.შ."** რაც შეეხება წინა საპარლამენტო არჩევნების დროს გაცემულ და, როგორც დრომ აჩვენა, შეუსრულებელ დაპირებებს, გიორგი ზურაბაშვილი აცხადებს, რომ ამომრჩეველმა პასუხი იმ ადამიანებს უნდა მოსთხოვოს, რომლებიც თავის დროზე მოქკავშირულ ელიტას წარმოადგენდნენ და რომლებმაც ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ხელისუფლებას დანაპირები არ შეესრულებინა. **"მე ვურჩევ ამომრჩევლებს: პასუხი მათ მოჰკითხონ, ვინც ამ პარტიას გაემიჯნა, რადგან ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პარტიამ დაპირებები ვერ შეასრულა, მათ ქმედებებშია საძიებელი,"** – ამბობს გიორგი ზურაბაშვილი.

ბლოკის ლიდერებს ასეთ რეკომენდაციებს, სავარაუდოდ, ის იმიჯმეიკერებიც მისცემენ, რომლებიც სულ მალე ჩამოვლენ საქართველოში. ჩვენი ინფორმაციით, უკვე მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები რამდენიმე იმიჯმეიკერული ფირმის ხელმღვანელებთან, რომლებიც, ბუნებრივია, საქართველოს ფარგლებსგარეთ საქმიანობენ.

ასე რომ, ზურაბ ჟვანიას გუნდის მიზანმიმართული და მუდმივი კრიტიკა – ეს ამ საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო კამპანიის მუდმივი თანმდევი იქნება. საგულისხმოა, რომ მოქალაქეთა კავშირის ლიდერები არჩევნების წინ პარტიის რიგებიდან ოდიოზური ფიგურების ჩამოცილებას არ აპირებენ (არადა, ასეთები სახელისუფლებო პარტიებში საკმაოდ არიან). პირიქით, გიორგი ზურაბაშვილი აცხადებს, რომ **"ოდიოზური ფიგურები საქართველოს მოქალაქეთა კავშირში უკვე იყვნენ, მაგრამ ისინი ჩვენს რიგებში აღარ არიან. რაც შეეხება დანარჩენებს, ჩვენი ყველა წევრი საქართველოს ღირსეული მოქალაქეა, ამიტომ, ჩვენ ყველასთან ვთანამშრომლობთ."**

ახალი ბლოკის ლიდერებს დღეს ჯერ კიდევ უჭირთ იმ ადამიანის დასახელება, რომელიც საარჩევნო სიას სათავეში ჩაუდგება. არ არის გამორიცხული, იგი ნეიტრალური ფიგურა იყოს. თანაც ისეთი, რომელსაც საზოგადოება იცნობს და მეტ-ნაკლებად აფასებს. თუმცა, პოლიტიკურ კულუარებში სხვა სცენარის თაობაზეც საუბრობენ – გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბლოკში პირველ ნომრად, შესაძლოა, არც მეტი არც ნაკლები, თავად სახელმწიფო მინისტრი ვიხილოთ.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ ავთანდილ ჯორბენაძის პოზიციები პრეზიდენტის კარზე საკმაოდ შესუსტებულია და არ არის გამორიცხული, მომავალი კვარტლის ბიუჯეტის შეუსრულებლობის საბაბით, იგი სულ მალე თანამდებობას გამოემშვიდობოს. საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად მისი დანიშვნა კი, შესაძლოა, ამ გეგმის შესრულებაში პირველი ნაბიჯი აღმოჩნდეს.

## კომენტარები მოპირდაპირე მხრიდან

*სახელისუფლებო ძალების ერთ ბლოკად გაერთიანებამ მომავალ საარჩევნო დაპირისპირებაში საკმაო სიცხადე შეიტანა.*
*ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე სავსებით ცხადია, რომ ერთ მხარეს იქნება ნომენკლატურულ-ჩინოვნიკური ძალა, რომელიც დღევანდელ მდგომარეობასა და პრივილეგიებს კბილებით დაიცავს.*
*მეორე მხარეს აღმოჩნდა საკმაოდ არაერთგვაროვანი პოლიტიკური სპექტრი, რომელმაც ბოლო არჩევნებში, საერთო ჯამში, საკმაოდ დიდი უპირატესობით დაამარცხა ნომენკლატურულ-ჩინოვნიკური "მოქალაქეთა კავშირი". მაშინ, თითქმის ყველა ამ ძალამ ელექტორატის მიმხრობა ანტიშევარდნაძისტული ლოზუნგებით შეძლო. სახელისუფლებო ძალები კი კვლავ პრეზიდენტის ლიდერობით ერთიანდებიან. რამდენად სერიოზულ ძალად მიიჩნევენ სხვა დანარჩენნი ახალ საარჩევნო ბლოკს და როგორ აფასებენ შანსებს მომავალ არჩევნებში?*

**მიხეილ მაჭავარიანი** ("გაერთიანებული დემოკრატები"):

- ვახტანგ რჩეულიშვილის გარდა, ამ გაერთიანებაში ყველა "მოქალქეთა კავშირის" წრმომადგენელია. თუ რამდენად სერიოზულია ამ ძალთა გაერთიანება, არჩევნების დროს გამოჩნდება. კარგია, რომ ამ "აბრეშუმის ჭიებმა" ერთად ყოფნის შესახებ ამცნეს ხალხს. არჩევანი ხალხმა უნდა გააკეთოს ანუ გაარკვიოს, რას ირჩევს - მომავალს, თუ ისევ ჯორბენაძეს, მამალაძეს, ჩხაიძეს, რჩეულიშვილს. ამ უკანასკნელზე ანდაზა - "წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო" - ზედგამოჭრილია.

ჩვენთვის თავისებური პლუსია, რომ ხელისუფლებას დღეს ეს ხალხი წარმოადგენს. გამოწვევა უკვე კარგა ხანია, არსებობს. ამას ყველაფერს ერთი სახელი - ედუარდ შევარდნაძე და მისი პოლიტიკა ჰქვია. ამ ხალხის გამოა, რომ არ არის შუქი, გაზი, მიუღებელია პენსიები, დანგრეულია გზები და ა.შ. მოკლედ, აქ ის ხალხია თავმოყრილი, ვიზეც შეიძლება ითქვას, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო.

რაც შეეხება სახელისუფლებო ძალების საარჩევნო რესურს:

-რა რესურსებს ფლობენ? ადგილობრივი არჩევნების დროს ამ ხელისუფლებამ ძალზე ბევრ ადგილას, მათ შორის თბილისშიც, წააგო. რა თქმა უნდა, ძალზე სერიოზული ბრძოლა იქნება, მაგრამ ბრძოლა მაშინ არის საინტერესო, როცა მოწინააღმდეგე უცნობია. ახლა ყველაფერი ნათელი და გასაგებია. ან უნდა აირჩიონ შევარდნაძე, ან ჩვენ, "ახლები", "ნაციონალები", "ტრადიციონალისტები". შესაძლოა ერთიანი საარჩევნო სიები არ გვქონდეს, მაგრამ მაინც ერთად ვიქნებით, ანუ არჩევანი უნდა გაკეთდეს ახალსა და ძველს შორის. თავის მხრივ, ისიც კარგია, რომ შევარდნაძის მხარდამჭერი ძალები ასეთი ფორმით გაერთიანდნენ. არსებობდა საშიშროება, რომ "მოქალაქეებსა" და "აბრეშუმის გზას" არჩევნებში მონაწილეობა ცალ-ცალკე მიეღოთ. ამ შემთხვევაში მოსახლეობის დაბნევის მეტი შანსი ექნებოდათ. შეიძლება ამომრჩეველი დაეჭვებულიყო, ეფიქრა: "აბრეშუმის გზაში" კარგი ბიჭები არიან და "მოქალაქეებში" ცუდიო. ახლა ყველაფერი გასაგებია.

**შალვა ნათელაშვილი** (*"ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე*):

- ხელისუფლებას უკვე ერთი ან ორი სახე აღარა აქვს. იგი რამდენიმესახოვან იანუსად გადაიქცა. ეს კეთდება შეგნებულად, მოსახლეობის, ქართველი ერის დასაბნევად, რათა აფიქრებინონ მას, თითქოს, ხელისუფლების ერთი სეგმენტი, მართალია, უვარგისია, მაგრამ მეორეს არაუშავს, მესამე კი - სხვებზე უკეთესია. ყველა ისინი, ბოლოს, ერთად წამოკრეფენ ხმებს და უკვდავი შევარდნაძის ბლოკად მოგვევლინებიან პარლამენტში. ერთ-ერთ ასეთ ნაწილს წარმოადგენს ძველი "მოქალაქეთა კავშირი" თავისი ბელადებიანად. ეს უკანასკნელნი ყალბი ხმით გაჰკივიან სოციალურ უთანასწორობაზე, რისი "ავტორებიც", სინამდვილეში, თავად არიან. იგივე ხდება შევარდნაძის ოლიგარქების ბანაკშიც, რომელიც რამდენიმე ნაწილად გაიყო, ვინაიდან, პრეზიდენტის რამდენიმე ახლობელი სხვადასხვა სეგმენტში გადანაწილდა. იგივე ხდება ახალ "მოქალაქეთა კავშირშიც". ასე რომ, ხელისუფლება გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადება, რათა ეს რეჟიმი, როგორც მინიმუმ, XXI საუკუნის პირველ ნახევარში დაკანონდეს.

ქვეყანაში არსებობს ორი პოლუსი, რომელთა შორისაც უნდა გაკეთდეს არჩევანი. ეს არის შევარდნაძის სისტემა, თავისი სეგმენტებითურთ და "ლეიბორისტული პარტია". ჩემს თავსა და ჩემს პოლიტიკურ ორგანიზაციაზე სულაც არა მაქვს გადამეტებული წარმოდგენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობას დღეს სხვა არჩევანი არა აქვს.

"ლეიბორისტების" გარდა, თითქმის ყველა პოლიტიკური სეგმენტი შევარდნაძის დაშლილ ბანაკს განასახიერებს. მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი საარჩევნო ხმის მოპოვება და შემდგომში - ხელახალი კონსოლიდაცია.

**ალექსანდრე შალამბერიძე** (*ფრაქცია "ტრადიციონალისტის" მდივანი*):

- რაც მეტი სახელისუფლებო პარტია შეიკრიბება ერთად, მით უფრო უკეთესია - მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფოკუსირება გაადვილდება. მარტო სახელის გადარქმევა საქმეს ვერ უშველის, ამომრჩევლისთვის მაინც ნათელი იქნება, ვინ არიან და რანი არიან. მათი შანსები ბევრად არის დამოკიდებული ოპოზიციის ერთიანობაზე. ერთიან ოპოზიციურ ბანაკს შეუძლია, სახელისუფლებო ძალებს წარმატებით დაუპირისპირდეს. ამის შანსი ნამდვილად არსებობს. ისე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველები ვართ, აღმოსავლეთში ვცხოვრობთ და ამდენად, გადაჭრით რაიმეს მტკიცება შეუძლებელია.

**ვაჟა ლორთქიფანიძე** (*ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე*):

- სახელისუფლებო პარტიების ბაზაზე საარჩევნო ბლოკის შექმნა მოულოდნელი არ ყოფილა. ამით ახალი არაფერი მომხდარა. "მოქალაქეთა კავშირმა" ასეთი გზა დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მაშინ აირჩია, როდესაც სახელისუფლებო პარტია დაირქვა. დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა კონფიგურაციას მიიღებს ეს ბლოკი და სხვადასხვა ძალები როგორი დოზით იქნებიან მასში წარმოდგენილნი. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. რა პერსპექტივა ექნება ამ ბლოკს, ცხოვრება აჩვენებს. საარჩევნო ხმებისა და, შესაბამისად, საპარლამენტო მანდატების გარკვეულ რაოდენობას ეს გუნდი, ალბათ, მიიღებს, მაგრამ, ჩემი აზრით, ბლოკში აშკარად ჭარბობს ადმინისტრაციული და სახელისუფლებო რესურსი, მაგრამ პოლიტიკური სახეების მწვავე დეფიციტია.

რით უპასუხებს ამას ოპოზიციის ბანაკი, ჯერ ძნელი სათქმელია. ამის გასარკვევად კონსულტაციები და გარკვეული მოძრაობებია საჭირო. რამდენადაც ვიცი, "ლეიბორისტები" ღიად აცხადებენ, რომ არანაირ ბლოკში არ აპირებენ შესვლას. ისინი, ცალკე აღებულნიც, სერიოზულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. არც "ახალი მემარჯვენეები" ამჟღავნებენ რაიმე გაერთიანებისკენ სწრაფვას - ინდივიდუალურად, "ახლებიც" სერიოზული რესურსია. იგივე შემიძლია ვთქვა "ნაციონალურ მოძრაობასა" და "გაერთიანებულ დემოკრატებზეც". ასე რომ, თითოეული მათგანი არჩევნებში ცალ-ცალკეც რომ გამოვიდნენ, ბრძოლა მაინც სერიოზული იქნება.

აქტიური კონსულტაციები და თანამშრომლობის შემოთავაზებები ჩვენც გვაქვს, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. მინდა შევხედო, ახლანდელი პროცესები რა მიმართულებით განვითარდება. ეს, სავარაუდოდ, მაისის ბოლოსა და ივნისისთვის გამოიკვეთება. ამ დროს უკვე ნათელი გახდება, რა გეზს აირჩევს ოპოზიცია და რა გზას დაადგებიან სახელისუფლებო ძალები. თუ ეს უკანასკნელი პოლიტიკურად უსახური დარჩება და მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსების იმედზე იქნება, მაშინ, ცხადია, იქ ჩემი ადგილის ძებნას არ დავიწყებ. დაახლოებით, იგივეს ვიტყოდი ოპოზიციურ ბანაკზეც, გააჩნია, რას მოიმოქმედებს ის ახლო მომავალში.

**ფიქრია ჩიხრაძე** (*ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარის მოადგილე*):

- სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკის შექმნა არავისთვის ყოფილა სიურპრიზი. ამის თაობაზე ყოველთვის იყო კულუარული საუბრები და არა მარტო კულუარული - სათანადო განცხადებებიც კეთდებოდა. ასეთი გადაწყვეტილება პირადად ჩემთვის რაიმე დიდი მოვლენა ნამდვილად არ არის. მართალია, ბლოკს აქვს ძალიან სერიოზული ფინანსები და ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც "მოკავშირეების" წარმატებას მოხმარდება, მაგრამ, ამასთან, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა ისიც, რომ არჩევნებში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ნდობასა და რეიტინგს, ამ მხრივ კი სახელისუფლებო ბლოკში გაერთიანებული სუბიექტები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან. და მაინც, ეს გაერთიანება არჩევნებში გარკვეულ პროცენტს მიიღებს, შესაძლოა, საკმაოდ მნიშვნელოვანსაც. ამიტომ, ოპოზიციურმა ძალებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ ხელისუფლებას დიდი დოზით თავისი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა არ მიეცეს.

არა მგონია, ეს ისეთი მასშტაბის ბლოკი იყოს, რომ ოპოზიციურ ბანაკს თავზარი დაეცეს და მის გასანეიტრალებლად ყველა თავქუდმოგლეჯით გაერთიანდეს. სახელისუფლებო ბლოკს ოპოზიციური არჩევანი უნდა დაუპირისპირდეს. საჭიროა, რეალური არჩევანი ოპოზიციურ ძალებს შორის გაკეთდეს და არა სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ, დაახლოებით ისე, როგორც თბილისის საკრებულოს არჩევნების დროს მოხდა, როდესაც ბარიერი, ძირითადად, ოპოზიციურმა ძალებმა გადალახეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# მსხვილი ბიზნესის არჩევანი

პირველი გვერდიდან

ადამიანებისთვის, რომლებმაც ცხოვრების წესად პრაგმატული და მოგებაზე ორიენტირებული აზროვნება აირჩიეს, ასეთ პერსპექტივაში, უფრო სწორად კი უპერსპექტივობაში, ფულის დაბანდება წამგებიანი წამოწყებაა.

უნდა ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებამდე მისვლა მათთვის იოლი ნამდვილად არ იქნებოდა. გასული ათი წლის განმავლობაში ისინი თავისი საქმიანობის უმთავრეს გარანტად ხომ სწორედ ხელისუფლებას მიიჩნევდნენ. აქედან გამომდინარე, არც ალტერნატივის პრობლემა არსებობდა - მათი უმრავლესობა თანხებს მხოლოდ მოქკავშირში აბანდებდა. დღეს ბიზნესი ორიენტირებს იცვლის. ამჯერად ბიზნესმენთა პოლიტიკური ინტუიციის და ალღოს გამოცდის დროს დგება.

## რუსული მოდელის უარყოფა

შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესმენებმა უპერსპექტივოდ მიიჩნიეს მოვლენათა ე.წ. რუსული სცენარით განვითრება. ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში ბიზნესის და ხელისუფლების ურთიერთობის უმთავრესად ორი სქემა დომინირებს. შუა აზიის ქვეყნებში ე.წ. სახელმწიფო კაპიტალიზმი ბატონობს, რაც ყველა, მეტნაკლებად წარმატებული, სტრუქტურის უშუალოდ სახელწიფოსადმი ანუ უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებისადმი დაქვემდებარებას გულისმობს. განსხვავებული მდგომარება იყო რუსეთში - ელცინის პრეზიდენტობის პერიოდი ოლიგარქული მმართველობის კლასიკურ ნიმუშად არის შეფასებული. ამ პროცესის ყველაზე საჯარო და ნიშანდობლივი გამოვლინება 1996 წელს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ კრემლში გამართული შეხვედრა იყო. რუსეთის ცამეტმა ყველაზე გავლენიანმა ბიზნესმენმა კრიტიკულ სიტუაციაში ელცინს თანადგომა აღუთქვა, რამაც გადაწყვიტა კიდეც არჩევნების ბედი. არჩევნების შემდეგ მსხვილმა ბიზნესმა უშუალოდ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გადაინაცვლა - ონექსიმბანკის მმართველი ვიქტორ პოტანინი ვიცე პრემიერი გახდა და სახელმწიფოს ძირითადი ფინასები თავისი ბანკის არხებში მოაქცია, ბორის ბერეზოსკი კი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა.

საქართველოში არსებული მდგომარეობა სახელმწიფო კაპიტალიზმის და ოლიგარქული მმართველობის ერთგვარ ნაერთს წარმოადგენს. სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული მიდგომები იჩენდა თავს, თუმცა უნდა ითქვას, რომ დიდ ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის წონასწორობის მდგომარების შენარჩუნება მუდმივად ხერხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენები საკმაოდ ხშირად გამოთქვამდნენ პრეტენზიებს ქვეყნაში შექმნილი სიტუაციის გამო, მთლიანობაში მათი ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაძაბულობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. უფრო მეტიც, რა დასამალია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე თავის საერთაშორისო გავლენას ხშირად იყენებდა დიდი ქართული ფირმების ლობირებისათვის.

ერთი წლის წინათ გამართულმა შეხვედრამ გააჩინა ეჭვი, რომ დიდი ბიზნესი შეიძლება რუსული მოდელისკენ გადახრილიყო. ამ ეჭვს ამტკიცებდა როგორც შეხვედრის ზოგადი განწყობა, ისე რუსეთში ზემოთ აღწერილი მოვლენების ერთ-ერთი უშუალო მონაწილის - ბადრი პატარკაციშვილის მაშინდელი ფრაზაც თამაშის ახალი წესების შესახებ. მაგრამ, თუ არა მან, სხვამ ვინ იცის ამ მოდელის რეალური შედეგები - ევროპაში გახიზნულ „ოლიგარქული მმართველობის“ ერთ-ერთ იდეოლოგს, ბორის ბერეზოვსკის კვლავ დაპატიმრება ემუქრება, ხოლო საქართველოში დაბრუნებული პატარკაციშვილის გადაცემას რუსეთის პროკურატურა დღესაც ითხოვს. ბუნებრივია, ასეთ პერსპექტივას მომხიბლავს ნამდვილად ვერ დავარქმევთ.

## საგადასახადო ტვირთი

ოფიციალური მონაცემებით, 2003 წლის პირველი კვარტლის ბოლო დღეს სახელმწიფო ხანიზაში 40 მილიონამდე ლარი შევიდა. საბიუჯეტო საკითხების თუნდაც ზედაპირულად მცოდნე ნებისმიერი ადამიანისათვისაც კი ცხადია, რომ უზარმაზარ თანხაზეა საუბარი. პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ხელისუფლება ძალების სრული მობილიზებით და ყველა ხერხის (წინასწარი გადახდები, ე.წ. „პრაკრუტკები“ და ა.შ) გამოყენებით შეეცადა საბიუჯეტო კრახის თავიდან აცილებას. მთავარი სიმძიმე დიდ ბიზნესს დააწვა მხრებზე. ეს პროცესი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაივლიდა შედარებით უმტკივნეულოდ, თუ ბიზნესი და ხელისუფლება ერთიანი პოლიტიკური პერსპექტივით იქნებოდნენ დაკავშირებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასე არ არის. აქედან გამომდინარეობდა მსხვილ გადამხდელთა უპრეცედენტო რეაქციაც.

ბიზნესმენთა პროტესტის მიზეზები სწორედ ზემოთ ჩამოთვილ ფაქტორთა ერთობლიობაში უნდა ვეძიოთ.

■ ■ ■

შექმნილი სიტუაცია ქართული პოლიტიკისათვის შემობრუნების წერტილად უნდა მივიჩნიოთ. ორი უმნიშვნელოვანესი არჩევნების წინ ხელისუფლება შეიძლება დიდი ბიზნესის მხარდაჭერის გარეშე დარჩეს; პარტიებს კი - პირველად მიეცეთ შანსი, პოლიტიკური აქტივები ფინანსური სახსრებით გაამაგრონ. თუმცა პოლიტიკოსთა პირველი რეაქცია ნათლად მიანიშნებს პოლიტიკური სპექტრის ერთგვარ გაორებაზე. ერთი მხრივ, მათ აშკარად ხიბლავთ საარჩევნოდ მნიშვნელოვანი ფინანსური ნაკადების მოზიდვის პერსპექტივა; მეორე მხრივ კი, ეშინიათ, რომ ასეთმა დაბანდებებმა მათი პოლიტიკურ მარიონეტებად გადაქცევა არ გამოიწვიოს; მით უფრო, რომ ყველას კარგად ესმის - ნებისმიერ საქმიან ურთიერთობებს უფლება-მოვალეობების ვრცელი ჩამონათვალი ახლავს. თავის მხრივ ფრთხილობენ ბიზნესმენებიც. მათაც სჭირდებათ გარანტიები, რომ გაღებული თანხები წყალსგატანებული არ აღმოჩნდება.

აქ კვლავ ვაწყდებით ერთ ძველ პრობლემას – როგორ და რა ფორმით უნდა მონაწილეობდეს ბიზნესი პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალურობა პირველად სამი წლის წინათ, „მოქკავშირიდან“ „ახლებად“ წოდებული ჯგუფის გამიჯვნისას შეიძინა. მაშინ გაირკვა, რომ საარჩევნო სიებში მყოფი ბიზნესმენები და პარტიის პოლიტიკური ნაწილი სრულიად განსხვავებულად ხედავდნენ საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ფუნქციას პოლიტიკურ ცხოვრებაში. „მოქკავშირის“ რეფორმატორული ფრთა ამტკიცებდა, რომ ბიზნესმენთა როლი მხოლოდ პარტიის დაფინანსებით და საარჩევნო სიებში განსაზღვრული კვოტით უნდა შემოსაზღვრულიყო. პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაზე კონტროლი კი პოლიტიკოსებს უნდა დარჩენოდათ, რასაც გამყრელიძე-გაჩეჩილაძის დუეტი არ ეთანხმებოდა.

ორივე მხარისაგან განსხვავებული იყო „მრეწველთა“ პოზიცია. მათ მიაჩნდათ, რომ ბიზნესმენებს საკუთარი ინტერესების დაცვა თავისივე შექმნილი პოლიტიკური ძალის საშუალებით უნდა უზრუნველეყოთ. ამ დაპირისპირების მთავარი ღერძი იმის გარკვევაზე გადიოდა, თუ ვინ არის პოლიტიკური პროცესის ძირითადი სუბიექტი. საზოგადოდ, ასეთად მთელ მსოფლიოში პოლიტიკური ძალები ითვლებიან. ბიზნესის თვალსაჩინო მოღვაწეები, უშუალოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში, უმრავლეს შემთხვევაში, არ ერთვებიან (ამასთან, არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად: სილვიო ბერსულკონი იტალიაში, როს პერო აშშ-ში და ა.შ.) და მხოლოდ მომიჯნავე იდეოლოგიის მქონე ჯგუფების ფინასური მხარდაჭერით შემოიფარგლებიან. თავის მხრივ ეს ჯგუფები, გარკვეულ საკითხებში, ლობის ფუნქციას ითავსებენ.

განვითარებულ ქვეყნებში კარგად აპრობირებული ეს სქემა პოლიტიკურ ძალებსა და საქმიან წრეებს შორის მეტნაკლები ბალანსის დამყარებას უზრუნველყოფს, მაგრამ იდეალური არც ეს მიდგომაა. მიუხედავად უამრავი ბარიერისა, არც შეერთებულ შტატებში და არც ევროპაში ლობიზმის გადაზრდის შემთხვევები კორუფციაში და ფავორიტიზმში, იშვიათობას არ წარმოადგენს.

შეიძლება, ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ ახლა დადგეს, თუ ბიზნესი მართლა გადაწყვეტს პოლიტიკური ძალების ფინანსურ მხარდაჭერას. მისი თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური გზა ამ პროცესის საჯაროობა და ლეგალიზებაა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რომელ პარტიას რომელი ფინასური ჯგუფი აფინანსებს და რა პირობებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაქს უფრო მეტი შანსი დაცულები ვიყოთ ფარული, კორუფციაში გადაზრდილი ლობიზმისაგან, რაც დღეს ასეა გავრცელებული. ეს მიდგომა პოლიტიკურ პარტიებსაც და ბიზნესსაც საშუალებას მისცემს, ღიად დაიცვან თავიანთი ინტერსები.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც.

ლეგალური ლობიზმის დამკვიდრებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ რომელიმე პარტიის არჩევნებში გამარჯვებამ არ გამოიწვიოს სხვა, კონკურენტი პარტიების ფინანსურ მხარდამჭერთა სახელისუფლო წნეხში მოქცევა. დღეს ბიზნესს ყველაზე მეტად ასეთი ფორმით ანგარიშსწორების საფრთხე აშინებს, სწორედ ეს უბიძგებს მას პარტიებთან „ჩრდილოვანი ურთიერთოების“ დამყარებისაკენ.

საქართველოში ბიზნესის და პოლიტიკური ძალების ახალი ტიპის ურთიერთობებს სწორედ ახლა ეყრება საფუძველი. სამომავლოდ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ურთიერთობებს დაამკვიდრებს ბიზნესმენთა და პოლიტიკოსთა დღევანდელი თაობა, მით უფრო, რომ მათ ზურგს უკან წინააღმდეგობრივი ურთიერთობების მრავალწლიანი პერიპეტიებია. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი დელიკატური საკითხი. „მოქკავშირის“ წიაღიდან აღმოცენებულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, ნაციონალურმა მოძრაობამ და გაერთიანებულმა დემოკრატებმა, თავის დროზე საკმაოდ აგრესიული და შემტევი კამპანია აწარმოეს იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც გასულ კვირას გერგეთის ქუჩაზე შეიკრიბნენ. მსხვილ ბიზნესმენებთან გარიგების შემთხვევაში, მათ მოსახლეობისათვის იმის დასაბუთება მოუწევთ, თუ რამდენად მიზანშეწონილია იმ ადამიანებისაგან ფინანსური შემოწირულობების მიღება, რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ ათასგვარი ეპითეტებით ამკობდნენ (სხვათაშორის, ბიზნესმენთა წინააღმდეგ დღევანდელი ხელისუფლების ტერმინოლოგია და არგუმენტები ერთი-ერთზე იმეორებს ჟვანია-სააკაშვილის ორი წლის წინანდელ გამოსვლებს). გასაგებია, რომ მორალი და პოლიტიკა ხშირად წინააღმდეგობრივი ცნებებია, მაგრამ პოზიციათა ასეთი ცვალებადობა უცილობლად გამოიწვევს ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის ხმების დაკარგვასაც. გარდა ამისა, ახალმა გარემოებებმა შეიძლება, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფებებზეც. ასე რომ, გადაწყვეტილების მიღება პარტიებსაც მოუწევთ. ზოგიერთი მათგანის წინაშე საკითხი ასე დადგება – რა გადაწონის, საარჩევნოდ მიღებული ფინანსები თუ სანაცვლოდ დაკარგული ამომრჩეველთა ხმები.



*რა შეიცვალა ამ ერთ წელიწადში?*




ყველაზე ხელმისაწვდომი

წინასწარი გადახდის 10-ლარიანი ლაი-ლაი ბარათის მოქმედების ვადა განისაზღვრება 21 დღით (ბარათის გააქტიურების დღიდან)

21 დღის განმავლობაში:

აბონენტს შეუძლია განახორციელოს და მიიღოს ზარები, აგრეთვე ისარგებლოს ყველა გააქტიურებული სერვისით ავანსის ამოწურვამდე. ბალანსზე თანხის ამოწურვის შემთხვევაში აბონენტს ცალმხრივად ეთიშება ტელეფონი, ანუ მას შეუძლია მიიღოს შემომავალი ზარები და დაუკავშირდეს ჯეოსელის 24-საათიან უფასო ავტომატურ სამსახურს ნომერზე – 7010.

22-ე დღეს:

აბონენტს აღარ შეუძლია განახორციელოს ან მიიღოს ზარები მაშინაც კი, თუ არ მოხდა ლაი-ლაი ბარათზე აღნიშნული თანხის სრული გახარჯვა ბოლო გააქტიურებიდან 21 დღის განმავლობაში.

გაუხარჯავი თანხა აღდგება ახალი წინასწარი გადახდის ლაი-ლაი ბარათის გააქტიურებით ბოლო გააქტიურებიდან 141 დღის განმავლობაში.

142-ე დღეს:

აბონენტის ნომერი უქმდება და ბალანსზე არსებული თანხა ანულირდება, თუკი აბონენტი არ სარგებლობს კომპანიის წინასწარი გადახდის მომსახურებით, ლაი-ლაი ბარათის ბოლო გააქტიურებიდან 141 დღის განმავლობაში.

გაითვალისწინეთ: ლაი-ლაი ნომრის ხანგრძლივობის ვადა განისაზღვრება ბოლოს გააქტიურებული ლაი-ლაი ბარათის მოქმედების ვადით.

1 ივლისამდე ბარათით სარგებლობის ვადაა 3 კვირა.*

www.lai lai.com.ge

*კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს აქტივაციის ვადები წინასწარი შეტყობინების შემდეგ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 822 770 177 ან 928 – მობილურით

## ომი და პრესა

### ომი ისპანიასა და ამერიკას შორის

პურის გაძვირება ევროპაში და სიმინდის გაძვირება ჩვენში - აი, ამ ერთი კვირის ამბები. იქ, ევროპაში, ხალხი აჯანყებას ახდენს პურის სიძვირის გამო, აქ, იმერეთში, ხალხი სიხარულით აღფრთოვანებულია სიმინდის ფასის აწევის გამო. ჩვენი სიმინდი, დავარდნილი და აბუჩად აგდებული, კვლავ წელში გაიმართა, გამაგრდა და მსოფლიო ბაზარს თავისი ძლევამოსილება აგრძნობინა. და თუ კი მან ერთხელ ეს ალაგი დაიჭირა, მისი იქიდან გამოგდება, რამდენსამე წლის განმავლობაში მაინც, შეუძლებელი იქნება. მაგრამ ასეთი ცვლილებებისთვის საჭირო ყოფილა ევროპის ბაზრის ერთიანი შერყევა, ომიანობა და სისხლის ღვრა ერთ ალაგას, მიმოსვლის და საქონლის გადატან-გადმოტანის შეფერხება მეორე ალაგას - ერთი სიტყვით საერთო კრიზისი, საერთო არეულ დარეულობა. და აი, ყველა ეს ახარებს იმერეთის ხალხს და იმედს აძლევს ახლა მაინც ვუშოვოთ დრო და ამ გაჭირვებულთ ჩვენი ნაოფლ-ნაშრომი მამასისხლათ მივყიდოთო. და მართლაც, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან ძვირათ არ იყიდება, მარა მოსალოდნელია ცოტა ხანში კიდევ უფრო აიწევა ფასში და ის, ვინც დღეს ფუთს თერთმეტ შაურად ჰყიდის, თავში ხელის ცემას მოჰყვება - რატომ გადავყარე ასე მუქთათო! მაშ ხელი მოვითბოთ ევროპის გაჭირვებით! ღმერთმა ერთი რათ აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!

*"კვალი" N19, 1898 წელი*

### როდის დამთავრდება ომი

ომი ისპანიასა და ამერიკას შორის ჯერ-ჯერობით ვერაფრით ვერ გადაწყდა, და, როგორც ჩანს, დიდ ხანს გაგრძელდება, უეჭველია ეს გაგრძელება ამერიკის სასარგებლოა, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში ის ახალ მოკრებილ ჯარს გაწვრთნის და რეგულიარულ მხედრობას დაამზგავსებს. მაშინ კუბის აღება აღარ გაუჭირდება.

*"კვალი" N21, 1898 წელი*

### მოსალოდნელია ისპანიისა და ამერიკის ომი ჩქარა გათავდეს

უკანასკნელი დეპეშა იუწყება, რომ ისპანიის მთელი ესკადრა გაანადგურეს ამერიკელებმაო. ისპანიას დარჩა მხოლოთ კიდევ ერთი ესკადრა, რომელიც ისპანიის ნაპირების დასაცავათ არის საჭირო. ომი გაგრძელდება ხმელეთზე. როგორც იუწყებიან კუბის ქალაქ სანტიაგოს ამერიკელები შემორტყმიან. ერთი სიტყვით ისპანია ყოველ ფეხის ნაბიჯზე მარცხდება და შორს აღარ არის ის დრო, როცა ომის გაგრძელება აღარ შეეძლება.

*"კვალი" N27, 1898 წელი*

### ესპანია და ამერიკის შეერთებული შტატები

ამ დღეებში ოთხი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ესპანიისა და ამერიკის ომი დაიწყო. ოთხი თვე დასჭირდა, ვიდრე ესპანია თავის უძლურებას დაინახავდა, დარწმუნდებოდა, რომ მას ამერიკასთან ომი არ შეუძლიან და ზავს მოითხოვდა. კიდევ კარგი, რომ დღეს მაინც, ოთხი თვის შემდეგ, გონს ჩავარდა ესპანიის მთავრობა და ომის მოსპობა მოიწადინა. ეხლა წინანდელი პატრიოტული ხმები: "ამერიკას არასფერს არ დაუთმობთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ", აღარსად აღარ გაისმის. ომის განგრძობის მომხრე ესპანიაში ეხლა მგონი მარტო მარშალი ბლანკო-ღაა. დანარჩენნი, მარშალ კამპისიდგან დაწყებული კასტოლიარამდე, იმ აზრს ადგანან, რომ ბრძოლას ბოლო უნდა მოეღოსო. მარშალ კამპოს, რომელიც დღემდის დიდი წინააღმდეგი იყო ზავისა, უთქვამს, რომ ომის განგრძობა ეხლა დიდი სისულელე იქნებაო. რაც შეეხება ესპანიის ხალხს, სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას ისინი დიდის სიხარულითა და აღტაცებით მიეგებენ. ასე განსაჯეთ, კუბასა და პორტო-რიკოში მყოფ ესპანიის ჯარსაც-კი დაეკარგა ყოველივე ხალისი ბრძოლისა. პორტო-რიკოში ესპანიის ჯარი თითქმის არავითარ წინააღმდეგობას აღარ უწევს ამერიკელებს და ქალაქს ქალაქზედ უთმობს. ესპანელნი დარწმუნებულნი არიან, რომ პორტო-რიკო ამერიკას დარჩება.

გაზეთების სიტყვით, ამერიკელები მეტად კარგად ექცევიან ტყვე-ესპანელებს. ყველგან, სადაც ტყვე აფიცერს დაინახავენ, აღტაცებით და სიხარულით ეგებებიან თურმე. განსაკუთრებით ამერიკელებს ძალიან შეჰყვარებიათ ადმირალი სერვერი. მათ ხელის მოწერაც-კი გაუმართავთ, რათა მოკრებილის ფულით მიწა იყიდონ და სერვერს მიართვან საჩუქრად.

*"ივერია" N164, 1 აგვისტო, 1898 წელი*

### ესპანია და შეერთებული შტატები

ეხლა, რაკი ესპანია - ამერიკის ომს ბოლო ეღება, გაზეთები ძალიან ბევრს სწერენ იმის შესახებ - ვინ არის დამნაშავე და ვინ არა. ზოგი ერთის სახელმწიფოს გაზეთები ესპანიას ამტყუნებენ და ამბობენ, რომ ეს სისხლის ღვრა იმან გამოიწვიაო, ზოგი კი ბრალს შეერთებულ შტატებს სდებს. ოსმალეთის გაზეთები, მაგალითად, ძალიან თანაუგრძნობენ ესპანიას და ამტყუნებენ ამერიკას. გაზ. "**Turquie**" სწერს: "შეერთებულმა შტატებმა როგორც იქნა ნიღაბი ჩამოიხსნა და შეატყობინა მთელ ქვეყანას ის, თუ რა უდევს გულში და რა სწადიან. თურმე აზრად კუბისა და პორტო-რიკოს განთავისუფლება-კი არა ჰქონია, არამედ ამ კუნძულების დაპყრობა და დამორჩილება. ამასთან გამოაშკარავდა, რომ ამერიკელები სწორედ იმავე პოლიტიკას ადგანან და ისევე მოქმედებენ კუბის საქმეში, როგორც ინგლისი მოქმედებს კრიტის საქმეში, კუბაში ამერიკელები აქეზებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ამბოხება მოახდინეთო, რომ შემდეგ ჩარევის საბაბი ჰქონოდათ, ასევე მოიქცნენ კრიტში ინგლისელები. ამერიკელები დაჰპირდნენ მეამბოხეთ, თავისუფლებას მოგანიჭებთ და დამოუკიდებელ რესპუბლიკას დაგიარსებთო, ნამდვილად-კი სანტიაგოში კუბის დროშის ნაცვლად თავიანთი დროშა აღმართეს და ამასთან განაცხადეს, რომ კუბელები ჯერ მომზადებული არ არიან თვით მმართველობისათვის, ამიტომ კუნძულის საქმეები დროებით ჩვენ უნდა განვაგოთო. სწორედ ინგლისმაც ასევე "დროებით" იკისრა ეგვიპტის საქმეების განგება და აი, უკვე 18 წელიწადი განაგებს კიდეც".

სულ წინააღმდეგს ამბობს ფრანგული გაზეთი "**Voltoire**": "წინანდელმა მაგალითებმა ესპანია გონს ვერ ჩააგდეს და სწორ გზაზედ ვერ დააყენეს. თავის უსამართლო პოლიტიკის წყალობით ესპანიამ ამ საუკუნის დასაწყისში დაჰკარგა მექსიკა, ბოლივია, ჩილი, პერუ, კოლუმბია და ვენესუელა, მაგრამ მაინც ამ პოლიტიკას თავი არ გაანება. შეუბრალებლად სტანჯავდა და აწვალებდა კუნძულების მცხოვრებლებს. ყველგან მტარვალობა იყო გამეფებული. კერძო კაცებს არავინ ინდობდა, იმათი ქონება დაუკითხავად მიჰქონდათ ესპანელებს; ხალხი სიღარიბეში ჩაცვივდა, ხოლო გუბერნატორები მილიონების პატრონები გახდნენ... მცხოვრებელთ ვეღარ გაუძლეს ასეთ მტარვალობას და ამბოხება მოახდინეს. ამბოხების ჩასაქრობად ესპანელთ უკიდურესი საშუალებანი იხმარეს... სულ ერთიან ძირს დასცეს კუბის კეთილდღეობა. აი, სწორედ ამიტომ აღიმაღლა ხმა შეერთებულმა შტატებმა და ამიტომ ჩაერია კუბის საქმეში."

*"ივერია" N166, 4 აგვისტო, 1898 წელი*

### შეერთებული შტატები

გაზეთი "**Temps**"-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს: "მაკ-კინლეის ყოველ დღე აუარებელი მისალოცი დეპეშა და წერილი მისდის. შეერთებულ შტატებში ყველანი კმაყოფილნი არიან ომით და იმის შედეგებით. თუმცა ხელშეკრულების ძალით, შეერთებული შტატები ვალდებული არ არიან შემწეობა აღმოუჩინონ ესპანეთის ჯარის-კაცებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა გაჭირვებულმა მდგომარეობამ აიძულა მთავრობა დახმარება აღმოუჩინოს მათ. მთავრობამ უკვე გადასწყვიტა კუბაში სურსათი გაჰგზავნოს ესპანიის ჯარის გამოსაკვებად."

*"ივერია" N172, 1898 წელი*

### პოლიტიკა

კარგა ხანია ამ დროინდელ პოლიტიკაზე არ გვილაპარაკნია. როდესაც ისპანიასა და ამერიკას შორის ატყდა უთანხმოება კუბის კუნძულის თაობაზე, ჩვენ მაშინ ასე გამოვთქვით ჩვენი აზრი: "ეს უთანხმოება უომრათ არ გათავდება და ომში კი გამარჯვებული ამერიკა დარჩება, კუბა განთავისუფლდება, ხოლო ეს გარემოება ისპანიაში არეულობას გამოიწვევს და გათავდება რესპუბლიკის დამკვიდრებით თქვა". თუმცა მრავალი გაზეთები და თვით სახელმწიფოს წარმომადგენლებიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ უსათუოთ ომი ისპანიას უნდა მოეგო, მაგრამ იმათი სურვილი არ გამართლდა, რადგან ულმობელმა დროთა ვითარების წინმსვლელობამ და კულტურის მოძრაობის შედეგმა თავისი გაიტანა. ამერიკამ, როგორც მეტი კულტურისა და შეძლების მქონე სახელმწიფომ, თავისი აილო: ისპანია დაამარცხა და შორს არ არის ის დროც, როცა დამარცხებული ისპანია წარმატების გზას დაადგება და თავის ქვეყანაში რესპუბლიკას დაამკვიდრებს, რადგან უამისოთ მისი სრული აღორძინება შეუძლებელია. მაგრამ ამერიკის გამარჯვებას ერთი ისეთი საოცარი რამ შედეგი მოჰყვა, ისეთი ახალი ხანა დადგა იმის გამო მსოფლიო პოლიტიკაში, რომ ამას კი არავინ მოელოდა. ამიერიდან ამერიკა შეიქნა მსოფლიო სახელმწიფო, რომლის ძლიერების აჩრდილმა ევროპის სახელმწიფოებს ძილი დაუფრთხო. აქამდის ამერიკა ძველი ქვეყნების საქმეში არ ერეოდა და მისდევდა მონროეს მცნებას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამერიკა ამერიკელებისთვისო, ამერიკას სხვა ქვეყნებთან საქმე არა აქვსო; ბედმა იმას არგო საზრუნავათ ამერიკის ხმელეთის საქმეები, და გარეშე ამერიკის ხმელეთისა, იმას ევროპის სახელმწიფოებთან საქმე არ უნდა ჰქონდესო, იმას ამერიკის ხმელეთიც ეყოფა, რომ ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და ავსტრალიაში ევროპის სახელმწიფოებს არ შეეცილოსო. მთელი ერთი საუკუნე ამერიკის შტატები ამ აზრზე იყვნენ დამყარებული; მაგრამ ისპანიის ომმა და ინგლისის შორს მხედველობამ სულ სხვანაირათ დაატრიალა საქმე. ამერიკა გამოვიდა მსოფლიო ასპარეზზე, ის ჩაერია ევროპის საქმეებში...

*გ. წერეთელი, "კვალი" N49, 29 ნოემბერი, 1898 წელი*

### ამერიკის შეერთებული შტატები

უკანასკნელმა გამარჯვებამ ამერიკელებს ფრთები შეასხა. წინანდელი პოლიტიკა ეხლა ამ სახელმწიფოს აღარ აკმაყოფილებს. მოგეხსენებათ, რომ ამერიკელები დღემდის მთელ თავისს ყურადღებას შინაურ ცხოვრებას აქცევდნენ. სხვა ქვეყნების დაპყრობის, სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევის შესახებ შეერთებული შტატები დღემდის სრულიად არა ჰფიქრობდა. ჯარიც მხოლოდ იმდენი ჰყავნდა - სახელდობრ 35 ათასი კაცი, - რამდენიც შინაურ საქმეებისთვის იყო საჭირო. დღეს-კი, გამარჯვების გამო, ამერიკელების და მათი მთავრობის აზრი და შეხედულება ძირიანად შეიცვალა. ეხლა, ამერიკის მთავრობა, როგორც ევროპის ყველა დიდთა სახელმწიფოთა მთავრობა, გაიძახის, რომ ფლოტი და ჯარი უნდა გავაძლიეროთო, სხვა ქვეყნები უნდა დავიპყროთ და მთელ ქვეყანას ჩვენი იარაღის ძალა უნდა დავანახვოთო. როგორც ამერიკიდან იუწყებიან, მთავრობას უკვე გადაუწყვეტია ფლოტი ერთი ორად გააძლიეროს და ჯარი პირველ ხანს მაინც ერთი სამად გაამრავლოს. ამას გარდა იუწყებიან, რომ შეერთებული შტატების მთავრობას აზრათა აქვს ჩინეთის საქმეშიაც ჩაერიოს და სხვა სახელმწიფოებისათვის იქ ადგილი შეიძინოს.

*"ივერია" N173, 1898 წელი*

# ომის მეთვრამეტე დღე: ბაღდადი ალყაშია

შოთა უტიაშვილი



სახმელეთო ოპერაციები გრძელდება.



REUTERS

ბაღდადის გარეუბანში.

ბაღდადის ბლოკირება გრძელდება. მოკავშირეთა ჯავშნიანმა კოლონებმა ქალაქიდან ჩრდილოეთითა და დასავლეთით მიმავალი მაგისტრალები გადაკეტეს. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ბაღდადს საზღვაო-ქვეითთა დივიზია მოადგა. სადამის სახელობის აეროპორტში მოკავშირეებმა დამატებითი ტექნიკა და იარაღი გადაისროლეს.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გუშინ მდინარე ევფრატი მოკავშირეთა 2000 ტანკისა და ჯავშანმანქანისაგან შემდგარმა კოლონამ გადაკვეთა, რომელიც ერაყის დედაქალაქისაკენ მიემართება.

მოკავშირეთა დაზვერვის მტკიცებით, სადამი ერაყის სხვა ქალაქებთან კავშირის დამყარებას ვეღარ ახერხებს. ამერიკელთა მიერ დაჭერილი რადიოგრამის მიხედვით, ბაას-ის პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მიეცათ ინსტრუქცია, საკუთარი შეხედულებების მიხედვით იმოქმედონ.

სადამის, ფაქტობრივად, უკვე დამხობილი მთავრობის ნაცვლად, ამერიკელები უახლოეს დღეებში ახალ მთავრობას შექმნიან, რომელსაც, ჯერჯერობით, "რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების ოფისი" ეწოდება.

ყველა ძირითად პოსტს ამ ახალ "მთავრობაში" ამერიკელები დაიკავებენ, ზოგიერთ მეორეხარისხოვან თანამდებობაზე ბრიტანელები და ავსტრალიელები დაინიშნებიან.

"მთავრობის" წევრთა სია შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გუშინ გამოაქვეყნა. მას სათავეში გადამდგარი ამერიკელი გენერალი ჯეი გარნერი ჩაუდგება. ერაყი დაიყოფა სამ ადმინისტრაციულ ოლქად: ჩრდილოეთის, ცენტრალური და სამხრეთის. პირველ მათგანს გადამდგარი გენერალი ბრიუს მური უხელმძღვანელებს, მეორეს - ამერიკის ყოფილი ელჩი იემენში, ბარბარა ბოდაინი და მესამეს - კიდევ ერთი გადამდგარი გენერალი ბაკ უოლტერსი.

"მთავრობა" სამი ძირითადი სამსახურისაგან შედგება. ჰუმანიტარული დახმარების განაწილებას უხელმძღვანელებს ჯორჯ უორდი, ამერიკის ყოფილი ელჩი ნამიბიაში, აღდგენით სამუშაოებს კოორდინირებას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი ლუის კლარკი გაუწევს, ხოლო სამოქალაქო ადმინისტრაციის უფროსად იურისტი მაიკლ მობსი დაინიშნება.

"ერაყის გენერალ-გუბერნატორის" როლს "ცენტრალური სარდლობის" შეფი ტომი ფრენკსი შეასრულებს. მისი ძირითადი მოვალეობა ქვეყანაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნება იქნება.

მთავრობის წევრთა სიამ გამოქვეყნებისთანავე მწვავე კრიტიკა დაიმსახურა. მას აკრიტიკებ ევროპელები - რადგან ადმინისტრაციაში არ შედიან გაერო-ს წარმომადგენლები, არაბები - რადგან მთავრობაში არ არიან წარმოდგენილნი ერაყელები, და ერაყული ოპოზიცია – იოლი მისახვედრია, რატომაც. ახალ მთავრობას მაშინვე კოლონიური ადმინისტრაციის იარლიყი მიაკერეს.

არაბი მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ უცხოელების მიერ დაკომპლექტებული მთავრობა ერაყელების ნდობას ვერასოდეს მოიპოვებს. "ორი თვე ერაყელები ჩუმად იქნებიან, სანამ ისინი ვაშინგტონიდან უფასო საჭმელსა და მედიკამენტებს მიიღებენ. მხოლოდ ალაჰმა უწყის, რა შეიძლება მოხდეს შემდეგ," – ამბობს მწერალი საიდ აბურიში.

ვაშინგტონი აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოაყალიბოს ერაყში ნამდვილი მთავრობა და ხელისუფლებაც მას გადასცეს. მაგრამ ამას გარკვეული დრო დასჭირდება – წინასწარი ვარაუდით, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, რამდენიმე თვე მაინც. ეს მთავრობაც ამერიკელების დანიშნული იქნება, მაგრამ მასში ერაყელებიც შევლენ. იგი შეიმუშავებს ახალი კონსტიტუციის პროექტს და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს.

■ ■ ■

შაბათს, ბაღდადის ქუჩებში სამსაათიანი "გასეირნების" შემდეგ, ამერიკულმა ტანკებმა ერაყის დედაქალაქი დატოვეს.

ქალაქში 40-მდე ამერიკული ტანკი და საბრძოლო მანქანა სამხრეთიდან შევიდა, წრე მოხაზა და შემდეგ აღმოსავლეთით, აეროპორტის მიმართულებით წავიდა. მოკავშირეთა სარდლობის მტკიცებით, რეიდის დროს 2-3 ათასი ერაყელი ჯარისკაცი მოკლეს.

ამერიკელები ადრევე აცხადებდნენ, რომ ბაღდადის აღებისათვის სწორედ ასეთ ტაქტიკას გამოიყენებდნენ. მათი თქმით, ასეთ რეიდებს, პირველ რიგში ფსიქოლოგიური თვალსაზრისით აქვთ მნიშვნელობა. სარდლობის წარმომადგენლის, გენერალ რენუარის თქმით, მათ დაუმტკიცეს რეჟიმს, რომ "ბაღდადში შევლენ, როცა უნდათ და სადაც უნდათ". დოჰაში განლაგებული შტაბის თქმით, მათ ბაღდადის მოსახლეობაც დაარწმუნეს იმაში, რომ რეჟიმი სულს ღაფავს.

ამავე დროს, მოკავშირეთა სარდლობის განცხადებით, მათ ძალზე მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაცია მიიღეს იმის შესახებ, თუ როგორ არის ქალაქი დაცული და როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს ერაყული შენაერთები და მთავრობა კრიზისულ სიტუაციებში. კოალიციის შტაბის თქმით, ის ფაქტი, რომ ერაყელებმა კოლონისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს, იმაზე მიუთითებს, რომ სადამის მთავრობა ვითარებას ვერ აკონტროლებს, მაგრამ მეორეს მხრივ, ცალკეული შენაერთების მიერ ბრძოლის გამართვა იმას მოწმობს, რომ ქალაქი ჯერ დანებებას არ აპირებს.

ამერიკელების რეიდის შედეგად, ქალაქიდან რამდენიმე ათასი ადამიანი გაიქცა. უნდა ვიფიქროთ, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი დატოვებს ქალაქს, მით უფრო იოლად და ნაკლები მსხვერპლით მოახერხებენ მოკავშირეები ბაღდადის აღებას.

სარდლობა აცხადებს, რომ ამგვარი რეიდები მომავალშიც გაგრძელდება. ამან უნდა შეასუსტოს ქალაქის დამცველები და მათში დაბნეულობა გამოიწვიოს. პარალელურად, სპეციალური დანიშნულების ნაწილი ქალაქში სტრატეგიულ ობიექტებს დაიკავებს და ბლოკ-პოსტებს გამართავს.

ამერიკელების მიერ ბაღდადის ასაღებად ბრძოლა სულ უფრო მეტად წააგავს ბრიტანელების ოპერაციას ბასრას წინააღმდეგ.

■ ■ ■

ბასრის ალყა ომის პირველივე დღეებიდან დაიწყო. ბრიტანულმა "უდაბნოს ვირთხებმა" ქალაქის ბლოკირება მოახდინეს და არტილერიისა და ავიაციის დახმარებით ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყეს წინ წაწევა. ორი კვირის მანძილზე ქალაქის შტურმი არ განხორციელებულა, თუმცა ბრიტანელებმა ქალაქის გარეუბნებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი დაიკავეს.

გუშინ, "უდაბნოს ვირთხებმა" პირველი მასშტაბური ოპერაცია განახორციელეს. რამდენიმე ათასი ბრიტანელი საზღვაო ქვეითი ქალაქის ცენტრში შეიჭრა.

შოტლანდიელ დრაგუნთა კაპიტნის როჯერ მაკმილანის განცხადებით, ერაყელებს წინააღმდეგობა თითქმის არ გაუწევიათ. არც ერთი მხრიდან მსხვერპლი არ ყოფილა.

ბრიტანული ჯარების წარმომადგენლის, ალ ლოკვუდის განცხადებით, შეტევა ერთდროულად სამი-ოთხი ფრონტიდან განხორციელდა. კოალიციის ჯარისკაცების მიზანი ქალაქში დარჩენილი ერაყელი გასამხედროებული დაჯგუფებების ლიკვიდაცია და საკონტროლო პუნქტებისა და ბლოკ-პოსტების განლაგება იყო.

ლოკვუდის თქმით, ბასრას მოსახლეობის ნაწილი ბრიტანელებს ღიმილითა და ხელის ქნევით შეხვდა. თავის მხრივ, ინგლისელმა ჯარისკაცებმაც მიიღეს ბრძანება ხელი არ ახლონ ქალაქში განლაგებულ არცერთ ობიექტს, იმათ გარდა, რომელთაც პირდაპირი სამხედრო დანიშნულება აქვთ. მოკავშირეებს იმედი აქვთ, რომ ქალაქში ჰუმანიტარული დახმარების მოსვლასთან ერთად, მოსახლეობის დამოკიდებულება მათდამი კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

■ ■ ■

გუშინ, ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ ქალაქის შორიახლოს, ამერიკულმა ბომბდამშენმა შეცდომით ქურთებისა და ამერიკის სპეცდანიშნულების ჯარების ერთიანი კოლონა დაბომბა.

18 ქურთი მებრძოლი, ე.წ. ფეშმერგა დაიღუპა და 45 დაიჭრა. დაჭრილებს შორის ერაყელ ქურთთა ერთ-ერთი ლიდერის, მასუდ ბარზანის შვილი და ძმა არიან. ძმა მძიმედაა დაჭრილი. ამერიკელებმა იგი სასწრაფოდ გერმანიაში, სამხედრო ჰოსპიტალში გადააფრინეს.

ამერიკელების მხრიდან მსხვერპლის თაობაზე ინფორმაცია ჯერ არ არსებობს. კოლონაში იმყოფებოდნენ "ბი-ბი-სი"-ს ჟურნალისტებიც, რომლებიც უვნებლად გადარჩნენ, თუმცა დაიღუპა მათი თარჯიმანი. ამერიკელთა სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლებმა თვითმფრინავი თვითონ გამოიძახეს ერაყული ტანკის გასანადგურებლად, რომელიც მათ გზას ულობავდა. პილოტმა კი ტანკის ნაცვლად, თავად კოლონას მოარტყა.

■ ■ ■

გუშინ ბაღდადის დასავლეთით დაცხრილეს ავტოკოლონა, რომელსაც რუსი დიპლომატები და ჟურნალისტები გადაჰყავდა. რუსები, რომელთა შორის იყო რუსეთის ელჩი ერაყში ტიტორენკო, ბაღდადიდან სირიაში მიემართებოდნენ.

თვითმხილველის განცხადებით, ბაღდადის გარეუბანში კოლონამ სროლის ხმა გაიგონა და ბრძოლის ადგილის გვერდის ავლა გადაწყვიტა. მოულოდნელად, ცეცხლი მათი მიმართულებით გახსნეს და სამი კაცი დაჭრეს.

კოლონამ გზა გააგრძელა, მაგრამ სულ მალე მათ წინ რამდენიმე ჯიპი დაინახეს. დიპლომატებმა წინ ერთი მანქანა გააგზავნეს, მაგრამ ჯიპებიდან მასაც ცეცხლი გაუხსნეს და ორი კაცი დაჭრეს.

5 დაჭრილიდან ოთხი მსუბუქი დაზიანებებით გადარჩა, მეხუთეს კი ორი ტყვია მოხვდა და მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

კოალიციის სარდლობა ყატარში აცხადებს, რომ მისთვის ცნობილი იყო რუსული კოლონის გადაადგილების შესახებ. თანაც, იმ რაიონში მოკავშირეთა ჯარები არ იმყოფებოდნენ.

თუმცა, როგორც ტელეკომპანია "როსია" იუწყება, დიპლომატის სხეულიდან ამოღებული ტყვიები M-16-დანაა ნასროლი.




# ბუში და ბლერი ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმას განიხილავენ


ტონი ბლერი და ჯორჯ ბუში.

კვირას ისრაელმა პალესტინელთა მიერ ებრაელებზე თავდასხმის აღკვეთა დაჟინებით მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისრაელი ახალ სამშვიდობო გეგმას მხარს არ დაუჭერს. ტელ-ავივი ვარაუდობს, რომ აშშ-ბრიტანეთის დღევანდელ სამიტზე ებრაელებისაგან გეგმის შესრულებას მკაცრად მოითხოვენ.

"მთელი მომავალი მოქმედება დამოკიდებულია იმაზე, შეუძლია თუ არა აბუ მაზენს (პალესტინის ახლადდანიშნულ პრემიერ-მინისტრს) რეალური ძალაუფლების ხელში აღება და ტერორისტული მოქმედებების აღკვეთა, - განაცხადა ისრაელის მინისტრთა კაბინეტის წევრმა ეჰუდ ოლმერტმა.

ისრაელის ხელისუფლება პალესტინის ლიდერთან იასირ არაფატთან დიალოგზე უარს აცხადებს, მაგრამ თანახმაა მოლაპარაკებები აბუ მაზენთან აწარმოოს.

2000 წელს სამშვიდობო პროცესის შეწყვეტის შემდეგ დაწყებული შეტაკებებისას 1968 პალესტინელი და 727 ებრაელი დაიღუპა.

ოლმერტის გამოსვლიდან რამდენიმე საათში არიელ შარონის მეთაურობით მინისტრთა კაბინეტი შეიკრიბა. მთავრობამ შეერთებული შტატების, გაერო-ს, ევროკავშირისა და რუსეთის მიერ შემუშავებული ახალი სამშვიდობო გეგმა უნდა განიხილოს.

აღნიშნული გეგმის შემუშავება პალესტინელთა მიერ 30 თვის წინ დაწყებულმა ინტიფადამ შეაფერხა. გეგმა 2005 წელს პალესტინის სახელმწიფოს შექმნასა და ისრაელისათვის უსაფრთხოების გარანტიებს ითვალისწინებს. ამავე გეგმის თანახმად, დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში ებრაელების ჩასახლება უნდა შეწყდეს.

თუმცა, ჩასახლების პროცესის შეჩერებამ, შესაძლოა, არიელ შარონის მემარჯვენე მთავრობას პრობლემები შეუქმნას.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა, რომელმაც ერაყში მიმდინარე ომის გამო დაწყებული შიდაპოლიტიკური დაპირისპირება უკვე ჩააცხრო, ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს მოუწოდა, რომ ოთხეულის მიერ მომზადებული გეგმისაგან დამოუკიდებლად შექმნილი ამერიკული სამშვიდობო გეგმის დეტალები მალე გამოამზეუროს.

ორი ლიდერი შეხვედრას დღეს ჩრდილოეთ ირლანდიაში აპირებს. ისინი ერაყის კონფლიქტსა და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმას განიხილავენ.

შარონის უფროსმა მრჩეველმა დოვ ვაისგლასმა შაბათს, ისრაელის რადიოთი გამოსვლისას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის მთავრობას "ამერიკის ადმინისტრაციასთან სრული ურთიერთგაგება აქვს".

სავარაუდოდ, ვაისგლასი კვირის ბოლოს ვაშინგტონს ეწვევა, რათა ამერიკელებთან ერთად სამშვიდობო ინიციატივები განიხილოს. თუმცა, ვაისგლასმა წინასწარ აღნიშნა, რომ ისრაელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ არანაირ კომპრომისს არ დაუშვებენ.

***"როიტერი"***

## ინფორმაცია

### ვოლფოვიცი: ახალი მთავრობის შექმნას ექვსი თვე დასჭირდება

გუშინ ამერიკელებმა ერაყის ახალი მთავრობის შემადგენლობა გამოაქვეყნეს, რომელიც თითქმის მთლიანად ამერიკელებითაა დაკომპლექტებული. მოგვიანებით, აშშ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლ ვოლფოვიცმა განაცხადა, რომ ეს მთავრობა ერაყის სათავეში ექვსი თვის მანძილზე მაინც უნდა იყოს. ეს უფრო მეტი დროა, ვიდრე თავდაპირველად ფიქრობდნენ.

მთავრობის შემადგენლობამ და ვოლფოვიცის განცხადებამ ერაყული ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია. ოპოზიცია იმედგაცრუებულია იმით, რომ ერაყის მართვაში მონაწილეობის მიღება მათთვის არავის შეუთავაზებია.

გუშინ, ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამერიკული ოკუპაციის წინააღმდეგნი არიან, ქურთთა ერთ-ერთმა ლიდერმა კი განაცხადა რომ ერაყში ერთ დიქტატორს (ჰუსეინი) მეორე (გარნერი) შეცვლის.

### დღეს უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართება

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა დღეისათვის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა მოიწვია.

"ეს იქნება უშიშროების საბჭოს 15 წევრი ქვეყნის არაფორმალური შეხვედრა გენერალურ მდივანთან" – განაცხადა აპრილში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, მექსიკის წარმომადგენელმა. მას არ დაუზუსტებია შეხვედრის თემა. სავარაუდოდ, საბჭოს წევრები ერაყის საკითხს განიხილავენ.

### ევროკავშირის სამიტი ათენში

16 აპრილს, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები ათენში ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას კავშირში გაწევრიანების შესახებ. საზეიმო ცერემონია აკროპოლისთან გაიმართება. 2004 წლის მაისში ეს ქვეყნები კავშირის სრულუფლებიანი წევრები გახდებიან.

ცერემონიას 15-ვე წევრი ქვეყნისა და ათი კანდიდატი ქვეყნის ლიდერები დაესწრებიან. ათენში მიწვეული არიან რუსეთის პრეზიდენტი და თურქეთის პრემიერ-მინისტრიც.

საბერძნეთის მთავრობის განცხადებით, ათენს იმედი აქვს, რომ 16 აპრილი შერიგების დღედ იქცევა ევროპელი ლიდერებისათვის, რომლებიც ერაყის პრობლემასთან დაკავშირებით ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ.

### სპარსეთის ყურის ქვეყნები იკრიბებიან

კუვეიტის მოთხოვნით, დღეს ამ ქვეყანაში სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს სხდომა გაიმართება.

საბჭოზე ძირითადად ერაყის მოსახლეობისათვის დახმარების საკითხები უნდა განიხილონ. საბჭოს წევრ ექვს ქვეყანას ერაყელებისათვის სერიოზული დახმარების აღმოჩენა შეუძლია. საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბაჰრეინი, კუვეიტი, კატარი და ომანი მსოფლიო ნავთობის მარაგის ნახევარს ფლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ კუვეიტი მთავარი პლაცდარმი იყო მოკავშირეთათვის, კატარი კი მათ შტაბს მასპინძლობს, საბჭოს წევრი ქვეყნები აცხადებენ, რომ ისინი არ უჭერენ მხარს ერაყის წინააღმდეგ ომს.

# ავღანეთის ლიდერის უახლოესი მოკავშირე მოკლეს

ცენტრალურ ავღანეთში ქვეყნის პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის უახლოესი მოკავშირე ჰაჯი გილანი მოკლეს.

ერთ-ერთი ადგილობრივი მმართველის ცნობით, ჰაჯი გილანი და მისი ძმისშვილი დეჰ რავუდის რაიონში (ურუზგანის პროვინცია) სახლიდან გამოსვლისას ჩაცხრილეს.

ადგილობრივი პოლიციის თქმით, ისინი ამ ინციდენტს იძიებენ, თუმცა, ჯერჯერობით არავინ არ დაუპატიმრებიათ.

პროვინციის გამგებელმა ჯონ მოჰამადმა "ასოშეიტედ პრესს" განუცხადა, რომ პირადი მტრობის საფუძველზე ეს მკვლელობა არ მომხდარა. მისი აზრით, დიდია იმის ალბათობა, რომ მკვლელობის უკან თალიბები დგანან.

60-ს გადაცილებულმა გილანმა თავის დროზე ყარზაი შეიფარა, როდესაც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ავღანეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ქვეყანაში დაბრუნდა. ავღანელთა ლიდერი იძულებული იყო, თალიბების მოწინააღმდეგეებისათვის შეეფარებინა თავი. მის მასპინძლებს კი ეს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად უჯდებოდათ.

"როდესაც ყარზაი ავღანეთში დაბრუნდა, გილანი ერთადერთი იყო, რომელიც მას დაუყოვნებლივ დაეხმარა", - აღნიშნა მოჰამადმა "ფრანს პრესთან" საუბრისას.

აღსანიშნავია, რომ გილანის მკვლელობა ამერიკელი და ავღანელი ჯარისკაცების მიერ ახლახან ყანდაღარში ჩატარებულ ოპერაციას მოჰყვა, რომლის შედეგად, რვა თალიბი მებრძოლი მოკვდა, ხოლო 15 - დაატყვევეს.

ამ ბოლო დროს ვითარება ავღანეთში საგრძნობლად დაიძაბა. პარასკევს წითელი ჯვრის თანამშრომელი მოკლეს და ეს მკვლელობაც ურუზგანის პროვინციაში მოხდა.

რამდენიმე დღის წინ თალიბების რეჟიმის უზენაესმა ლიდერმა მოლა მოჰამად ომარმა ავღანელებს მოუწოდა, რომ ერაყში კოალიციის ჯარების წინააღმდეგ ჯიჰადში მონაწილეობა მიიღონ.

ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ალი აჰმად ჯალალის აზრით, თალიბების გააქტიურება, სავარაუდოდ, ერაყში მიმდინარე ომს უკავშირდება.

# კონდოლიზა რაისი მოსკოვთან ურთიერთობების მოგვარებას შეეცდება



კონდოლიზა რაისი.

გუშინ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისი მოსკოვში ჩავიდა, რათა ერაყის ომის გამო შექმნილი დაძაბული ურთიერთობები მოაგვაროს, - განაცხადა რუსეთში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა.

"ის [კონდოლიზა რაისი] დილას ჩამოვიდა. იგი რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს შეხვდება", - აღნიშნა საელჩოს წარმომადგენელმა.

"ჩვენ რუსეთთან ხანგრძლივი სტრატეგიული თანამშრომლობა გვსურს. ახლა შედარებით რთული დრო გვიდგას, ერაყის თაობაზე არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ ჩვენი უთიერთობები დაძაბა."

მოსკოვი ერაყში მიმდინარე ომს ეწინააღმდეგება. პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ომის დაწყებას შეცდომა უწოდა.

სააგენტო "ინტერფაქსმა" ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ რაისი საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვს, თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვსა და უშიშროების საბჭოს მდივანს ვლადიმირ რუშაილოს შეხვდება.

რუსეთში შეერთებული შტატების საელჩოს ინფორმაციით, კონდოლიზა რაისის ვიზიტი ხანმოკლე იქნება. ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მოსკოვს ორშაბათს, დღის მეორე ნახევარში დატოვებს.

# ინდოეთი ახალი ბირთვული რაკეტების გამოცდას გეგმავს

გუშინ ინდოეთმა განაცხადა, რომ შორ მანძილზე მოქმედ რაკეტას "აგნი III"-ს გამოცდის, რომელსაც, ექსპერტების თქმით, ბირთვული ქობინების მოსკოვამდე ან შანხაიმდე მიტანა შეეძლება.

შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა ინდოეთს მოუწოდეს, რომ "აგნი III"-ის განვითარებისაგან თავი შეიკავოს, რადგან ეს ძველ მეტოქეებს - ინდოეთსა და პაკისტანს შორის გამალებული შეიარაღების დაწყებას გამოიწვევს.

რაკეტის გამოცდა, ვფიქრობთ, დროულია და მიგვაჩნია, რომ ჩვენ იგი ბირთვული შეკავების პოლიტიკისათვის გვესაჭიროება", - პრესკონფერენციაზე განაცხადა ინდოეთის თავდაცვის მინისტრმა ჯორჯ ფერნანდესმა.

"გამოცდის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის", - დასძინა მან.

ინდოეთის მტკიცებით, მას შორ მანძილზე მოქმედი რაკეტები მეზობლებისაგან - დასავლეთით პაკისტანისა და ჩრდილოეთით ჩინეთისაგან - თავის დასაცავად ესაჭიროება, რომლებთანაც წარსულში ომი ჰქონდა.

ფერნანდესის თქმით, ინდოეთმა "ტრიშულის" განვითარება შეაჩერა. ეს მიწა-ჰაერის ტიპის რაკეტაა, რომელიც თვითმფრინავების წინააღმდეგ გამოიყენება.

"აგნი I" და "აგნი II" უკვე დამზადებულია და მალე ინდოეთის არმიის შეიარაღებაში შევა. ორივე მათგანს ბირთვული ქობინების ტარება შეუძლია.

"აგნი I"-ს 700 კილომეტრის მოქმედების რადიუსი აქვს, ხოლო "აგნი II"-ს – 2250. ამ რაკეტებს პაკისტანის მთელ ტერიტორიაზე და ჩინეთის მნიშვნელოვან ნაწილზე სამიზნეების განადგურება შეუძლიათ. "აგნი" ჰინდიზე ცეცხლს ნიშნავს.

ამერიკის მეცნიერთა ფედერაციის ინფორმაციით, ინდოეთმა "აგნი III"-ის განვითარება 1999 წელს დაიწყო. ამავე ორგანიზაციის მტკიცებით, ახალი რაკეტის მოქმედების რადიუსი 3380 კილომეტრი იქნება.

ინდოეთის სარაკეტო არსენალში მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტები "პრითვი" (150 კმ) და მიწა-ჰაერის ტიპის "აკაშის" რაკეტებიც შედის.

ინდოეთმა ახლახან ზებგერითი რაკეტა "ბრაჰმოსი" გამოსცადა, რომელიც რუსეთთან ერთად დაამზადა.

"ზებგერითი რაკეტა "ბრაჰმოსი" უნიკალურია. ჩვენს გარდა, ამგვარი რაკეტები არავის აქვს", - სიამაყით აღნიშნა ფერნანდესმა. "არმიის შეიარაღებაში მისი შეტანა უკვე შესაძლებელია. რაკეტების გამოცდა დამთავრდა".

"ბრაჰმოსის" მოქმედების რადიუსი მხოლოდ 300 კილომეტრია. მართალია, მასზე ბირთვული ქობინები არ მაგრდება, მაგრამ მისი სიჩქარე 2250 კმ/სთ-ს აჭარბებს. "ბრაჰმოსის" სამი ვერსია არსებობს: მიწა-ჰაერი, ჰაერი-მიწა და საზღვაო.

ინდოეთმა ბირთვული იარაღის გამოცდა პირველად 1974 წელს ჩაატარა. 1998 წელს განხორციელებულმა ბირთვული იარაღის გამოცდამ საერთაშორისო თანამეგობრობის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია და შეერთებულმა შტატებმა და ევროპის სახელმწიფოებმა მას ეკონომიკური სანქციები დაუწესეს.

ინდოეთის მოქმედებას პაკისტანმა თავისი ბირთვული იარაღის გამოცდით დაუყოვნებლივ უპასუხა.

დასავლეთის სახელმწიფოებმა ინდოეთსაც და პაკისტანსაც თანდათანობით მოუხსნეს სანქციები, რადგან ორივე ქვეყანამ ალ-ქაიდასა და ტერორიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ომში ვაშინგტონს დაუჭირა მხარი.



# "გორის ელექტროკავშირი" მომხმარებლებს ჩიხში ამწყვდევს



ვასილ გულეური
გორიდან

შარშან, 21 დეკემბერს "საქართველოს ელექტროკავშირის" გორის ფილიალში საზეიმოდ გაიხსნა ახალი ციფრული ავტომატური სატელეფონო სადგური. როგორც "გორის ელექტროკავშირის" მმართველი გივი სამადალაშვილი აცხადებდა, ახალი სატელეფონო სადგური მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სატელეფონო მომსახურების ხარისხს. ხარისხი მართლაც გაუმჯობესდა, მაგრამ ძველი სატელეფონო სადგურიდან ახალზე გადასართველად აბონენტმა 50 ლარი უნდა გადაიხადოს. გივი სამადალაშვილი აცხადებს, რომ ეს ტარიფი "საქართველოს ელექტროკავშირმა" საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დააწესა. თუმცა, ხელშეკრულებაში, რომელსაც "გორის ელექტროკავშირი" აბონენტთან აფორმებს, ეს თანხა აღნიშნული არ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ აბონენტი ახალ სატელეფონო სადგურზე გადართვაზე უარს იტყვის, მას ალტერნატივა აღარ რჩება – ტელეფონი ეთიშება, რადგან ძველი სადგური გაუქმებისთვისაა განწირული.

"გორის ელექტროკავშირი" მონოპოლიურ მდგომარეობაშია, რითიც სარგებლობს კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონში "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" აღნიშნულია: **"მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალება თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით. მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს სხვა ეკონომიკური აგენტის თუ მომხმარებლის ინტერესების შელახვა, როგორიცაა... ხელშეკრულების დადების მიზნით ნებისმიერი სახის იძულება."** ჯერჯერობით, ამ დარღვევას საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის რეაგირება არ მოჰყოლია.

მომხმარებელთა უფლებების კიდევ ერთი დარღვევა სააბონენტო თანხის გადახდის დროს ხდება. "გორის ელექტროკავშირმა" სააბონენტო გადასახადის ბოლო ვადად მომდევნო თვის 15 რიცხვი დააწესა. გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს ტელეფონი ეთიშება, რომლის ხელახლა ჩართვისთვის ერთი ლარი უნდა გადაიხადოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისთვის გორში 7400 აბონენტია, ხოლო სააბონენტო გადასახადისთვის "გორის ელექტროკავშირის" შენობაში მხოლოდ ერთი სალარო მოქმედებს, მან დღეში, დაახლოებით, 300 აბონენტი უნდა გაისტუმროს. ადვილი მისახვედრია, "გორის ელექტროკავშირი" განგებ ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ აბონენტთა უმრავლესობა გადასახადის დროულად გადახდას ვერ ახერხებს, რის გამოც შემდეგ დამატებით ერთი ლარის გაღება უწევს. აქ კი უკვე სხვა დარღვევაც გვხვდება – ერთლარიანი ქვითრის აღრიცხვა არსად ხდება - მას არც ნომერი აქვს, არც კომპიუტერში აღირიცხება. ხშირად ქვითარსაც არ წერენ – თანხა ქაღალდის ნაგლეჯზეა გამოწერილი. ეს შემოსავალი, ფაქტობრივად, არსად აღირიცხება.

**"ქვითარი აუცილებლად დანომრილი უნდა იყოს. ამას მოითხოვს კანონი,** – განუცხადა "24 საათს" გორის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზვიად კობალაძემ, – **თუ დანომრილი და წიგნში გატარებული არ არის, ეს კანონდარღვევაა. ამ საკითხს რევიზიის დროს აუცილებლად გავითვალისწინებთ."**

საინტერესოა, რატომ უნდა უცადოს საგადასახადო ინსპექციამ დარღვევის დაფიქსირებისათვის რევიზიას, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. მანამდე კი, "გორის ელექტროკავშირი" თავის საქმიანობას მშვიდად აგრძელებს.

## მოკლედ

**რუსთავი.** მესამე დღეა, რუსთავს ბუნებრივი აირი დაბალი წნევით მიეწოდება. "რუსთავგაზის" ხელმძღვანელის გენრი მახარაძის განცხადებით, მართალია წნევა დაეცა, მაგრამ ბუნებრივი აირის გათიშვის საფრთხე რუსთავს არ ემუქრება. თუმცა, მისი თქმით, გაზმომარაგება აუცილებლად შეწყდება, თუ რუსთავი მოხმარებული აირის საფასურს არ გადაიხდის. მიმდინარე წლის სამი თვის დავალიანება უკვე 400 ათას ლარს აჭარბებს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თელავი.** ფალსიფიცირებული კონტრაბანდული შხამ-ქიმიკატები კახეთის რეგიონში მოსავალს საფრთხეს უქმნის. შხამ-ქიმიკატებით გამოწვეული ზარალისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ თელავში პრეზიდენტის რწმუნებულის საბჭოსა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გაფართოებულ სხდომაზე იმსჯელეს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის ატომური ელექტროსადგური პარასკევს, სომხეთ-ირანის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის დაზიანების გამო, ქვეყნის ენერგოსისტემიდან გათიშეს. სომხეთის აეს-ი ზაფხულამდე გაჩერდა. სომხეთის ენერგეტიკის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აეს-ის გაჩერების შედეგად წარმოქმნილი ენერგოდეფიციტი რაზდანის თბოელექტროსადგურის და ჰიდრორესურსების ხარჯზე დაიფარება. **"პრაიმ-ნიუსი"**

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 1 - 7 აპრილის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6391 | 0.6849 | 0.0053 |
| US$ | 1.5646 | | 1.0712 | 0.0083 |
| €uro | 1.4604 | 0.9335 | | 0.0078 |
| ¥en | 187.71 | 120.03 | 128.59 | |

**2003 წლის 7 აპრილიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3396 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4154 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5761 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1800 ლარი |
| თურქული ლირა | 10 | 1.3172 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0697 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4442 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3704 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0866 ლარი |

# ჰესების ფარული პრივატიზება მაინც გრძელდება

პირველი გვერდიდან

2003 წლის 7 მარტს ქონების მართვის სამინისტროს გაზეთ "მესაკუთრეში" გამოქვეყნდა სააქციო საზოგადოება "ძევრულჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს განცხადება, ჰესის ძირითადი საშუალებების (N1 ჰიდროაგრეგატის გარდა) იჯარით გაცემის შესახებ. კონკურსის პირობის თანახმად, მოიჯარემ უნდა შეძლოს: სამი ჰიდროაგრეგატის საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, ორი წლის ვადაში მუშა-მოსამსახურეთა სახელფასო დავალიანების დაფარვა, და ოთხი წლის ვადაში, საწარმოს რეაბილიტაციის და განვითარების მიზნით, ხუთი მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიციის ჩადება.

ექსპერტების თქმით, ქონების მართვის სამინისტრომ ჰესის მართვაზე კონკურსი ისე გამოაცხადა, რომ იგი სამინისტროსთან არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზებისა და მართვის უფლებით გადაცემის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ჰესის პრივატიზების წინააღმდეგია იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი, რომელიც ამბობს, რომ აღნიშნულის შესახებ მან გადაწყვეტილების მიღებამდე ერთი დღით ადრე გაიგო და ქონების მართვის მინისტრს კონკურსის გადადება სთხოვა. ამ ხნის განმავლობაში კი, იგი კონკურსის საწინააღმდეგოდ დასაბუთებული არგუმენტების შეკრებას აპირებდა. რწმუნებულის განმარტებით, მიუხედავად შეთანხმებისა, ქონების მართვის სამინისტროს გაზეთში ჰესის იჯარით გაცემაზე კონკურსი მაინც გამოცხადდა.



ცოტა ხანში ენგურჰესის პრივატიზებასაც მოინდომებენ.

**"პირობის თანახმად, გელაშვილმა ჰესის რეაბილიტაციისთვის ოთხ წელიწადში, დაახლოებით, 13 მილიონი უნდა დახარჯოს. ეს ნიშნავს, რომ ჰესმა ამავე პერიოდში, აღნიშნული თანხის ამოსაღებად, დაახლოებით, 40 მილიონი ლარის პროდუქცია უნდა აწარმოოს. არადა, ჰესის სიმძლავრით თუ ვიმსჯელებთ, მან წელიწადში, მაქსიმუმ, მილიონნახევარი ლარის მოგება შეიძლება მოიტანოს. ისიც იმ შემთხვევაში, თუკი საბითუმო ბაზარი თანხას სრულად გადაუხდის, რაც არარეალურია. გელაშვილი ჰესის რეაბილიტაციისთვის 13 მილიონსაც მხოლოდ ფიქტიურად ჩადებს. ოთხი წლის შემდეგ კი იტყვის, დიდი ზარალი ვნახეო და ობიექტის ვალებში დატოვებას მოითხოვს. ოდნავაც არ მეპარება ეჭვი, რომ მათ ეს წინასწარ აქვთ გათვლილი. ასე რომ, კონკურსში გელაშვილის გარდა, არავინ მიიღებს მონაწილეობას. ამ ეტაპზე მის მიმართ კი არ მაქვს პრეტენზია, არამედ საერთოდ ამ პროცესის წინააღმდეგი ვარ,"**- აცხადებს შაშიაშვილი.

"ძევრულჰესში" გელაშვილის ინტერესებს თერჯოლის გამგებელი ზურაბ ბუცხრიკიძეც უპირისპირდება. იგი მიიჩნევს, რომ გელაშვილი რაიონს, განათების ნაცვლად, ჩააბნელებს. ჰესს კი ერთ წელიწადში გააკოტრებს და შემდეგ ქონების მართვის სამინისტროს აიძულებს, რომ ჰესი, ვალების ნაცვლად, ჩალის ფასად მიჰყიდოს.

**"ამგვარი ჭორები ჩემი დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. საქმე მხოლოდ ოთხწლიან იჯარას ეხება, რომლის დამთავრების შემდეგაც, ქონების მართვის სამინისტროს საშუალება ექნება, ფეხზე დამდგარი ჰესი აუქციონზე გაყიდოს,"** - აცხადებს გელაშვილი. მას ჰესის მუშა-მოსამსახურეებიც უჭერენ მხარს, რომელთაც 30 თვის ხელფასი აქვთ ასაღები. ისინი აცხადებენ, რომ გელაშვილის შემოთავაზებულ პირობებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იტყვიან უარს, თუკი იმერეთის გუბერნატორი და თერჯოლის გამგებელი ხელფასების ყოველთვიური გაცემის გარანტად დაუდგებიან. გელაშვილი კი კატეგორიულად აცხადებს, რომ აუქციონში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. მას ამ მხრივ გამოცდილებაც გააჩნია - იგი "ჩითახევჰესის" მფლობელიცაა.

# ამერიკულმა ავიაკომპანიებმა ახალი დახმარება მიიღეს

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს კონგრესმა, თეთრი სახლის წინააღმდეგობის მიუხედავად, ავიაკომპანიებისათვის დახმარების პაკეტის გამოყოფას მხარი დაუჭირა. ამერიკის ავიასექტორი, რომელიც 11 სექტემბრის შემდეგ კრიზისში იმყოფება და ერაყში მიმდინარე ომმა კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩააგდო, ამ ეტაპზე 3,2 მილიარდ დოლარს მიიღებს. არ არის გამორიცხული, რომ სუბსიდირება მომავალშიც გაგრძელდეს.

დახმარების გამოყოფა ავიაკომპანიების მხრიდან გახშირებულ ჩივილებს მოჰყვა. ავიაბიზნესის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საომარი მოქმედებების გამო მგზავრების რიცხვი მკვეთრად შემცირდა, რამაც გაუთვალისწინებელი პრობლემები შექმნა. თეთრი სახლი ავიაკომპანიათა პრეტენზიებს დიდი ყურადღებით არ მოეკიდა. ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ დახმარების მიღებამდე კომპანიებმა უნდა შეკვეცონ ხარჯები და რესტრუქტურიზაცია წამოიწყონ. მაგრამ კონგრესმა ასე არ ჩათვალა. მეტიც, სენატი პაკეტის 3,5 მილიარდამდე გაზრდასაც კი უჭერდა მხარს, მაგრამ წარმომადგენელთა პალატამ ეს ზედმეტად მიიჩნია.

აღნიშნული დოტაცია ამერიკული ავიაბიზნესის მიერ მიღებული მეორე სერიოზული დახმარება იქნება. პირველი, 15 მილიარდის ოდენობით 11 სექტემბრის შემდეგ იქნა გამოყოფილი. ამ კოლოსალური თანხის მიუხედავად, ავიაკომპანიებში 100 ათასმა კაცმა დაკარგა სამუშაო. ადმინისტრაცია ამ მოვლენებით უკმაყოფილო დარჩა და კომპანიებს პასიურობას აბრალებს. თეთრ სახლში ვერ გაუგიათ, რატომ არ მოხდა შერწყმები, რისი წყალობითაც კომპანიები დიდძალ რესურსებს დაზოგავდნენ.

მსგავსი მოსაზრებები კონგრესშიც გაისმა. არიზონას რესპუბლიკელმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამგვარი ქმედებებით აშშ-ს ხელისუფლებამ შეიძლება "საჰაერო ამტრეკი" შექმნას. "ამტრეკი" ამერიკისეროვნული სარკინიგზო კომპანია გახლავთ, რომელიც წაგებაზე მუშაობს და სახელმწიფოს მიერ ფინანსდება.

# მთავრობა ენერგოკრიზისს "სპეცთათბირებსაც" აღარ უძღვნის

მაია ურუშაძე

*ერთი თვეა, ენერგოსისტემაში ავარია ავარიაზე ხდება. უკვე მერამდენედ, რუსეთიდან იმპორტი ამ მიზეზით შეწყდა. ამჯერად დამნაშავე ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოწოლილი ზვავი აღმოჩნდა, რომელმაც კინაღამ 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის – "კავკასიონის" ანძები დაიტანა ქვეშ. მართალია, ანძები წაქცევას გადაურჩა, მაგრამ საშიშროება დროულად "იგრძნო" ავტომატურმა რელემ, რომელმაც ხაზი სასწრაფოდ გამორთო. ბუნებრივია, რუსული დენის იმპორტის შეწყვეტა, ენერგოსისტემის "ორად გახლეჩა" და აღმოსავლეთ საქართველოს "ნულზე დაჯდომა" ერთი იყო.*



დავით მირცხულავას ასეთ თათბირებზეც აღარ იბარებენ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზვავი და სტიქიური უბედურებები მარტო საქართველოსთვის როდია ნიშანდობლივი. უბრალოდ, ცივილიზებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ერთადერთი, რისი უნარიც მთავრობას საგანგებო სიტუაციებში შესწევს, "სპეცთათბირია". თუმცა, გუშინ ასეთი საგანგებო თათბირი არც გამართულა. მთავრობას უფრო მნიშვნელოვან საქმეზე – მომავალი არჩევნების ბედსა და დაფინანსებაზე უნდა ემსჯელა. მორიგი ავარია კი მორიგი ტყუილით დამთავრდა: თურმე, დაზიანებული "კავკასიონის" ნაცვლად "შემოვლითი სქემა" ჩართეს. ეს შემოვლითი სქემა კი მხოლოდ 220 კილოვოლტიანი "სალხინო" თუ იქნებოდა, რომლითაც რუსეთიდან 400 მეგავატის "გადმოქაჩვა", უბრალოდ, ტექნიკურად შეუძლებელია.

ავარიის შედეგად პარალიზებული "სახელმწიფო ელექტროსისტემის" "შოკიდან გამოყვანა" ირლანდიელებმა გუშინ, თურმე, 40 წუთში მოახერხეს. რასაკვირველია, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ენერგოფლაგმანის - ენგურჰესის დამსახურება იყო. მთავრობა კი ამით, რატომღაც, სრულიად უსაფუძვლოდ ამაყობდა.

მოგვიანებით, მადლობა ღმერთს, "კავკასიონის" ჩართვაც მოხერხდა. ამ შემთხვევაში, დილით თბილისში დენი უნდა იყოს. როგორც გვპირდებიან, იქნება გაზიც. უკანასკნელი ინფორმაციით, თურმე "იტერასა" და "გაზპრომს" ერთმანეთში ბევრი უთათბირიათ და საქართველოს გაზის გარეშე დატოვება 15 აპრილამდე გადაუფიქრებიათ.

## დისკუსია

# ახალი კოდექსი არასამეწარმეო საქმიანობის დაბეგვრას აუარესებს

ვაჟა სალამაძე
საქართველოს ბიზნეს-სამართლის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე

უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა წინასაარჩევნო პოლიტიკურმა პერიპეტიებმა თავისი ასახვა საქართველოს პარლამენტის მუშაობაშიც ჰპოვა. უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში პარლამენტმა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და კანონები ფორსირებულად, ერთგვარ ეიფორიაში მიიღო. მათ შორისაა ახალი საგადასახადო კოდექსიც, რომელიც გასულ კვირას პირველი მოსმენით იქნა მიღებული.

ახალი კოდექსი, რომელიც სამეწარმეო ერთეულებისათვის ლიბერალურ საგადასახადო რეჟიმს აწესებს, არასამეწარმეო ორგანიზაციების მიმართ საკმაოდ მკაცრია. კოდექსის ახალი პროექტი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაბეგვრის დღეს მოქმედ სისტემას მნიშვნელოვნად აუარესებს. კერძოდ:

1. კოდექსი გრანტით შეძენილ საქონელში ან მომსახურებაში გადახდილი დღგ-ს დაბრუნების შესაძლებლობას აღარ ითვალისწინებს;

2. დამატებული ღირებულებისაგან გათავისუფლებული იმპორტის სახეებში ჰუმანიტარული დახმარება და გრანტის სახსრებით იმპორტირებული საქონელი აღარაა მითითებული;

3. ქონებაზე საგადასახადო შეღავათის არსებული მექანიზმი გაუარესებულია. დღეს მოქმედი კანონმდებლობით ორგანიზაცია გადასახადს იხდის მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელსაც ეკონომიკური საქმიანობისათვის იყენებს. ახალი პროექტით, შეღავათი ქონების გადასახადზე ისეა ფორმულირებული, რომ თუ ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას (თუნდაც ეს საქმიანობა ერთჯერად ხასიათს ატარებდეს და მიზერული მოცულობა ჰქონდეს), მაშინ ორგანიზაციის მთელი ქონება სრული განაკვეთით იბეგრება.

4. კოდექსი არ განმარტავს ეკონომიკურ საქმიანობას და მას საქველმოქმედო საქმიანობისაგან არ მიჯნავს. ამავე დროს, იგი დამატებული ღირებულების მიზნებისათვის ერთმანეთს უთანაბრებს სასყიდლიან და უსასყიდლო მიწოდებას, რითიც პრაქტიკულად, არასამეწარმეო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული უფასო მიწოდებები დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი ხდება. მაგალითად, საკვების უფასო მიწოდება უნარშეზღუდული პირებისათვის, საგანმანათლებლო ლიტერატურის უფასო გავრცელება, უფასო სამედიცინო მომსახურება და ა.შ.

5. დამატებული ღირებულებისაგან გათავისუფლებული საქონლის, მომსახურების და სამუშაოს სიაში აღარაა მითითებული განათლების მომსახურება, სამედიცინო მომსახურება, ჟურნალ-გაზეთები, ბავშვის კვების და დიაბეტური კვების პროდუქტები, ინვალიდთა ეტლები, სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო ტექნიკა და მასალები და ა.შ.

სამწუხაროდ, ჩვენი არაერთი მცდელობის მიუხედავად, კოდექსის პროექტის ავტორთა ჯგუფმა (ხელმძღვანელი ბატონი ნიკო ორველაშვილი) ზემოჩამოთვლილიდან მხოლოდ მე-2 და მე-4 საკითხები გაიზიარა და დაგვპირდა, რომ ამ საკითხების მოსაწესრიგებლად მუშაობას გააგრძელებს.

ავტორებმა დანარჩენ საკითხებში რაიმე ცვლილების შეტანის შესაძლებლობა მიუღებლად სცნეს. თუმცა, მათ მიერ მოყვანილი არგუმენტები სუბიექტურ პრინციპებს უფრო ეფუძნება და ჩვენთვის ნაკლებად დამაჯერებელია. ავტორებმა მითუმეტეს არ გაიზიარეს ჩვენს მიერ შეთავაზებული საქველმოქმედო (საზოგადოებრივად სასარგებლო) ორგანიზაციების შეღავათიანი მექანიზმებით დაბეგვრის კონცეფცია და მის სასარგებლოდ მოყვანილი არგუმენტები. ჯგუფის აზრით, საქველმოქმედო საქმიანობის და ორგანიზაციების საგადასახადო სტიმულირება მათთვის "ფილოსოფიურად მიუღებელია".

საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრი სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში იწყებს ლობირების კამპანიას, რომლის მიზანია, როგორც მინიმუმ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაბეგვრის არსებული რეჟიმის შენარჩუნება.

*სამართალი*

# პოლიცია პანკისელებს ძალას აჩვენებს

გუშინ პანკისის ხეობის სოფლებში – პირველ, მეორე და მესამე ხალაწნებში დიდი ხმაური იყო. ისროდნენ თითქმის ყველა სახის იარაღიდან, რაც კი საქართველოს შეიარაღებას გააჩნია. ხეობის სოფლებში განლაგებული იყო საბრძოლო ტექნიკა- პანკისში მცხოვრებლები შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარისა და კახეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლების წვრთნებს მთელი დღის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს.

წვრთნებში დაახლოებით 2000-მდე სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელი მონაწილეობდა. ეს პირველი შემთხვევა გახლავთ, როცა ვარჯიშები ხეობის სიღრმეში განხორციელდა. შინაგან საქმეთა მინისტრი გუშინდელი საჩვენებელი ოპერაციებით კმაყოფილი დარჩა.

ურთიერთკოორდინირებული ქმედებების დახვეწა – ეს იყო პანკისის ხეობაში ჩატარებული სწავლების მიზანი. "ამ წვრთნებს პოლიციისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვენ არ ვართ განებივრებული სწავლებებით, მით უმეტეს ერთობლივი ვარჯიშით შინაგან ჯართან. შედეგიც კარგი მივიღეთ, დავრწმუნდით, რომ კოორდინირებულად მუშაობა შეგვძლებია", – განაცხადა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ზურაბ ტუშურმა, რომელიც შინაგანი ჯარების სარდალთან, გიორგი შერვაშიძესთან ერთად, პანკისის ხეობაში გამართულ ფართომასშტაბიან ერთობლივ წვრთნებს ხელმძღვანელობდა.






*შინაგანი ჯარების წვრთნები პანკისის ხეობაში.*

# ომბუდსმენის რწმუნებული თერჯოლის პოლიციის უფროსს უჩივის

სახალხო დამცველის რწმუნებული რამაზ ნინუა თერჯოლის პოლიციის უფროსს თამაზ ბაქრაძეს უჩივის და გენერალურ ინსპექციას მისი საქმის შესწავლას სთხოვს.

რამაზ ნინუას აზრით, თერჯოლის პოლიციის უფროსმა, პირადი დაინტერესების გამო, საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბა, რისთვისაც მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

საქმე რამდენიმე წლის წინ ჩადენილ მძიმე დანაშაულს – არასრულწლოვანის გაუპატიურებას ეხება, რის გამოც თერჯოლელი ბიძაშვილები - ბუცხრიკიძეები გაასამართლეს და ერთს 6-წლიანი მეორეს კი – 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ბუცხრიკიძეებს სასჯელი ბოლომდე მოხდილი ჯერ არ აქვთ, თუმცა, გეგუთის კოლონია ერთ-ერთმა მათგანმა, ვადამდე ადრე გათავისუფლების აქტით, ცოტა ხნის წინ დატოვა. **"როდესაც მსჯავრდებულის ვადამდე ადრე გათავისუფლებაზეა საუბარი, აუცილებლად უნდა გაირკვეს, ამასთან დაკავშირებით, რა პოზიცია აქვს დაზარალებულს. მას აუცილებლად უნდა შეატყობინონ და აზრი ჰკითხონ – ეთანხმება თუ არა მსჯავრდებულის გათავისუფლებას. ამ შემთხვევაში, გეგუთის კოლონიის უფროსმა თერჯოლის პოლიციის უფროსს ბუცხრიკიძის ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ შეტყობინება გაუგზავნა და კითხვითაც მიმართა: მისი გათავისუფლების შემთხვევაში რაიმე ექსცესს ხომ არ ექნებოდა ადგილი. დაზარალებულს არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, - ასეთი პასუხი გაუგზავნა კოლონიის უფროსს თერჯოლის პოლიციის უფროსმა. არადა, მოგვიანებით გაირკვა, რომ მას აზრადაც არ მოსვლია დაზარალებულების პოზიცია გაერკვია. თამაზ ბაქრაძემ ცნობა ისე გასცა, დაზარალებულები საქმის კურსშიც არ ჩაუყენებია. მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლებას კი, რა თქმა უნდა, დაზარალებულთა პროტესტი მოჰყვა. მათ მე მომაკითხეს და დახმარება მთხოვეს",** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას სახალხო დამცველის რწმუნებულმა რამაზ ნინუამ, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში, პოლიციის უფროსს პირადი დაინტერესება ჰქონდა.

რატომ დაარღვია პოლიციელმა კანონი და დაზარალებულთან შეუთანხმებლად, თვითნებურად რატომ გადაწყვიტა მსჯავრდებულის ბედი, ამის გარკვევას რამაზ ნინუა გენერალურ ინსპექციას ავალებს. გეგუთის კოლონიის უფროსსა და თერჯოლის პოლიციის უფროსს შორის მიმოწერის დოკუმენტური მასალა რამაზ ნინუამ გენერალურ ინსპექციას სამი დღის წინ გაუგზავნა გამოსაკვლევად.

" უნდა გაირკვეს, რის საფუძველზე დაარღვია პოლიციის უფროსმა კანონი, მით უმეტეს, რომ საქმე მძიმე დამნაშავეს ეხება", - ასეთია სახალხო დამცველის რწმუნებულის პოზიცია.

# ყაჩაღები პოლიციელთა შვილებს თანამზრახველის ციხიდან გამოსახსნელად იტაცებდნენ

*ბანდიტურმა დაჯგუფებამ, რომელზეც ამჟამად გიამბობთ, პოლიციის მაღალჩინოსნების შვილების გატაცებით გაითქვა სახელი და თითქმის ორი წლის მანძილზე მთელ საქართველოში დაუსჯელად თარეშობდა. ამ ჯგუფს ძმები ბალავაძეები ხელმძღვანელობდნენ. შარშან, 23 აპრილს, ბანდის რამდენიმე წევრი სამართალდამცავების მიერ ლიკვიდირებულ იქნა, რამდენიმე მათგანი კი დააპატიმრეს. სამხარეო პროკურატურამ ჯგუფის დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება ახლახან დაასრულა. უახლოეს დღეებში გამოძიებული საქმე სასამართლოს გადაეცემა და ბალავაძეებისა და მათ თანამონაწილეთა ბრალეულობას საბოლოოდ იგი დაადგენს. საგამოძიებო მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ჯგუფმა მოღვაწეობა, ავტომანქანის გატაცებით დაიწყო და მალე ადამიანის გამტაცებელთა საშიშ ბანდად ჩამოყალიბდა. გამოძიების თანახმად, ბანდიტური დაჯგუფება ხონში მცხოვრებ გიგა ბალავაძის მიერ 2001 წლის 8 ოქტომბერს ჩადენილი დანაშაულის შემდეგ დაარსდა.*

ბექა სისაური

*ქუთაისი*

### მათხოჯის გამგებლის ავტომობილის გატაცება, ბანდის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა

საგამოძიებო მასალების მიხედვით, ნასვამი გიგა ბალავაძე ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში, ვინმე შოთა ბარაბაძის სანახავად, მეგობარ ლაშა გიორბელიძესთან ერთად, რატომღაც, გადაჭრილი თოფით, პისტოლეტით, გაზის რევოლვერით და რეზინის ხელკეტით შეიარაღებული წავიდა. მათხოჯში ჩასულმა შეიარაღებულმა სტუმრებმა ბარაბაძე ვერ ნახეს. უკან დარუნებისას კი გიგა ბალავაძემ ხონში წაყვანა მათხოჯის გამგებელს, შალვა ხვინგიას სთხოვა. გამგებლის ჟიგული-06 მარკის მანქანით რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ბალავაძემ და გიორბელიძემ იარაღის მუქარით ხვინგია მანქანიდან გადასვეს და გზა გააგრძელეს. უკვე ხონში, გატაცებული ავტომობილის გაჩერება პოლიციელებმა მოინდომეს, სამართალდამცავებს ბალავაძემ ავტომობილიდან ცეცხლის გახსნით დააღწია თავი. ორი დღის შემდეგ, 10 ოქტომბერს ბალავაძე და გიორბელიძე მაინც დააკავეს და აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდეს.

დაპატიმრებას ბალავაძისთვის ბანდის შექმნაში ხელი სულაც არ შეუშლია. ციხიდან თავის დახსნის სურვილით, საპყრობილედან ტელეფონით ძმას, ნოეს და ახლო მეგობარს, გია ქარდავას დაუკავშირდა. მათ, თავის მხრივ, დავით გამხუაშვილი, დიმიტრი ტაბიძე, მამუკა რუხაძე, სერგო დოლიძე მოძებნეს და სამოქმედო გეგმა შეადგინეს.

### პოლიციის უფროსის შვილის მძევლად აყვანამ გაამართლა

საგამოძიებო მასალების თანახმად, ჯგუფის პირველი და უმთავრესი მიზანი გიგა ბალავაძის პატიმრობიდან გამოხსნა იყო. პირველი საქმე ხონის პოლიციის უფროსის პოლიკარპე ხუროძის შვილის, დავით ხუროძის მძევლად აყვანა გახლდათ. მისი გათავისუფლების სანაცვლოდ კი, გიგა ბალავაძის საპყრობილედან გათავისუფლება უნდა მოეთხოვათ.

დავით ხუროძე თბილისში, "ცეკავშირის" უნივერსიტეტში სწავლობდა. 2001 წლის 3 ნოემბერს, დაახლოებით, 12 საათზე უნივერსიტეტთან დიმიტრი ტაბიძემ დათო ხუროძე ნოე ბალავაძეს გააცნო. გამოძიების პროცესში მიღებული ჩვენებების თანახმად, გაცნობის აღსანიშნავად ბიჭებმა ცოტა დალიეს კიდეც. სასაუზმიდან გამოსვლისას კი მათთან ბანდის სხვა წევრები, გია ქარდავა და დავით გამხუაშვილი მივიდნენ. იქვე მოეწყო ჩხუბის ინსცენირებაც, რის შემდეგაც, ვითომ მოჩხუბრები, თითქოს, საქმის გასარჩევად ბენდელიანის ქუჩაზე, წინასწარ ნაქირავებ ბინაში წავიდნენ. უკვე ბინაში შესულებმა გაუმხილეს დავით ხუროძეს, რომ ის გატაცებულია, მას ხელ-ფეხი შეუკრეს და მამამისს დაუკავშირდნენ. ნოე ბალავაძემ პოლიკარპე ხუროძეს, შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, 5000 დოლარის გადახდა და გიგა ბალავაძის ციხიდან გათავისუფლება მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შვილის მოკვლით დაემუქრა. იმისათვის, რომ პოლიკარპე ხუროძე მუქარის სერიოზულობაში დარწმუნებულიყო, მას საკუთარი შვილიც დაალაპარაკეს. მომხდარის გამო, ხონის პოლიციის უფროსმა ამავე რაიონის პროკურატურას განცხადებით მიმართა. შედეგად, გიგა ბალავაძეს აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა და 2001 წლის 4 ნოემბერს ის პატიმრობიდან გაათავისუფლეს. მას შემდეგ, რაც გიგა ბალავაძემ ძმას ციხიდან გამოსვლა ამცნო, ბანდიტებმა დავით ხუროძე გაათავისუფლეს. გიგა ბალავაძე კი ბანდას სათავეში ჩაუდგა.

### ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ქრონიკა

საგამოძიებო მასალების მიხედვით, 2001 წლის 7 ნოემბერს პისტოლეტითა და ხელყუმბარით შეიარაღებული გიგა ბალავაძე, გია ქარდავა და გამოძიების მიერ დაუდგენელი სხვა პირები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ თბილისში, იპოლიტე ხვიჩიას ქუჩაზე მცხოვრებ ლერი გაფრინდაშვილის ოჯახს, სცემეს მისი მეუღლე მარინე თხილავა და მათი ოჯახიდან დიდი ოდენობით - 348 200 ლარის ღირებულების ნივთები გაიტაცეს.

2001 წლის 18 იანვარს, დაახლოებით 11 საათზე, გიგა ბალავაძე, გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ყაჩაღურად თავს დაესხა თბილისში მცხოვრებ თენგიზ ხიზანიშვილის ოჯახს. ოჯახის წევრები სცემეს და 2955 ლარი ღირებულების ნივთები გასტაცეს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ გიგა ბალავაძე ტელეფონით დაუკავშირდა ხიზანიშვილს და 10 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის წევრების განადგურებით დაემუქრა. მუქარის სისრულეში მოყვანა ბალავაძემ ვერ შეძლო - იგი 2002 წლის 19 იანვარს თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. მისი ბინის ჩხრეკისას, სხვა ნივთებთან ერთად, ამოღებულ იქნა ორი ხელყუმბარა, ხუთი ავტომატი, ერთი პისტოლეტი, 210 ცალი ვაზნა.

### გატაცებულმა ბავშვმა ბანდიტებს გეგმები ჩაუშალა

გიგა ბალავაძის ციხიდან გამოხსნა, მისმა თანამზრახველებმა ნაცადი გზით მოინდომეს. გიგასთან შეთანხმებით, პისტოლეტებით შეიარაღებული მისი ძმა, გია ქარდავა და დავით გამხუაშვილი, 2002 წლის 2 თებერვალს ყაჩაღურად თავს დაესხნენ ხონში მცხოვრებ, იმჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს, პირველი სამმართველოს უფროსის ვლადიმერ კვაჭანტირაძის ოჯახს. მისი მეუღლე და ოჯახის სხვა წევრები სცემეს, მათთან ერთად ხელ-ფეხი შეუკრეს ოჯახში სტუმრად მყოფ ნუნუ ჯლამაძესა და ლელა საღარეიშვილსაც. ამის შემდეგ ყაჩაღები მეზობელთან მყოფ კვაჭანტირაძის არასრულწლოვანი შვილის ვლადიმერის დაბრუნებას დაელოდნენ, დაბრუნებული შეიპყრეს და კვაჭანტირაძის კუთვნილი მანქანით გაიტაცეს. კვაჭანტირაძესთან მოლაპარაკება გიგა ბალავაძემ ციხიდან აწარმოა. იგი მძევლის სანაცვლოდ ციხიდან გათავისუფლებას მოითხოვდა. მაგრამ, მოლაპარაკების პროცესში, ბავშვმა გამტაცებელთა უყურადღებობით ისარგებლა, 4 თებერვალს ხელბორკილები გაიხსნა და გაქცევა მოახერხა. ამის გამო, გამტაცებელთა მოთხოვნები არ შესრულდა.

გეგმის ჩავარდნის შემდეგ, გიგა ბალავაძე მეგობრებს ავალებს, რომ მძევლად ასაყვანი პირი თბილისში შეარჩიონ. თუმცა, ამჯერად ვერ გათვალეს და გასატაცებლად საკმაოდ დაბალი რანგის ჩინოვნიკის შვილი შეარჩიეს. მათ გადაწყვიტეს, რომ მძევლად პარლამენტის აპარატის თანამშრომელის სულიკო ბერბიჭაშვილის ვაჟიშვილი, გურამ ბერბიჭაშვილი აეყვანათ და გეგმის განხორციელებას 2002 წლის 5 თებერვალს შეუდგნენ. დაახლოებით, 22 საათზე მამუკა რუხაძემ, ჟიგული-011 მარკის ტაქსი მუხიანის მიმართულებით წაიყვანა. გზაში, წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე, მძღოლს - ზურაბ გელაშვილს, იარაღის მუქარით, მანქანის გაჩერება აიძულა. ადგილზე რუხაძეს ავტომატებით შეიარაღებული დავით გამხუაშვილი, გია ქარდავა და ნოე ბალავაძე დახვდნენ. მათ გელაშვილს ხელ-ფეხი შეუკრეს და ავტომობილის საბარგულში ჩაკეტეს. მისი მანქანით კი გლდანში, სულიკო ბერბიჭაშვილის სახლთან მივიდნენ და გურამ ბერბიჭაშვილს დაუძახეს, რომელიც შინ არ აღმოჩნდა. მის ნაცვლად კი სახლიდან ძმა, არასრულწლოვანი ვანო ბერბიჭაშვილი გამოვიდა. ბანდიტებმაც, ძალის გამოყენებით, ძმის ნაცვლად, ის ჩასვეს ავტომანქანაში და გაიტაცეს.

მოგვიანებით, მანქანა, საბარგულში ჩაკეტილ მძღოლთან ერთად, მიატოვეს.

გამოძიების მასალების მიხედვით, მძევლის დაბინავების შემდეგ, გიგა ბალავაძე საპყრობილედან მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სულიკო ბერბიჭაშვილს და შვილის სანაცვლოდ, მისი საპყრობილედან დახსნა მოსთხოვა. ბერბიჭაშვილმა ბალავაძე დაარწმუნა, რომ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის მიხედვით, ვინმეს საპყრობილედან გათავისუფლება არ შეეძლო. გიგა ბალავაძე, მართალია, ბერბიჭაშვილის სიტყვებში დარწმუნდა, მაგრამ შვილის სანაცვლოდ ახლა 5000 დოლარის გადახდა მოითხოვა. რამდენიმე დღის მოლაპარაკების შემდეგ, ისინი 4000 დოლარზე შეთანხმდნენ. აღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა ვანო ბერბიჭაშვილი გაათავისუფლეს.

### ბანდა გააუვნებელყვეს

ერთ-ერთ ჩემს პუბლიკაციაში უკვე განვიხილე დავით გამყრელიძის 21 მარტს გამოქვეყნებული სტატია: *რატომ ვუჭერ მხარს ერაყისა და მისი მოსახლეობის გათავისუფლებას*. ახლა კიდევ **ირაკლი კაკაბაძემაც** შემომაშველა კალამი და 31 მარტის ნომერში ხელმეორედ შეუტია ათი დღის წინანდელ და უკვე მივიწყებულ ტექსტს. თანაც, დ. გამყრელიძის საწინააღმდეგოდ მიმართული ძირითადი არგუმენტიც განმეორებულია: "**მე ძალიან დიდი მოსურნე ვარ, რომ მას ეს უჩვეულო ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ მთელს მის სტატიაში უჩვეულოს ვერაფერს წავაწყდი**". სულაც არ მადარდებს საავტორო უფლებების პრობლემა: ბოლოს და ბოლოს, არც საგანია იმდენად მნიშვნელოვანი და არც მისი კრიტიკა, ამიტომ სულაც არ მადარდებს, თუ ვინმე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჩემს მიერ აღმოჩენილი ბზარის გაფართოებას შეუდგება. ირაკლი კაკაბაძის ოპუსი სულ სხვა მიზეზების გამო იმსახურებს ყურადღებას.

დავიწყოთ სათაურიდან: *რატომ არ ვუჭერ მხარს ომს და მკვლელობის ნებისმიერ ფორმას*. რატომ უნდა იყოს ეს ჩვენთვის საინტერესო? როგორც ეტყობა, ამ კითხვის კანონიერება ავტორმაც იგრძნო და ამიტომაც თავისი ისედაც ცნობილი სახელი მძლავრი არგუმენტაციით გაამაგრა: *ირაკლი კაკაბაძე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ლექტორი, ამერიკის სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში*. შთამბეჭდავია, არა? მე კი ერთი ძველი საბჭოთა ანეკდოტი გამახსენდა: ინჟინრის დეგრადაციის ბოლო სტადია: პიჯაკზე რომბის მიბნევა.

თუმცა, სათაურის საკითხი აქ არ მთავრდება: *რატომ არ ვუჭერ მხარს ომს და მკვლელობის ნებისმიერ ფორმას*. გამოდის, რომ ომის მომხრენი ავტომატურად მკვლელობის მომხრენიც არიან, ეს კი კომუნიკაციის კონვენციური წესების დარღვევაა. წარმოვიდგინოთ, რა პასუხს მიიღებს სისხამ დილით სახაშეში შესული კაცი, რომელიც ალალბედზე არჩეულ სუფრას მიადგება და იქ შეკრებილ "პახმელიიდან" გამომავალ ქართველებს ეტყვის, რომ ისინი ცხოველის გვამიდან გამოწურულ წვენს შეექცევიან? დამეთანხმებით, რომ ყოველგვარი პასუხი ალალი იქნება მასზე. ოჯახში გაზრდილებმა იციან, რომ ჩვენ ხორცსა ვჭამთ და არა კუნთებს. თუმცა, ოჯახზე და მასთან დაკავშირებულ რიტორიკაზე ქვემოთ მოგახსენებთ...

ერაყის ომის მიზეზებს ავტორი შემდგომ კვალიფიკაციას აძლევს: საყოველთაო *კოლონიური* ისტერია. ალბათ, *კოლონიალისტური* უნდა ეთქვა, მაგრამ ესეც არ იქნებოდა მართალი. ამის შემდეგ გაგვიჭირდება იმის გაგება, თუ რა ნიშნით ირჩევენ ლექტორებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, მაგრამ ნამდვილად აღარ შეგვეპარება ეჭვი, რომ მეორე, ამერიკულ ინსიტუტს მხოლოდ სახალხო დიპლომატიაზე თუ მიუწვდება ხელი.

უფრო ქვემოთ ირაკლი კაკაბაძე თავისი ცხოვრების მწარე გამოცდილებას გვიზიარებს: "**მეც ერთ დროს მეგონა, რომ ამერიკას დემოკრატიული საქართველო ჩვენზე მეტად უნდა, მაგრამ იქ ცხოვრების 10 წლის განმავლობაში კარგად მივხვდი, რომ დემოკრატიული საქართველო ჩვენზე მეტად არავის ენდომება, და მათ შორის — არც ამერიკას**". 15 წელი რომ დარჩენილიყო, ალბათ, ამაზე მეტსაც მიხვდებოდა და ჩვენც ავცდებოდით რაღაც-რაღაცეების კითხვას.

ამის შემდეგ ბ-ნი კაკაბაძე მოძღვრად ევლინება ქართველ პოლიტიკოსებს და თავის სანუკვარ სურვილსაც გამოთქვამს: "**კარგი იქნებოდა, რომელიმე ჩვენს პოლიტიკოსს ცოტათი მაინც წაემეცადინა პოლიტიკურ მეცნიერებაში და თვალი გადაევლო ისტორიული მოვლენებისათვის**". ამ სურვილს ავტორი კიდევ ერთხელ უბრუნდება და უკვე რომელიმე პოლიტიკოსს კი არა, ყველას ერთიანად მიმართავს: "**მინდა ვთხოვო ყველა საჯარო მოსამსახურეს, რომელიც დღეს პოლიტიკოსს უწოდებს საკუთარ თავს, რომ ცოტა მეტი განათლება მიიღოს ისეთ დისციპლინაში, რომელსაც პოლიტიკური მეცნიერება ჰქვია**". თვითონ კი? — "**საუდის არაბეთიც არ არის დემოკრატიული ქვეყანა... რატომ არ დაიწყო ასეთი განმათავისუფლებელი ომი საუდის მონარქიის წინააღმდეგ? ამერიკაში და ევროპაში ხომ მონარქია უარყოფილი იქნა ორზე მეტი საუკუნის წინ**". უკვე ყველას გამოგვიჭედეს ყურები, რომ აშშ-ს ევროპელი მოკავშირეები ესპანეთი და დიდი ბრიტანეთია, ორივე ამ ქვეყანაში კი მონარქიული წყობაა. მგონი, საკმარისია, რომ ავტორის სხვა პოლიტიკური წიაღსვლების განხილვისაგან თავი შევიკავოთ. თუმცა კი ამ ყელსაბამს ერთი მარგალიტი მაინც აკლია: "**მე-20 საუკუნის უდიდესმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მაჰათმა განდიმ დაგვანახა, რომ მსოფლიოში უძლიერესი იმპერიის დაშლაც კი შესაძლებელია არაძალადობის გზით. სხვათა შორის, მას არასოდეს არც ერთი თანამდებობა არ ჰქონია და მაინც უფრო დიდ ჰუმანისტად შევიდა მსოფლიო ისტორიაში, ვიდრე ჰიტლერი, სტალინი, ბრეჟნევი და ჯორჯ ბუშის მამა ერთად აღებული**". ამ ციტატის ბოლო წინადადება ავტორს, ალბათ, ირონიის გამოყენება ჰგონია, მაგრამ ახლა სულ სხვა მხარეს მივმართავ მკითხველის ყურადღებას, — მივმართოთ რიგით ინდოელებს ერთადერთი კითხვით: რა გირჩევნიათ, ინგლისის კოლონიაში საჰიბის, თუ განდის მიერ გათავისუფლებული მათხოვრის სოციალური როლი? კითხვა არაა კორექტული: კოლონიაშიც უმრავლესობა მათხოვარი იყო და არც სუვერენულ ინდოეთს აკლია საჰიბები. უბრალოდ, რაც უფრო გათავისუფლდება ჩვენი გონება აბსტრაქტული იდეალებისაგან, მით უფრო დავუახლოვდებით ღირსეული ცხოვრების პერსპექტივას. მაჰათმა განდის წარმატება კი არა, თვით არსებობაც წარმოუდგენელი იქნებოდა, ინდოეთში კოლონიზატორების მიერ შეტანილი საკომუნიკაციო საშუალებები და სხვა სახის ინფრასტრუქტურა რომ არა. სწორედ ამ ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და მცირეოდენი განვითარების წყალობით ბომბეის, კალკუტის, დელისა და სხვა ქალაქების ქუჩებში მოსეირნე და წინასწარ გაკეთებული მრავალი აცრით გულმოცემული ტურისტი მხოლოდ იშვიათად თუ წააწყდება შიმშილით მკვდარი ადამიანის გვამს.

ახლა კი მთავარ სათქმელს მივადგეთ. ოღონდ ამისათვის ერთი გადახვევაა საჭირო.

მახსოვს, 1996 წელს რომიდან ახალჩამოსული ვიყავი. ჩემი საბუთები მივიტანე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლულ ექსპერტთა საბჭოში, რომელსაც მაშინ აკადემიკოსი **გივი სანაძე** ხელმძღვანელობდა. აკადემიკოსმა მკითხა, შენი მშობლები ვინ არიანო. მამა მეზღვაურია-მეთქი, ვუპასუხე, დედა კი — მასწავლებელი. აკადემიკოსმა ქაღალდებს თვალი მოაშორა და გაკვირვებით შესძახა: "ეს შეუძლებელია!" ვერაფერი ვუპასუხე, რადგან საკუთარი არსებობის უარყოფა ჩემთვის ჯერ ახალი ხილი იყო. ცოტა ხანში, როცა მეგონა, რომ წამიერი სისუსტე ინანა, აკადემიკოსმა კიდევ ერთი შეკითხვა დამისვა: "არა, კაპიტანი მაინც ხომაა, სულ უბრალო მეზღვაური ხომ ვერ იქნება?". აი, ახლა კი დრო დადგა, ორი ციტატა მოვიყვანოთ ირაკლი კაკაბაძის წერილიდან:

1. **დათო ჩემი მეგობარია და მას უკვე დიდი ხანია, რაც ვიცნობ. ის გამორჩეული ქართული ოჯახის შვილია და მე მას, ყველა შემთხვევაში, პატივისცემით მივმართავ.**

2. **მე წინააღმდეგი ვარ, რომ ზურაბ კაკაბაძისა და ერეკლე გამყრელიძის შვილები "ვინმეს ძაღლიშვილები" ვიყოთ, რამეთუ ჩვენ ადამიანის შვილები ვართ და თანაც ღირსეული და საამაყო ადამიანების შვილები. ამ მამების შვილებისათვის ყველანაირი იმპერიალიზმი კატეგორიულად მიუღებელია.**

ახლა კი მივხვდი: ომის ეთიკური გამართლების გარშემო ატეხილი მთელი ეს აურზაური გამორჩეულ ოჯახთა შვილებს შორის ურთიერთობის გარკვევა ყოფილა! ერთხელ იდეა მქონდა თბილისის საოპერო თეატრის ისტორია შემესწავლა და **გიო ახვლედიანს** მივმართე. მან მითხრა: თუ იმდროინდელი სინამდვილე გაინტერესებს, რუსული გაზეთები ნახე, რადგანაც ქართულში მხოლოდ მამულიშვილთა ჩხუბი და ერთმანეთთან კინკლაობააო. იმედია, შემდგომში "24 საათი" აღარ იქცევა ამ ერთდროულად სავალალო და მოსაწყენი სანახაობის არენად.

ჩვენ კი, გამოურჩეველი ქართული ოჯახების შვილებს ერთი ნუგეში და ერთი გაკვირვება დაგვრჩება. ნუგეში ისაა, რომ თავისუფალნი ვართ ჩვენს არჩევანში — შეგვიძლია რომელიმე იმპერიალიზმს მივემხროთ და თავსაც ვუშველოთ. გაკვირვებას ის იწვევს, თუ რანაირადაა შესაძლებელი, რომ ერთი და იგივე ადამიანი ერთდროულად იყოს გაჟღენთილი ლიბერალური ღირებულებებით და ფეოდალური გადმონაშთებით?

თუმცა, ეს ერთადერთი მაგალითი არაა ხსენებული უცნაურობისა: დრო დადგა, დანაპირები შევასრულოთ და 3 აპრილს გამოქვეყნებული "გამოხმაურების" ისტორიაც მიმოვიხილოთ.

1 აპრილს "24 საათმა" დაბეჭდა **რუსუდან ნიკურაძის** წერილი *ვის გადმოსვენებას აპირებს ქვემო ქართლის გუბერნატორი მოსკოვიდან?* სტატია გვამცნობს, რომ "**ინფორმაცია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის მოსკოვიდან გადასვენების შესახებ მოსკოვის ქართველობამ ინტერნეტგამოცემა "საქართველო.რუ"-ს მეშვეობით შეიტყო**". ასე ჩვენც უნდა გავიგოთ, თუ რის გარშემო გაჩაღდა "24 საათსა" და ქვემო ქართლის ადმინისტრაციას შორის დიალოგი. რუსუდან ნიკურაძის ტექსტში გამოთქმულია აზრი, რომ სულხან-საბა ორბელიანის საფლავი ჯერ საიმედოდ არაა იდენტიფიცირებული, რის გამოც მისი ნეშტის საქართველოში გადმოსვენებაზე საუბარი ნაადრევია.

სწორედ ამ წერილს გამოეხმაურა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის პრეს-სამსახურის უფროსი, ლელა რაზიკაშვილი. იგი სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის გადმოსვენებას "დელიკატურ თემად" მოიხსენიებს. ეს მაშინვე იწვევს შეკითხვას: რაა დელიკატური სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის გადმოსვენებაში? ნუთუ ქვემო ქართლის ხელმძღვანელობამ ვერ დასძლია იმათი კომპლექსები, ვინც ოდესღაც წვერით ათრია ღვაწლმოსილი ბერი. ნუთუ ისევ მათი შიშით მალულად და "დელიკატურად" უნდა ჩამოვასვენოთ იგი სამშობლოში. სხვა რა უნდა იყოს "დელიკატური" ამ თემაში? განა მთელმა საზოგადოებამ არ უნდა განიხილოს ეს პერსპექტივა? განა ჩვენი მეცნიერების საუკეთესო ძალები არ უნდა ჩაერთვნენ ამ საქმეში?

ქ-ნი რაზიკაშვილი გვამცნობს: "**სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის მოძიება-გადმოსვენებაზე მუშაობს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ტანძიის აკადემია, რომლის პრეზიდენტია ბატონი ნოდარ წულეისკირი. საზოგადოებასთან ერთად მუშაობენ მეცნიერ-არქეოლოგთა ჯგუფები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ**". მართლაც რომ ადმინისტრაციულ-საკანცელარიო სიჭარბით შედგენილი ტექსტია: არქეოლოგები არ კმარა, მეცნიერ-არქეოლოგებია საჭირო. არც ჯგუფი კმარა — ჯგუფები. თანაც ქვეყნის შიგნითაც მუშაობენ და გარეთაც. აუშენებიათ ქვეყანა და ეგაა. ამის შემდეგ კი ვგებულობთ, რომ ეს ჯგუფები უბრალოდ კვლევებს კი არა, კომპეტენტურ კვლევებს აწარმოებენ, რომლებშიც მღვდელმთავარი კი არა მღვდელმთავრები მონაწილეობენ, რის გარეშეც საკითხს ვერავინ გადაწყვეტს. რისი ეშინია ავტორს? ან ნუთუ ჰგონია, რომ განსაზღვრებათა უბრალო დახვავებით ტექსტს დამაჯერებლობა შეემატება?

მაინც გვანუგეშებს: "**სულხან-საბა ორბელიანი დაბრუნდება სამშობლოში მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველივეს ნათელი მოეფინება და ტანძიის აკადემია, ყველა კომპეტენტური რეკომედაციის გათვალისწინებით, სამუშაოს დასრულებულად ჩათვლის**". აქაც აუცილებლად უნდა აღნიშნულიყო, რომ რეკომენდაცია კომპეტენტური უნდა იყოს, თითქოსდა ეს თავისთავად არ იგულისხმება.

ნუგეშისცემის შემდეგ შეტევაზე გადასვლაც შეიძლება. ქ-ნ რაზიკაშვილს შეტევის მიზნად რუსუდან ნიკურაძის შემდეგი ფრაზა აურჩევია: "**დიდი ქართველი მეიგავის მშობლიურ ტანძიაში გადმოსვენება ქვემო ქართლის გუბერნატორის, ლევან მამალაძის ინიციატივაა**". რა არ მოეწონა ქ-ნ რაზიკაშვილს? თურმე სულხან-საბა მარტო მეიგავე როდია! — "**ეს არის პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც აუცილებლად და შესაძლებლად მიიჩნია, რომ საქართველო საერთო ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ყოფილიყო და ამ იდეას შესწირა სიცოცხლე**". ჩვენი მხრიდან უნდა ვთქვათ, რომ სულხან-საბა ორბელიანი ნამდვილად იყო მეიგავე და საქართველოს გარეთ არსებული მსოფლიოს წინაშე ყველაზე ადვილად და უეჭველად სწორედ ამ მხრიდან წარდგება. მაგრამ მას აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ საქართველო ოდესმე საერთო ევროპული ოჯახის სრულუფლებიან წევრად გახდომას იფიქრებდა. XVII საუკუნეში, აბსოლუტური მონარქიების აყვავების ხანაში ამგვარი იდეა ვერავის გაუჩნდებოდა.

და ბოლოს: "**ეს საქმე ნამდვილად ღირს იმად, რომ ინიციატორებმა მედიის მხრიდან განქიქების ნაცვლად მხარდაჭერა მიიღონ, განსაკუთრებით თქვენი გაზეთისაგან, რომელსაც ნამდვილად ვერ ვუწოდებ ბულვარულს და ვერც ეროვნული პოზიციების დეფიციტს დავაბრალებ**". ბოლოდან დავიწყოთ. რას ნიშნავს "ეროვნული პოზიციების დეფიციტი?" — ყოველთვის მეგონა, რომ ნებისმიერი გონიერი პოზიცია ეროვნულია, რადგან ყველასათვის სარგებლობა მოაქვს. თუ რაღაც განსაკუთრებული "ეროვნული პოზიციები" იგულისხმება აქ? მთავარია ლექსიკა ნაციონალისტური პათეტიკით იყოს გადაჯერებული, ისე კი რაც გინდა სისულელე ილაპარაკე! დიდი მადლობა, რომ გაზეთს "ნამდვილად ვერ ვუწოდებ ბულვარულს". ეს შეფასება მრავლობითი რიცხვითაც არაა შერბილებული — ჩვენ პირადად ლელა რაზიკაშვილის მადლიერნი უნდა ვიყოთ.

ახლა კი უფრო მნიშვნელოვანი კითხვა დავსვათ: როგორ უნდა მიიღოს ამ საქმემ მედიის მხრიდან მხარდაჭერა? ნუთუ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის პრეს-სამსახურმა ამაზე იზრუნა? ყველაზე ზედაპირული მკითხველისათვისაც აშკარაა, რომ კამპანია ცუდად იყო ორგანიზებული. რანაირად?

ამაზე თვით ქ-ნი რაზიკაშვილი გვპასუხობს: "**მოგვეჩვენა, რომ ისეთი დელიკატური თემა, როგორიცაა სულხან-საბას საფლავის მოძიება და მისი ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება, შესაძლებელია იქცეს პოლიტიკური დაპირისპირების საბაბად, რადგან ამ საქმის ინიციატორია ლევან მამალაძე — პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში**". მოდით ამ ფრაზას ორი სიტყვა მოვაშოროთ — "ლევან მამალაძე". მაშინ ნამდვილად საკვირველი იქნებოდა: რატომ უნდა იყოს რომელიმე ადგილობრივი ადმინისტრატორის ინიციატივა პოლიტიკური დაპირისპირების საბაბი? საქმე ისაა, რომ ეს ადმინისტრატორი ლევან მამალაძეა. ეჰ, არ გაუმართლა ბ-ნ მამალაძეს: მის დაქვემდებარებაში მყოფი პრეს-სამსახური თვითონ აღიარებს მისი პიროვნების ოდიოზურობას საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში!

ასეთი პრეს-სამსახურით წარმატება ვერანაირ ინიციატივას ვერ ექნება, მით უმეტეს, როცა წამოწყების მეცნიერულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირები, როგორც ეტყობა, იმას ფიქრობენ, რომ სულხან-საბა ორბელიანის საფლავზე "დელიკატურად", ანუ მალულად, მაგალითად, ღამით უნდა შეიპარონ და სამშობლოში გადასასვენებლად ჩუმად ამოთხარონ, თითქოს ეს ვარლამ არავიძე იყოს.

სხვა კი რა გითხრა, ჩემო მკითხველო: შენ თვითონ შეამჩნევდი, რომ გახშირდა ორთოგრაფიული შეცდომები სათაურებში, ამიტომ ამისთვის არ მოგაცდენ.






## ბიძინა მაყაშვილის სვეტი



# დათბა

წელიწადში 52 კვირაა და ყოველ მათგანს თავისი დატვირთვა აქვს. გასულ კვირას თბილისში დათბა; ერაყში დაცხა - ტემპერატურამ 39 გრადუსს მიაღწია. ჩვენთვის დათბობა იმის მაუწყებელია, რომ ელექტროენერგიის დეფიციტის პრობლემა დროებით მოიხსნება და ქალაქი განათდება; ერაყისთვის - პირიქით: ბაღდადი ჩაბნელდა და ამ ფაქტმა, როგორც იქნა, წერტილი დაუსვა თბილისელთა უკბილო ხუმრობებს. მართლაც პარადოქსია - ორი კვირის განმავლობაში ამერიკული ბომბდამშენების სამიზნედ გახდილი ქალაქი კაზინოსავით არის გაბრდღვიალებული და მეორეს მხრივ, კრასნოდარის ოლქში პატარა ბიჭის „რაგატკიდან“ გასროლილი კენჭი ბელურას მაგივრად მაღალი ძაბვის გადამცემ ანძას მოხვდება და მთელი საქართველო წყვდიადშია.

სწორედ ერთი ასეთი „კენჭის“ გამოისობით, პანტომიმის თეატრში დაგეგმილი პრემიერა ამირან შალიკაშვილის მონაწილეობით ჩაიშალა, მაგრამ ზემელზე გამვლელთა გასახარად, მიმებმა ვიტრინაში ხანმოკლე შოუ მოაწყეს. სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის და ამიტომ სპორტისა არ იყოს, იქნებ ღირდეს ხელოვნების ზოგიერთი დარგი ზამთრის და ზაფხულის სახეობად გვექცია?!

რუსის ბიჭების კენჭების ფონზე, რუსი ხელოვანები აშკარად გვეფერებიან. ამ მხრივ, მათი უკანასკნელი ინიციატივები გიორგი დანელიას ფილმის Я Шагаю По Москве-ს 40 წლისთავის აღნიშვნის გადაწყვეტილებით და თანამედროვე ქართული დრამატურგიით დაინტერესებაში გამოიხატა. თუ დანელიას შემოქმედება საბჭოთა სისტემის პროდუქტია და რუსეთის მისადმი სიმპატიები ადვილად ასახსნელია, ლაშა ბუღაძის პიესის, „აღშფოთებული ტატიანას“ რუსეთის მთავარი თეატრის, MXAT-ის სცენაზე დადგმა ნამდვილად სცილდება კულტურული მოვლენის ფარგლებს. გარდა ამისა, პერსპექტივაშია, რომ რუსები ამ ზაფხულს მანანა დოიაშვილმა და ბასა ჯანიკაშვილმაც დააინტერესონ.

ჩვენი მხრივ, არც ჩვენ ვტოვებთ რუსებს უყურადღებოდ - კვირის მიწურულს ვაკის სარდაფში ჩეხოვის „ძია ვანიას“ ოთარ ეგაძისეული პრემიერა გაიმართა. ასე რომ, ქართველები ჩეხოვს და დოსტოევსკის დგამენ, რუსები კი - ბუღაძეს და ჯანიკაშვილს (მე თუ მკითხავთ, ახია მაგათზე).

რაც შეეხებათ სხვა უცხოელებს, ამ კვირაში ისინი რუსებივით ტკბილად არ მოგვქცევიან. განსაკუთრებით ირლანდიელებმა და შვეიცარიელებმა გაგვამწარეს. მათ საქართველოს ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგა ხნით დაუკარგეს სტადიონზე მისვლის სურვილი (ვეჭვობ, რომ ჩვენი ნაკრების წევრებს ასეთი სურვილი ოდესმე გააჩნდათ).

უცხოელების სიმრავლე ჩვენს საგამოფენო სივრცეებშიც შეინიშნებოდა. იაპონელმა კურატორმა კეიკო სეიმ ქარვასლაში სამდღიანი სემინარი გამართა ვიდეო-არტის შესახებ, ჰოლანდიელმა ანარქისტ-მინიმალისტმა იუპ ვან ლისჰაუტმა ციხის ანალოგიით შექმნილი საკან-ექსპონატი დაამზადა, რომელიც „9 აპრილის“ ბაღში დაიდგმება, ინგლისელმა დიპლომატმა, რიჩარდ ლექსმა „კლუბ 22-ში“ იტალიური ტკბილეული-დესერტი ტირამისუ დაამზადა და მნახველებს გაასინჯა (ახია ჩვენზე). ტრადიციული გამომსახველობითი ფორმებით, უფრო ახლო საზღვარგარეთმა გაგვახარა; მხედველობაში მაქვს აქაური პოლონელების ფერწერა და გრაფიკა და აზერბაიჯანელი ხადიჯა ალიევას ფოტოგრაფია. მაგრამ ამ კვირის ჰიტი, როგორც პროფესიული დონით, ასევე ექსპოზიციის სრულყოფით, ნამდვილად, ბატონ მამია მალაზონიას გამოფენა გახლდათ; ვერაფერს იტყვი - კლასიკა მაინც კლასიკაა.

ამ სიტყვებს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი კიდევ ერთი კლასიკოსის, ბატონ რევაზ გაბრიაძის ფრანგული ტრიუმფი. გაზეთ Le Monde-ის მიერ მის მიმართ ნახმარ ეპითეტს „ანგელოზი საქართველოდან“, ალბათ, კომენტარი არ სჭირდება. ასევე არ საჭიროებს კომენტარს ბატონ გურამ დოჩანაშვილის რომანის „ლოდი ნასაყდრალის“ გამოცემა. არც ზაალ სამადაშვილის ახალი კრებულის გამოსვლამ უნდა დატოვოს მკითხველი გულგრილად. ხოლო ვისაც სოფო კირვალიძის ფსევდონიმს ამოფარებული ანა კორძაია-სამადაშვილის შესახებ არაფერი სმენია, ვურჩევ მე არ დამენდოს და ლიტერატორებში გაიკითხოს: ეს ბოლო ხანების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დებიუტია.

ლიტერატურასთან დაკავშირებით ამ კვირაში ორი სხვადასხვა დატვირთვით გაიჟღერა სახელმა „საბამ“. გამოცხადდა, რომ ყოველწლიურად, 23 აპრილს რვა ნომინაციაში გაიცემა პრემია „საბა“ და ფულადი ჯილდო. აქ ყველაფერი ნათელი და გასაგებია. მეორე შემთხვევა ცოტათი „ქართულია“: ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე მოსკოვიდან ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის გადმოსვენებას აპირებს; და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისი საფლავის ადგილსამყოფელი უცნობია.

ეს ამბავი ცოტათი ერაყის სიტუაციას მაგონებს, როცა კვირის მიწურულს ვერაფრით ვერ გაიგო მსოფლიომ - აიღეს თუ არა ბაღდადი ამერიკელებმა. ანდა კიდევ უარესი: ერაყელები სიამაყით აცხადებდნენ, ამერიკული თვითმფრინავი ჩამოვაგდეთო, ამერიკელები კი პასუხობდნენ - როგორ გეკადრებათ ბატონო, ეგ თვითმფრინავი ჩვენივე ჩამოგდებულიაო. რას იზამ, ძალიან ცხელა ერაყში - ეხუმრებით 39 გრადუსს?!

## კალენდარი

### 7 აპრილი



ამერიკელი კინორეჟისორი, სცენარების ავტორი და პროდიუსერი, ფრენსის ფორდ კოპოლა, წარმოშობით იტალიელი გახლავთ. ლოს ანჯელესში, კალიფორნიის უნივერსიტეტის კინოსკოლის დამთავრების შემდეგ, კოპოლა ათი წლის განმავლობაში ისე იღებდა ფილმებს, რომ მისი სახელისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. იგივე ბედი ხვდა წილად მის მიერ დაწერილ სცენარებსაც – თერთმეტიდან მხოლოდ ერთს ჰქონდა წარმატება: 1970 წელს მან “პატენის” თანაავტორობისთვის პირველი “ოსკარი” დაიმსახურა. ეს ფილმი მეორე მსოფლიო ომის დროს სახელგანთქმულ ამერიკელ გენერალს ეძღვნებოდა.

არნახული კომერციული წარმატება და სახელი რეჟისორს 1972 წელს გადაღებულმა “ნათლიმამამ” მოუტანა. ამ სურათის ნოვატორობა იმაში მდგომარეობდა, რომ განგსტერულ ფილმში, რომლის გმირებიც, როგორც წესი, “მარტოხელა მგლები” იყვნენ, ამერიკელებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი, ოჯახის თემა შეიჭრა. “ნათლიმამასთვის” კოპოლას “ოსკარი” საუკეთესო სცენარის ნომინაციაში მიენიჭა, “ნათლიმამა – 2”-მა კი ერთბაშად სამი ჯილდო მოუტანა: ის საუკეთესო პროდიუსერად, რეჟისორად და სცენარის ავტორად იქნა აღიარებული.

ამ ფილმის დამთავრებისთანავე კოპოლამ “საუბრის” გადაღება დაიწყო, რომელიც უჩვეულო გახმოვანებით იყო გამორჩეული და კანის საერთაშორისო ფესტივალზე “ოქროს პალმის შტოთი” აღინიშნა.

და მაინც, რეჟისორის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები “დღევანდელი აპოკალიფსია”. 1979 წელს გადაღებულ სურათში განსაკუთრებული ექსპრესიითაა ნაჩვენები ვიეტნამის ომის სისხლიანი რეალობა. კადრები, როცა შვეულმფრენები ვაგნერის “ვალკირიას გაფრენის” აკომპონიმენტით ვიეტნამურ სოფელს ანადგურებს, მსოფლიო კინემატოგრაფის კლასიკად იქცა. ფილმმა “ოქროს პალმის შტო” და ორი “ოსკარი” დაიმსახურა.

მომავალ ათწლეულებში გადაღებული ფილმები – “კლუბი კოტონი”, “ქვების ბაღი”, “ბრემ სტოკერის დრაკულა” და სხვები, - 70-იანი წლების ტრიუმფის დონეს დიდად ჩამორჩებოდა, თუმცა, თავისთავად, საინტერესო სურათები იყო. კოპოლა მაინც 70-იანი წლების, “ახალი ჰოლივუდის” წამყვან რეჟისორად დარჩა.

**ფრენსის ფორდ კოპოლა** დაიბადა 1939 წლის 7 აპრილს.

# როგორ შეხვდა მკითხველი ახალ რომანს

## გურამ დოჩანაშვილი "პარნასში"

ანა კორძაია-სამადაშვილი

გუშინ, სამი საათიდან, “პარნასში”, “პარნასის” წინ, ყავის სახლში და მთელ მიმდებარე ტერიტორიაზე უამრავი ხალხი ირეოდა. მრავალს უკვე წიგნის მაღაზიის საფირმო პარკი ეკავა ხელში, გურამ დოჩანაშვილის ახალშეძენილი წიგნებით.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ “ლოდი ნასაყდრალის” დღე იყო, საყვარელი ავტორის დანარჩენ წიგნებსაც შეესივნენ. “დაეძებდა”, “ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები”, “სამოსელი პირველი” თუ “ხორუმი ქართული ცეკვაა” მანამდეც ეწყო თაროებზე, მაგრამ გუშინ განსაკუთრებული დღე იყო, როცა წიგნის შეძენა ორმაგად ღირდა – ქვედა სართულზე თავად ავტორი უჯდა მაგიდას და ყველა მსურველს ავტოგრაფით ასაჩუქრებდა.

“ლოდი ნასაყდრალი”, მწერლის უახლესი ქმნილება, ერთხანს ჟურნალ “XX საუკუნეში” იბეჭდებოდა. ოღონდ, მისი ბოლომდე გამოქვეყნება მაშინ არ მოხერხდა. არცაა გასაკვირი – უზარმაზარი წიგნია, საკმაოდ უჩვეულო რომანი, როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი - “ცნობიერების ნაკადით” შესრულებული. ეს ვინმე “უღირსის”



*გურამ დოჩანაშვილი "პარნასის" სტუმარია*

შინაგანი აღსარება გახლავთ და, ალბათ, ყველას გვეცნობა, ვისაც 90-იანი წლების საქართველო გვახსოვს: ტრაგიზმით აღსავსე, მრავალი მორალურ-ეთიკური პრობლემით დატვირთული. ამის შემყურე ავტორი სულიერი დაცემისა და ზნეობრივი გადაგვარებისგან გამოსავალს მართლმადიდებლობაში ეძებს.

ცხადია, რომანის წაკითხვა ვერ მოვასწარი. ამიტომ იმ მკითხველთა აზრს მოგახსენებთ, რომელიც “ლოდი ნასაყდრალის” ნაწილს “XX საუკუნეში” გაეცნო. ყველა ერთსულოვნად ამტკიცებს, რომ ცალკეული პასაჟები უდავოდ გენიალურია. მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარად ექსპერიმენტულმა ნაწარმოებმა, რომელშიც ერთ წინადადებას გვერდნახევარი შეიძლება დაეთმოს, მრავალი დააბნია, ეს “დაბნეულებიც” წიგნით ხელში გამოდიოდნენ “პარნასიდან”. კომენტარი: “წიგნში წაკითხული მაინც სხვაა.”

მშვენიერი ადამიანი კი, რომელსაც ეს მონუმენტური ნაშრომი ეძღვნება – თინათინ ჭკუასელი – ბაბუას კალთაში ეჯდა და “პარნასში” მობრძანებულებს სერიოზული სახით ადევნებდა თვალს. ხუმრობა საქმეა – ახლახან დაიწყო ცხოვრება და გურამ დოჩანაშვილმა უკვე წიგნი მიუძღვნა!

# „ძია ვანია“ ქართულ სცენაზე

თამარ სუხიშვილი

*“ამ სახლში სასიკეთო არაფერია” (ელენა ანდრეევნა).*

*“იცით, მეჩვენება, რომ თქვენს სახლში ერთი თვეც კი ვერ გავჩერდებოდი, დავიხრჩობოდი ამ ჰაერით” (ასტროვი – სონიას, სონიაც კვერს უკრავს).*

*“თუ შენია ეს მამული, წაიღე, მე ის არ მჭირდება” (სერებრიაკოვი – ვოინიცკის).*

*“ახლავე მივდივარ ამ ჯოჯოხეთიდან” (ელენა ანდრეევნა).*

*“არ მიყვარს ეს სახლი. ლაბირინთს მაგონებს. 26 უზარმაზარ ოთახში ისე გაიფანტებიან, ვერავის იპოვი” (სერებრიაკოვი).*

ჩეხოვის “ძია ვანიას” გმირები ამ უზარმაზარ “ჯოჯოხეთურ” სახლში ტრიალებენ, უფრო შფოთავენ და იტანჯებიან, ვიდრე ცხოვრობენ; თუმცა, თავისთავად, ეს სახლი არაფერ შუაშია - იმდროინდელი რუსეთის გარემოა ასეთი. ატმოსფერო, რომელიც ამ სახლშია შექმნილი, ყველა გმირს ახრჩობს (ამ სახლში შეკედლებული, ყველაფერს შეგუებული, ცხოვრებაში უკვე დამარცხებული ტელეგინის გარდა). ამ 26-ოთახიანი სახლის ბინადარნი თითქოს ერთად არიან, მაგრამ ყველა მაინც მარტოა. ისინი მირაჟებით ცხოვრობენ და არა ნამდვილი ცხოვრებით. ეს მაინც უკეთესია, ვიდრე არაფერი, – ამბობს ვოინიცკი. ეს “უკეთესი” ცხოვრება კი მოსაწყენია, სულელური და ბინძური, და გინდა თუ არა, მაინც გითრევს, – ასე ფიქრობს პიესის გმირი ექიმი ასტროვი, ნათელი პიროვნება, რომელიც ცხოვრებაზე ხელჩაქნეულია, რადგან საოპერაციო მაგიდაზე ქლოროფორმის ქვეშ მყოფი მეისრე შემოაკვდა, თავს დამნაშავედ თვლის და სასმელშიღა პოულობს შვებას. დათრგუნულია ვოინიცკიც - ძია ვანია, რომელმაც მთელი ცხოვრება, თავისი ნიჭი და უნარი (შეიძლებოდა შოპენჰაუერი და დოსტოევსკი გამოვსულიყავიო) ამ სახლის გადარჩენას შეალია და სერებრიაკოვისა და მისი ახალგაზრდა ლამაზი მეუღლის ჩამოსვლის შემდეგ საშინელი პროტესტის გრძნობა გაუჩნდა უსაგნოდ გატარებული საკუთარი წარსულისა და საკუთარი პატიოსნების მიმართ: უნდა გძულდეთ, რომ არ ვიპარავდიო.

ეს სახლი ვიწრო მნიშვნელობით საკუთარი მამული, საკუთარი ნაჭუჭია, უფრო ფართო გაგებით - სამშობლო და მთელი სამყაროც კი – “ოიკოსი” (ბერძნ. “სახლი” – აქედანაა ეკოლოგია), რომელსაც გაურბიან, გაურბიან გარეთ, “გარეთ კი კარგი ამინდია



*სცენა სპექტაკლიდან*

თავის ჩამოსახრჩობად”. ასე ირღვევა “ოიკოსი”, ასე ანადგურებენ ადამიანები ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც, საკუთარ “ოიკოსს”, არ ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე და არ ცდილობენ იმ ეკოლოგიის შეცვლას, ჭაობივით რომ ითრევს ამ გმირებს, ან კი რა აზრი აქვს, “ყველას ერთი ღამე ელოდება” – Manet omnes una nox.

ჩეხოვის “ძია ვანია” 1896 წელს დაიწერა და ერთი წლის შემდეგ, 1897-ში უკვე დაიდგა სცენაზე. გაგვიხსენებენ კი ასი-ორასი წლის შემდეგ? – ძიძას ეკითხება ძია ვანია. ქართულმა თეატრმა “ძია ვანია” 100 წლის შემდეგ მართლაც გაიხსენა. ხვალ “ვაკის თეატრალურ სარდაფში” მისი პრემიერაა. გუშინდელი სპექტაკლი ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო. წინასაპრემიერო ჩვენება 5 აპრილს გაიმართა. პიესის თარგმანი ლილი ფოფხაძეს ეკუთვნის. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ოთარ ეგაძე, დამდგმელი მხატვარი – შოთა გლურჯიძე, კოსტუმების მხატვარი – ხატია ჩომახაშვილი. ქორეოგრაფია გია მარღანია, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ზურა გაგლოშვილს. სპექტაკლში ათი მსახიობია დაკავებული: ბესო ბარათაშვილი (სერებრიაკოვი), თამთა ცინცაძე (ელენა ანდრეევნა), სონია (ქეთი ცხაკაია), რუსუდან ბოლქვაძე (მარია ვასილევნა), გია როინიშვილი (ვოინიცკი), დუტა სხირტლაძე (ასტროვი), ზაზა გოგუაძე (ტელეგინი), ირინა გუდაძე (ძიძა), ლელა თელია და სოსო მჭედლიშვილი (მსახურები).

თავისთავად ის ფაქტი, რომ ეს დრამატურგიულად ურთულესი და შინაარსობრივად დატვირთული პიესა ქართულ სცენაზე პირველად დაიდგა, უკვე ბევრს ნიშნავს. საინტერესოა ისიც, რომ ამ პიესის დადგმა რეჟისორმა ოთარ ეგაძემ დღეისათვის აქტუალურად ჩათვალა. იქნებ იმიტომაც, რომ დღევანდელ საქართველოში, თითქმის, აღარაფერს ვქმნით და მხოლოდ ვანადგურებთ, როგორც ჩეხოვის გმირები: გარემოს, ერთმანეთს, ურთიერთობებს, ჩვენს საერთო სახლს. და თუკი მაინც ვარსებობთ, მხოლოდ ერთეულების, ზნეობრივი სიმამაცისა და შრომის ხარჯზე. “არ ვიცი, მაყურებელი როგორ გაიგებს, მაგრამ მე მგონი, საქართველოში მცხოვრები ინტელიგენციის დიდი ნაწილი იგივე დღეშია, როგორც ჩეხოვის პერსონაჟი – დამარცხებული, მაგრამ ღირსებაშენარჩუნებული ძია ვანია. შეუძლებელია, ეს პრობლემა არ შეგეხოს. პირადად მე ბევრჯერ შემეხო და მე მგონი, სხვასაც შეეხება,” – ამბობს რეჟისორი ლევან წულაძე. იგი მიიჩნევს, რომ ეს სპექტაკლი, პრაქტიკულად, რევოლუციურია “თეატრალური სარდაფის” დრამატურგიულ რეპერტუარში, რომელიც, მოგეხსენებათ, სრულიად განსხვავებული ხასიათის პიესებზეა ორიენტირებული.

ძალიან ძნელია პირველი პრემიერის მერე რამის თქმა. მით უმეტეს, როცა ისეთ პიესასთან გაქვს საქმე, რომელიც ერთი ნახვით არასოდეს მიულია ფართო მაყურებელს (“ძია ვანია”, “სამი და”, “ალუბლის ბაღი”). მაგალითად, რუსეთში ჩეხოვის ეპოქაში მისი პიესები მხოლოდ მეორე სეზონიდან სარგებლობდნენ დიდი წარმატებით, სამაგიეროდ, ბოლომდე უძლებდნენ დროს...

დარბაზში შესვლისთანავე მაყურებლის ყურადღებას იქცევს დეკორაცია თავისი უბრალოებით, ფუნქციით და ჩეხოვის შემოდგომის განცდით. დეკორაცია მეორე მოქმედებაშიც არ იცვლება, სცენის სიღრმეში დროდადრო იცვლება მხოლოდ შავ-თეთრი სლაიდები. სცენაზე შემოდის ასტროვი და ძიძას ეკითხება: “ძიძა, რამდენი ხანია, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ?” გვეჩვენება, რომ ასტროვი, რომელსაც დუტა სხირტლაძე ასრულებს, ჩეხოვის ფილოსოფიურად მოაზროვნე ექიმთან შედარებით უფრო ლაღია. მისი სიმთვრალის ეპიზოდებიც ცოტა გაშარჟებულია. ვოინიცკის როლს კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გია როინიშვილი ასრულებს. მაყურებლის ყურადღებას განსაკუთრებით რამდენიმე ეპიზოდი იქცევს მისი შესრულებით: გარდაცვლილი დის გახსენების სცენა, ვანიას “გაგიჟების” ეპიზოდი, და ბოლოს ემოციური ფინალი – ვოინიცკის მონოლოგი. რაც შეეხება ტელეგინს, მისი ფუნქციები სპექტაკლში საკმაოდ შეკვეცილია. ამიტომ თითქოს იკარგება კონტრასტი, ძია ვანიასა და ტელეგინის დიალოგით რომ არის გამოხატული:

“კარგი ამინდია თავის ჩამოსახრჩობად...” (ძია ვანია) – “ენით აუწერელ ნეტარებას განვიცდი! შესანიშნავი ამინდია, ჩიტები ჭიკჭიკებენ...” (ტელეგინი). მარია ვასილევნა და სერებრიაკოვი რეჟისორს ჭირვეულ მოხუცებად ჰყავს ჩაფიქრებული. მარია ვასილევნას ფინალურ სცენაში მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს – სერებრიაკოვისა და მისი ლამაზი ცოლის გამგზავრების შემდეგ სევდით შეპყრობილ ვოინიცკის, ასტროვს, სონიას, ტელეგინსა და ორ მსახურს ამ გმირის გამოჩენა შეახსენებს, რომ ღამე, რომელიც ყველას ელოდება, ჯერ არ დამდგარა, და მარია ვასილევნა ძუნძულით გადის სცენიდან, მას სხვა გმირებიც მიჰყვებიან. ასე მთავრდება სპექტაკლი.

ასეთია ჩვენი პირველი შთაბეჭდილებები. თეატრალური სარდაფის სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარეს, აკაკი დვალიშვილს რომ გავესაუბრეთ, გვითხრა: სამი-ოთხი სპექტაკლი ვაცადოთ, მერე ვისაუბროთ, შედგა თუ არა სპექტაკლი ქართულ სცენაზე, როცა მსახიობები დიალოგში შევლენ, შეთამაშდებიან, დაიმუხტებიან. რთულია ჩეხოვის თამაშიო.

“ჩეხოვის პიესების სათამაშოდ მარტო დიდი სამსახიობო ოსტატობა არაა საკმარისი, კარგად უნდა იცნობდე ცხოვრებას, უნდა გრძნობდე ჩეხოვს... და გიყვარდეს ადამიანი ისე, როგორც ჩეხოვს უყვარდა...” – წერდა ჩეხოვის მეუღლე, მსახიობი ოლგა კნიპერი.

“ძია ვანია” ქართულ სცენაზე ახლა იწყებს სიცოცხლეს. ბუნებრივია, შემდგომში ანსამბლი უფრო შეიკვრება, მსახიობები შეთამაშდებიან და ბევრი რამ დაიხვეწება.

# www. club22. ge

## ტკბილი საღამო ზანდუკელის 22-ში

ანა კორძაია-სამადაშვილი

მიუხედავად “ახალგაზრდობისა” – ის ჯერ ერთი წლისაც არ გამხდარა – “კლუბი 22”, რომელიც ზანდუკელის ქუჩაზე, ძველ სახლშია გახსნილი, თბილისში საკმაოდ პოპულარულია. ამიტომაცაა, ალბათ, რომ გუშინ საღამოს მისი ინტერნეტ-გვერდის პრეზენტაციაზე, რომელიც, თავისთავად, შესანიშნავი ფაქტია, მაგრამ ფართო მასების მოსაზიდად არასაკმარისი, უამრავ ნაცნობ სახეს შევხვდით: მხატვრებს, ერთ-ორ ლიტერატორს, უცხოელ ხელოვანებს, რომლებმაც “კლუბ 22”-ის სივრცე უკვე კარგა ხანია აითვისეს.

ვფიქრობ, რომ “სახალხო სიყვარული” რომ არა, სტუმრებს ვერც ტირამისუ მიიზიდავდა: მოგეხსენებათ, ფრიად კონსერვატიულად განწყობილი საზოგადოება ვართ და უცხო ხილი და უცხო სახელწოდებები ჩვენში უნდობლობას იწვევს ხოლმე. ისე, ზანდუკელის ქუჩის ხშირი სტუმრები ტირამისუს უკვე მიეჩვივნენ – ნაირ-ნაირი გემრიელი კერძებით ქართველ ხელოვანებს უცხოელი სტუმრები უმასპინძლდებიან ხოლმე. პირადად მე სტაფილოს წვნიანი მერჩივნა, მაგრამ ესეც კარგია.

შუქი, ორგანიზატორებისა და სტუმრების ნერვების მოსაშლელად, ცხადია, მიდი-მოდიოდა. საბოლოოდ მაინც გვეშველა: გალერეის დამაარსებლების მიერ შექმნილი ინტერნეტ-გვერდი გალერეის კედელზე პროეცირებული ვიხილეთ.

სანამ პატივცემული მკითხველი ინტერნეტ-გვერდს ჩაღრმავებია, რამდენიმე ფაქტს მოგახსენებთ – უფრო სწორად, შეგახსენებთ, რადგან უმრავლესობა ზანდუკელზე, ალბათ, უკვე ყოფილა – თუ გამოფენაზე არა, ყავის დასალევად მაინც:

კლუბი “მოწმენდილ ცაზე” დაარსდა, ყოველგვარი კომერციული ინტერესების გარეშე – დიდი აქტივობის მიუხედავად, მას არამომგებიანი ორგანიზაციის სტატუსი აქვს. მისი დამფუძნებლები, სოფო გონგლიაშვილი და სოსო ალავიძე, თავად არიან ყველაფერი იმის ავტორები, რაც კლუბს ასე მიმზიდველს ხდის: ინტერიერი სოფოს შემოქმედებაა და მისი სახლიდან მოტანილი ნივთებითაა სავსე, ექსპოზიციებს სოსო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, საკუთარი ხელით აწყობს, მენიუს ავტორებიც კი თავად არიან. შესაბამისად, აქ არავინ გრძნობს თავს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, ამიტომ არყით მთვრალ, გაუზრდელ ძიებს და პრეტენზიულად ტუჩებდაბერილ გოგოებს “22”-ში ვერ შეხვდებით.

“კლუბ 22”-ის გალერეასთან უკვე მრავალი ხელოვანი თანამშრომლობს, მათ შორის - მამუკა ჯაფარიძე და ლიზა ოსეფაიშვილიც, რომელთა სახელებსაც თანამედროვე ხელოვნების მოყვარულნი კარგად იცნობენ. ცხადია, დარბაზში მოწვეული ან მობრძანებული შემოქმედების გამოფენებიც ეწყობა, მათი ნაწილი ინტერნეტ-გვერდზეც წარმოდგენილია. ვფიქრობ, აქცია “წითელქუდა”, გუგა კოტეტიშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებული მშვენიერი საღამო და ლევან ხერხეულიძის ფოტოგამოფენა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, და თუკი თავად გამოფენებს არ დასწრებიხართ, ინტერნეტის მეშვეობით მაინც გაეცანით, გარწმუნებთ, ძალიან ისიამოვნებთ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

## ფერგიუსონი ბექჰემს არ უშვებს

მას შემდეგ, რაც "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა, სერ ალექს ფერგიუსონმა "წითელი ეშმაკების" ლიდერს, დევიდ ბექჰემს ბუცი ესროლა და წარბი გაუხეთქა, საფეხბურთო სამყარო თითქმის დარწმუნებული იყო, რომ "სპაის ბოი" "ფერგის" ამ შეურაცხყოფას არ აპატიებდა და სამაგიეროს კლუბიდან წასვლით გადაუხდიდა. სპორტულ პრესაში აქტიურად მსჯელობდნენ ბექჰემის მომავალი გუნდის შესახებ, თავად ინგლისის ნაკრების კაპიტანი სახლს მილანში ეძებდა, უფროსი ვაჟიშვილისთვის სკოლას კი - მადრიდში. მოკლედ, როცა ფეხბურთის მოყვარულები "ბექსის" უკვე "ინტერში" ან "რეალში" ელოდნენ, "მან იუს" ხელმძღვანელმა სწორედ მაშინ აიმაღლა ხმა: ბექჰემი ჩემი გუნდის ლიდერია და არსადაც არ წავაო...

ალექს ფერგიუსონი მადრიდის "რეალის" სპორტული დირექტორის, ხორხე ვალდანოს განცხადებამ გააღიზიანა: თუ "ინტერს" ბექჰემის შეძენა უნდა, კი ბატონო, წაიყვანოს, ჩვენ იტალიელებს მწვანე შუქს ვაძლევთო, - თქვა ვალდანომ. როგორ თუ ჩემი ფეხბურთელის წასვლა-არწასვლაზე უჩემოდ მსჯელობენო, - გაბრაზდა ფერგიუსონი და, მადრიდელთა მწვანე ფერისგან განსხვავებით, მილანელებს გაფრთხილების ნიშნად წითელი შუქი აუნთო - ბექჰემი მომავალ სეზონშიც "მანჩესტერის" წითელი მაისურით ითამაშებსო...

## იურგენ კოლერი - ფეხბურთის ღმერთი

სწორედ ასეთი ეპითეტით ამკობდნენ ლევერკუზენის "ბაიერის" ახალ სპორტულ დირექტორს ბერლინის "ჰერტას" დამარცხების შემდეგ. იტალია 90-ის ტრიუმფატორმა ფეხბურთის თამაშს შარშან დაანება თავი - UEFA-ს თასის დრამატული მატჩი დორტმუნდის "ბორუსიასა" და როტერდამის "ფეიენოორდს" შორის კოლერის უკანასკნელი საერთაშორისო შეხვედრა იყო ფეხბურთელის ამპლუაში. მიმდინარე სეზონში "ბორუსიას" ექს-მცველმა ადმინისტრაციულ აპარატში მუშაობა მოისურვა. ლევერკუზენის "ბაიერმა" ის სპორტულ დირექტორად მიიწვია და კოლერმა პირველივე მატჩში სასწაული მოახდინა - აუტსაიდერთა შორის მყოფმა "ბაიერმა", რვამატჩიანი წარუმატებლობის შემდეგ, საკუთარ "ბაიარენაზე" მიიღო სატურნირო ცხრილის ზედა საფეხურებზე მყოფი ბერლინის "ჰერტა" და ოთხჯერ აიღო დაბნეულ სტუმართა კარი.

ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება "ბაიერს" შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის მერე ნამდვილად აღარ უზეიმია. მთელი გერმანია აღფრთოვანებულია, კოლერს ყველა აქებს. "ბაიერის" მენეჯერს, რაინერ კალმუნდს მიაჩნია, რომ იურგენ კოლერმა "ასპირინებს" ახალი სული შთაბერა. ამ გამარჯვებით "ბაიერმა" მეთხუთმეტე ადგილზე გადაინაცვლა და გასავარდნ ზონას მოშორდა. ახლა მხოლოდ ერთი რამ არის საინტერესო: რამდენ ხანს გასტანს ეს ეიფორია და შეძლებს თუ არა კოლერი, "ბაიერს" უმაღლეს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნოს...

## "იუვეს" მტკივნეული დანაკლისი

შაბათს სერია A-ს ლიდერმა, ტურინის "იუვენტუსმა", მორიგი გამარჯვება მოიპოვა თანაქალაქელ "ტორინოსთან" მატჩში და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. აუტსაიდერ "ტორინოსთან" აღებულმა სამმა ქულამ "ბებერი სინიორას" თავკაცს, მარჩელო ლიპის, კმაყოფილებასთან ერთად, უსიამოვნებებიც მოუტანა - უთანასწორო დერბიში "იუვეს" ორმა ლიდერმა სერიოზული ტრავმა მიიღო.

"ტოროს" ფეხბურთელებმა ჯერ ჩეხი პაველ ნედვედი გამოიყვანეს წყობიდან - ფატორიმ ისე გამეტებით ჩაარტყა ფეხში, რომ ნედვედმა თამაში ვეღარ გააგრძელა. მის ნაცვლად მოედანზე პესოტო გამოვიდა.

მარჩელო ლიპის კიდევ ერთი იძულებითი ცვლილების განხორციელება მოუხდა. ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ტრეზეგე უხერხულად დაეცა და მხარი იტკინა. ტრეზეგეს შეცვლა ლიპიმ მარსელი სალაიეტას დაავალა.

ნედვედის ტრავმა არცთუ ისე სერიოზულია. ექიმები იმედოვნებენ, რომ ჩეხი ფეხბურთელი არ გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩს "ბარსელონასთან". ტრეზეგემ კი, შესაძლოა, კატალონიელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშოს.

## ავსტრალიელი ავსტრიაში

ავსტრიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი, ვენის "აუსტრია", რომელიც ახალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას და მთელი ევროპის გაოცებას გეგმავს, თავის რიგებში ახალგაზრდა ავსტრალიელ მეკარეს, ჯო დიდულიცას ეპატიჟება.

25 წლის ავსტრალიელი ამსტერდამის "აიაქსის" შემადგენლობაში ირიცხება. ჰოლანდიაში ის 1999 წელს მოხვდა "მელბურნ ნაიტსიდან". "აიაქსის" ძირითად მეკარედ რუმინელი ბოგდან ლობონტი ითვლება და ავსტრალიელ ფეხბურთელს არც ისე ხშირად უხდება რონალდ კუმანის გუნდის კარის დაცვა. ამიტომაც დიდულიცასთვის "აიაქსიდან" წასვლა სულაც არ ყოფილა გულდასაწყვეტი.

დიდულიცა კმაყოფილია ავსტრიელებთან დადებული გარიგებით და აცხადებს, რომ სიამოვნებით ითამაშებს ასეთი დიდი ისტორიის მქონე კლუბში.

"აუსტრიას" მეკარე მას მერე გაუხდა საძებნელი, რაც გერმანელმა მარკ ციგლერმა, კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, აღარ მოისურვა ვენაში დარჩენა. რაკი ციგლერი ვერ დაიყოლიეს, ავსტრიელები იძულებული გახდნენ, ახალი მეკარე მოეძებნათ. ასე გახდა დიდულიცა ფრანკ შტრონახის კლუბის ინტერესის ობიექტი.

## "მილანი" რუმინელებს დასდევს

თუ ადრიანო გალიანი ყველა იმ ტრანსფერს განახორციელებს, რაც მას მომავალი სეზონისთვის აქვს ჩაფიქრებული, "მილანი" ერთბაშად "რუმინული" გუნდი გახდება. კარლო ანჩელოტის უკვე დიდი ხანია თვალში მოსდის ამსტერდამის "აიაქსის" რუმინელი მცველი ქრისტიან კივუ, რომელსაც ჰოლანდიელები ცოცხალი თავით არ თმობენ.

მილანელთა სატრანსფერო სიაში ფიგურირებს "პარმას" ფორვარდი ადრიან მუტუც, რომელმაც ეს სეზონი წარმატებით ჩაატარა და იმაზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე შარშან, "ვერონაში" თამაშისას. "მილანს" მადრიდის "ატლეტიკოში" გაშვებული კოზმინ კონტრას დაბრუნებაც განუზრახავს. კონტრა ესპანეთში კარგად თამაშობს. გალიანი ფიქრობს, რომ ეს ფეხბურთელი "მილანს" მომავალ სეზონში აუცილებლად დასჭირდება.

## ისტორიული ფოტო

### ეს იყო 15 წლის წინათ...



1988 წლის 25 ივნისი. მიუნხენი. ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი სსრკ - ჰოლანდია. სსრკ-ის ნაკრების ფეხბურთელი იგორ ბელანოვი.

# "სიონმა" მეორე პრეტენდენტიც "მოინელა"

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ზეექვსეულის მესამე ტურში, სენსაციური თუ არა, საკმაოდ ალოგიკური შედეგები დაფიქსირდა. სამივე მატჩი მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ, მეორე ეტაპზე ჩატარებული შეხვედრების შედეგების მიხედვით, თუ პირველ ეტაპზე დაგროვილ ქულებს არ მივიღებთ მხედველობაში, ლიდერობენ თბილისის "ვიტ ჯორჯია" და ბოლნისის "სიონი", რომლებმაც ორ-ორი თამაში მოიგეს და თითოში დამარცხდნენ. უფრო გამოსარჩევი კი "სიონის" წარმატებული თამაშია. მან ზედიზედ დაამარცხა ჩემპიონატის ორი ფავორიტი - "ლოკომოტივი" და "ტორპედო".

დღევანდელ მიმოხილვასაც სწორედ ამ გუნდისა და ქუთაისის "ტორპედოს" თამაშით დავიწყებთ. საკუთარ მოედანზე ფოთის "კოლხეთთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ, რამაც ქუთაისელთა პირველი პოზიციიდან მეორეზე ჩანაცვლება გამოიწვია, "ტორპედოს" "სიონთან" გასვლით შეხვედრაში ქულების დაკარგვის უფლება არ ჰქონდა. თუმცა, ბოლნისიდან რომ სამი ქულის წამოღება ძალზე რთული საქმეა, ეს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდმა და "ტორპედომაც" კარგად იცის. გავიხსენებ ბოლნისში ამ გუნდების, პირველი ეტაპის ბოლოს გამართულ შეხვედრას, რომელიც, მართალია, სტუმართა გამარჯვებით (1:0) დასრულდა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ იმ მატჩში "სიონმა" მეტოქის კარში უკანასკნელ წუთზე დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. ამ თამაშმა და მისმა შედეგმა თემურ მახარაძეს გუნდის გადახალისებისკენ უბიძგა. მან ძირითადი შემადგენლობის 10(!) ფეხბურთელი გაუშვა, მათ ნაცვლად კი ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრები მიიყვანა. ლოგიკურად, ეს იმას ნიშნავდა, რომ მახარაძეს მიმდინარე სეზონში უარი უნდა ეთქვა ამბიციებზე და ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე ეზრუნა. მაგრამ, მწვრთნელმა, რომელიც თუნდაც იმითაა უნიკალური მოვლენა ქართულ ფეხბურთში, რომ ერთადერთია ქართველ მწვრთნელთა შორის, ვინც სამი ქართული გუნდი UEFA-ს ზონაში მოახვედრა და ევროტურნირებზე ათამაშა, როგორც ჩანს, წლეულსვე დაუსახა გუნდს მიზანი.



"ლოკომოტივი" "ვიტ-ჯორჯიას" ვერ გადაახტა

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მე-12 წუთზე გაბისკირიამ კარგად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და მასპინძლები დააწინაურა. ჩემპიონის ყველა მცდელობა, გაეთანაბრებინა ანგარიში, უშედეგოდ დასრულდა. პირიქით, ტაიმის მიწურულს წივწივაძემ მეორედ აიღო "ტორპედოს" კარი.

მეორე ტაიმში "ტორპედო" უფრო გააქტიურდა, მეტოქის კარის სერიოზული შტურმიც მოაწყო, მაგრამ ერთი საპასუხო გოლის მეტს ვერაფერს გამორჩა.

**თემურ მახარაძე:** "ამ მატჩის წინ სერიოზული საკადრო პრობლემები გვქონდა, რადგან, სხვადასხვა მიზეზის გამო, ძირითადი შემადგენლობის 4 ფეხბურთელი გამოგვაკლდა. ამის მიუხედავად, მიხარია, რომ ჩემმა ბიჭებმა თავდაუზოგავად, თავგანწირვით იბრძოლეს, არ მოერიდნენ არც მეტოქის ტიტულებს, არც ავტორიტეტს და გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურეს. ჩემპიონატის მსვლელობაში ძირითადი შემადგენლობის 10 ფეხბურთელი გავუშვით და ახლები მოვიყვანეთ, მაგრამ გუნდის ჩამოყალიბების პროცესი კარგი ტემპით მიმდინარეობს. ამიტომ, თუ ეს შემადგენლობა შევინარჩუნე და მეც დავრჩი გუნდში, მიმდინარე სეზონშივე სერიოზული შედეგისთვის ვიბრძოლებთ." თემურ მახარაძემ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ აქვს გარკვეული პრობლემები, რის გამოც, შეიძლება "სიონის" დატოვება მოუწიოს, თუმცა ამ პრობლემებზე საუბრისგან თავი შეიკავა. ჩემი მხრივ დავძენ, რომ ამ უდავოდ ნიჭიერ მწვრთნელს, რომლის მსგავსიც საქართველოში ძალიან ცოტა გვყავს, მიზეზთა გამო, ერთ კლუბში დიდხანს დარჩენისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება ჯერ არ მისცემია, რაც ძალზე საწყენია.

"კოლხეთმა", რომელიც "სიონთან" ერთად პირველი ექვსეულის აუტსაიდერად ითვლებოდა, "ტორპედოს" მიყოლებით, ჩემპიონატის ლიდერს, "დინამოს" დააკარგინა ქულები. მატჩი, რომელიც ფოთში გაიმართა, უგოლოდ, ფრედ დასრულდა. უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, თუმცა, პერიოდულად, ზღვისპირელებიც ცდილობდნენ კონტრშეტევების განხორციელებას. ეს ერთი-ორჯერ კარგადაც გამოუვიდათ, თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

დაბოლოს, "შევარდენის" სტადიონზე "ლოკომოტივის" კარში ვიტჯორჯიელი მელქაძის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა, 3 ქულასთან ერთად, ამ გუნდის საჩემპიონო ამბიციებს რეალური საფუძველიც შემატა.

ამ გამარჯვების წყალობით, "ვიტ ჯორჯიამ" სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა და ლიდერს, თბილისის "დინამოს" სულ 1 ქულით ჩამორჩება.

### მესამე ტური

*"ვიტ ჯორჯია" - "ლოკომოტივი" 1:0*
*"კოლხეთი" - "დინამო" 0:0*
*"სიონი" - "ტორპედო" 2:1*

### მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 32 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 31 |
| ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 30 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:3 | 28 |
| სიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 21 |
| კოლხეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:6 | 17 |

# ვალერი ჩოლარია: "მოლაპარაკებებს შუშაკთან 7 აპრილს გავმართავთ"

*"24 საათმა", კომპეტენტურ წყაროზე დაყრდნობით, უკვე გამცნოთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია შეხვდა თბილისის "დინამოს" მეპატრონეს, ბადრი პატარკაციშვილს და განიხილეს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ივო შუშაკის დანიშვნის საკითხი. ამასთან დაკავშირებით გუშინ კომენტარი ვთხოვეთ ფედერაციის გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას.*

მიხეილ აბაიშვილი

- მინდა, წინასწარ გითხრათ: თქმა იმისა, რომ ივო შუშაკი დაინიშნა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, ნაადრევია. მე, მერაბ ჟორდანიამ და ალექსანდრე ჩივაძემ ამ საკითხზე ვითათბირეთ და არ დაგიმალავთ, რომ შუშაკი მთავარი კანდიდატურაა. ხვალ, როდესაც "დინამო" ფოთიდან დაბრუნდება, მას ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს შევთავაზებთ.

**- ადასტურებთ თუ არა, რომ ამ საკითხის შესათანხმებლად მერაბ ჟორდანია შეხვდა "დინამოს" მეპატრონეს ბადრი პატარკაციშვილს?**

- უკეთესი იქნება, თუ ამას თავად მერაბ ჟორდანიას ჰკითხავთ. მე იმ შეხვედრაზე არ ვყოფილვარ, შესაბამისად, არც იმ საკითხების ნუსხა ვიცი, რომელიც შეიძლებოდა ამ შეხვედრაზე განხილულიყო. თუმცა, პირადად მე ადრეც დარწმუნებული ვიყავი, რომ, ჩვენი თხოვნის შემთხვევაში, ბატონი ბადრი ივო შუშაკს "დინამოში" საქმიანობის პარალელურად ნაკრებში მუშაობის დაწყებაში ხელს არ შეუშლიდა.

**- გამოდის, პატარკაციშვილი და ჟორდანია, მართლაც, შეხვდნენ ერთმანეთს.**

- ვერაფერს გეტყვით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი ინფორმაცია არა მაქვს. გუშინ მერაბი აპირებდა პატარკაციშვილთან შეხვედრას. დღეს ჟორდანია არ მინახავს და არ ვიცი, ეს შეხვედრა შედგა თუ არა.

**- ესე იგი, შუშაკის დანიშვნა გადაწყვეტილი არ არის?**

- აუცილებლად შევთავაზებთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რა პირობებს წამოგვიყენებს ხორვატი მწვრთნელი. ისიც სათქმელია, რომ ჩვენც გარკვეული მოთხოვნები გვექნება იმ პიროვნების მიმართ, ვინც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს. თუ ეს ორი პოზიცია შევაჯერეთ, საკითხი დადებითად გადაწყდება.

**- თუ ასე მოხდა, შუშაკს დროებითი მწვრთნელის სტატუსი ექნება?**

- აუცილებლად. ბატონი ივოს დახმარება 2 თვის განმავლობაში, რუსეთისა (30 აპრილს, - რედ.) და ირლანდიის (7 ივნისს, - რედ.) ნაკრებ გუნდებთან მატჩებში გვჭირდება.

**- ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორი თვე ფედერაციას ახალი მწვრთნელის მოსაძებნად სჭირდება.**

- გეთანხმებით. ამ მხრივ უკვე სერიოზულად ვმუშაობთ.

**- იმ შემთხვევაში, თუ შუშაკმა მომდევნო ორ მატჩში რუსეთისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებთან სასურველი შედეგები აჩვენა, ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უფრო დიდხანს ხომ არ დატოვებთ?**

- ამაზე საუბარი ძალიან ადრეა. თუმცა, ალბათ, ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება.

# რა დახვდება ეფენბერგს ყატარში

## შაბათს შტეფან ეფენბერგი ფლორიდაში გაფრინდა

*მას შემდეგ, რაც ექსცენტრულმა "ეფემ" გადაწყვიტა, რომ "ვოლფსბურგს" ტოვებდა, ყველამ იცოდა: "ბაიერნის" ექს-კაპიტანი გერმანიაში დიდხანს აღარ დარჩებოდა. სულ რაღაც ოთხ-ხუთ დღეში "ეფემ" ყველაფერი მოასწრო - ბუნდესლიგიდან წასვლაც, ყატარის ემირის წინადადების მიღებაც და ფლორიდაში გაფრენაც.*

ნინო პირველი

ფრანკფურტის აეროპორტში გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ ვარსკვლავს საკმაოდ ბევრი გამცილებელი ჰყავდა: ნაცნობები, უცნობები, უბრალოდ, გულშემატკივრები. ნახვამდის, გერმანია! მშვიდობით, ბუნდესლიგა! "ბაიერნის" ყოფილი კაპიტანი ამიერიდან ყატარელ ფეხბურთის მოყვარულთა გასართობად ითამაშებს!

რა ელის ეფენბერგს "ნავთობის სამოთხეში"? რამდენად იოლი მოსაპოვებელია ყატარში უზრუნველი ცხოვრება და "ნავთობის მილიონები"? იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენს საერთოდ ფეხბურთი ყატარის მსგავს ქვეყნებში, გერმანული "ბილდი" დაუკავშირდა "ჰამბურგის" ყოფილ თავდამსხმელს, განელ ანტონი იებუას, რომელიც შარშან, ექვსი თვის განმავლობაში, თამაშობდა ყატარის ერთ ერთ კლუბში, რომელსაც "ალ ეტეჰადი" ჰქვია. 36 წლის იებუა ყატარში 2002 წლის მაისამდე იყო. ის დღესაც სიამოვნებით იგონებს "ნავთობის სამოთხეში" გატარებულ დღეებს და ეფენბერგს დოჰაში განცხრომით ცხოვრებას უწინასწარმეტყველებს. "როცა გუნდი აგებს, ეს არავის აღელვებს. მატჩის შემდეგ ფეხბურთელებს ხვევნა-კოცნით აცილებენ, მოგება-წაგება აქ არავის აინტერესებს. მარცხს მაშინვე ივიწყებენ. ფეხბურთი ყატარში, უბრალოდ, ჰობია. ფეხბურთელები აქ მხოლოდ ფულისთვის თამაშობენ", - სიცილით ამბობს იებუა.

რაკი მოგება-წაგება ყველასთვის სულერთია, რა გასაკვირია, რომ არც ვარჯიშებს აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ყატარში ფეხბურთელები, თურმე, დღეში მხოლოდ ერთხელ ვარჯიშობენ, ასე, საღამოს ექვსი საათისთვის. თუ რომელიმე სპორტსმენი ვარჯიშზე არ გამოცხადდება, ეს არავის უკვირს. არც არავითარი სასჯელი არ არსებობს უდისციპლინო ფეხბურთელისთვის... ვერაფერს იტყვი, მართლაც, სამოთხე ყოფილა შტეფან ეფენბერგისთვის, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა ფეთქებადი ხასიათით და ჭირვეულობით. ყატარში "ეფეს" არც წონაში დაკლებას მოსთხოვენ და არც ვარჯიშით მოაკვლევინებენ თავს. ისიც საკმარისი იქნება, კვირაში ერთხელ რომ გამოვა მოედანზე და ვარსკვლავებს მონატრებული იქაური საზოგადოების თვალწინ ბურთს გააგორებს. არც გოლის გატანაა სავალდებულო - ყატარელები იმითაც კმაყოფილი დარჩებიან, რომ ევროპის ერთ-ერთი სახელგანთქმული ფეხბურთელის თამაშის ხილვის შესაძლებლობა ექნებათ. ცნობილი სახელები ყატარში ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ იწვევენ აზიელები უკვე ასაკოვან ვარსკვლავებს. იებუას, რომარიოსა და ეფენბერგის შემდეგ მათ ანდი მიოლერისა და მარტინ მაქსის მიწვევაც სურთ. "ეფენბერგი მეტად პოპულარულია კატარში. აქ ბევრს ახსოვს მისი თამაში ჩემპიონთა ლიგაში. "ეფე" სწორედ ის ვარსკვლავია, რომელიც აქაურ შეიხებს სჭირდებათ. მას, ალბათ, დიდი სიხარულით მიიღებენ", - ამბობს იებუა.

რატომ ხდება ისე, რომ კატარელები მაინცდამაინც გერმანელი ფეხბურთელებისთვის აპირებენ "ნავთობის დოლარების" გადახდას? იმიტომ, რომ, აგერ უკვე ცხრამეტი თვეა, რაც ყატარის ფეხბურთის ფედერაციას გერმანელი სპორტული დირექტორი ჰყავს - მანფრედ ჰიონერი. სწორედ მისი დამსახურებაა ყატარში რომარიოს მიწვევა. ეფენბერგის კანდიდატურაც მან ურჩია შეიხებს. ანდი მიოლერის ჩამოყვანაც მისი იდეა გახლავთ...

ალბათ, იტყვით, რა დროს ყატარია, როცა მეზობელ ერაყში ასეთი რთული ვითარებააო... როგორც ჰიონერი ირწმუნება, ყატარში არც კი იგრძნობა, რომ სულ ახლოს ომი მძვინვარებს. ომი ყატარელთა ცხოვრებაზე, თურმე, არავითარ გავლენას არ ახდენს... ამას გარდა, ყატარის ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადება აგვისტოში იწყება, მაშინ, როცა ჩრდილში 50 გრადუსია და ყატარს მცხუნვარე მზე დაჰნათის. ჩემპიონატის სტარტი კი სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. მანამდე, ალბათ, ომიც დასრულდება და ეფენბერგს, მართლაც, სამოთხეში მოუწევს გამგზავრება...

რაგბი

# ჭაბუკები საფრანგეთში გამოიცდებიან

პაატა თოთაძე

*საქართველოს 19 წლამდე მორაგბეთა ნაკრები პირველი ქართული გუნდი იყო სათამაშო სახეობათა შორის, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვა. მას შემდეგ ასეთი უფლება დიდმა ბორჯღალოსნებმაც მოიპოვეს, პატარები კი პლანეტის უმთავრესი სარაგბო ტურნირის მუდმივი მონაწილენი გახდნენ.*

სამ დღეში საფრანგეთში იწყება 35-ე მსოფლიო ჩემპიონატი. შარშანდელ ტურნირზე ჩვენმა ნაკრებმა მე-10 ადგილი დაიკავა. როგორ მოემზადა გუნდი წლევანდელი შეჯიბრებისთვის და რისი მიღწევა შეუძლია? ნაკრების მწვრთნელთა განცხადებით, გუნდის ამოცანა პლანეტის რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრაა. საამისოდ ქართველი მორაგბეები საფრანგეთში ემზადებიან. გუნდმა ტურში გაიარა ერთკვირიანი შეკრება. ამ ხნის მანძილზე ნაკრებმა ორი მატჩი გამართა. პირველად ქართველთა მეტოქე რჩეული ფრანგი მორაგბეები იყვნენ. გახსოვთ, ალბათ, შარშან საფრანგეთის ნაკრებმა თბილისში ქართველებიც დაამარცხა. ეს მატჩი ფრანგთა ვიზიტის საპასუხოდ გაიმართა და ამჯერადაც მათი გამარჯვებით დასრულდა - 33:10. მეორე შეხვედრა ნაკრებმა "ტურის" ახალგაზრდულ გუნდთან გამართა და გაიმარჯვა - 21:5. ამის შემდეგ ქართველი მორაგბეები მხოლოდ ვარჯიშობდნენ, მეტი თამაში აღარ ჰქონიათ. გუშინწინ კი პარიზში გაემგზავრნენ და ჩემპიონატის პირველი მატჩისთვის, რომელიც 10 აპრილს გაიმართება, იქ მოემზადებიან.


*უელსთან ლელოს მოლოდინში*

ტურნირის ჩატარების სისტემა ისეთია, რომ მიზნის მისაღწევად საქართველოს ნაკრებს პირველი მატჩის მოგება ყოფნის, ანუ ქართველებმა 10 აპრილს უელსის ეროვნული გუნდი უნდა დაამარცხონ. შეჯიბრებაში მონაწილე 16 გუნდი 8 წყვილადაა დაყოფილი. მათ შორის გამარჯვებულები პირველი-მერვე ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას, წაგებულები კი, შესაბამისად, მე-9-16 ადგილებისთვის. გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ნაკრების შემდეგი მეტოქე საფრანგეთისა და კანადის ნაკრებთა მატჩში გამარჯვებული იქნება, დამარცხების შემთხვევაში კი - იმავე წყვილში წაგებული.

დღემდე გამართულ 34 ტურნირში ყველაზე მეტჯერ (19) ფრანგებმა გაიმარჯვეს. საფრანგეთის ნაკრები ახლაც ჩინებული გუნდია და, საკუთარი კედლების ფაქტორსაც თუ გავითვალისწინებთ, წარმატების მეოცეჯერ მოპოვების შანსიც დიდი აქვს. თუმცა, არც ახალზელანდიელები არიან დასავიწყებელნი. ბოლო ოთხი ჩემპიონატიდან კივებმა სამი მოიგეს. იმ ერთში, 2000 წელს საფრანგეთში გამართულ ტურნირში, მასპინძლებმა გაიმარჯვეს. სხვათა შორის, ზელანდიელები და ფრანგები ბოლო ორი წლის ტურნირის ფინალის მონაწილენი არიან და ორივე შემთხვევაში გამარჯვება კივებს ერგოთ.

კრივი

# ქუთაისური შეკრება და ბაკურკვება

*მართალია, ბოლო დროს სამოყვარულოზე მეტად პროფესიული რინგიდან მოსული ცნობები ჭარბობდა თუ ჭარბობს, მაგრამ, იმედი გვაქვს, დიდ საერთაშორისო ასპარეზზე მოყვარულებიც იტყვიან საკუთარ სიტყვას. ამა თუ იმ საერთაშორისო ტურნირზე წარმატება კარგია, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ივლისის მსოფლიო ჩემპიონატზეც პრიზიორთა შორის გავერევით. უმთავრესი ასპარეზობებისთვის მზადების ეტაპი ჩვეული რიტმით მიმდინარეობს.*

ბიბა ბურასაშვილი

საქართველოს მოკრივეთა გუნდი, მთავარი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის ზედამხედველობით, ქუთაისში გადის შეკრებას. მანამდე ისინი ბაკურიანში იყვნენ. ბაკურიანიდან მოკრივეებმა ვარიანში – ნაკრების ძირითად ბაზაზე გადაინაცვლეს. ვარიანის ბაზაზე საერთო ფიზმომზადებას სპეციალური ფიზიკური მზადებაც დაურთეს. ბაკურიანისა და ვარიანის ერთგვარი შემაჯამებელი ეტაპი გახლდათ ამ ცოტა ხნის წინათ დასრულებული წარმომადგენლობითი და პრესტიჟული A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი ბაქოში. აზერბაიჯანის დედაქალაქში ქართველი მოკრივეები მედლებსაც დაეუფლნენ. მედლებისთვის ბრძოლას სტამბულის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირზეც აპირებენ. თურქეთის პერიპეტიებამდე მოკრივეები ტექნიკურ და ტაქტიკურ მზადებას ქუთაისში გადიან. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, თენგიზ მესხაძემ ტელეფონით საუბრისას გვითხრა, ქუთაისური შეკრებით კმაყოფილია. ცხოვრობენ სასტუმრო "ქუთაისში". კვება იმდენად კარგი აქვთ, დაიწუწუნა კიდეც, მეშინია, ბიჭებმა წონაში არ მოიმატონ. გეგმებზე საუბრისას გვითხრა, რომ თურქეთის ტურნირის შემდეგ მაისში, ფოთში, საქართველოს ჩემპიონატი ელით. საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, ივლისში, ბანგკოკის (ტაილანდი) მსოფლიო ჩემპიონატის (4-13 ივლისი) ჯერიც დგება. თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ბანგკოკის ასპარეზობაზე, ჯერჯერობით, გაურკვეველია. ერთი რამ ცნობილია: ტაილანდში ფედერაციის სახსრებით, ალბათ, სამი მოკრივე გაემგზავრება, სამ-ოთხ სპორტსმენს კი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ამოუდგება მხარში.

ძიუდო

# იაპონელი სტუმარი გორის ძიუდოს სკოლას ეწვია

ვასილ გულეური

*საქართველოში იმყოფება იაპონურ-ქართული ასოციაციის თავმჯდომარე კოჯი ოსავა. რამდენიმე დღის წინ სტუმარი გორს ეწვია და მოინახულა კობა კურტანიძის სახელობის გორის ძიუდოს სკოლა.*

როგორც კოჯი ოსავამ „24 საათს" განუცხადა, მისი კავშირი საქართველოსთან დაახლოებით 40 წლის წინ, სწორედ ძიუდოდან დაიწყო. „როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახდა, შევხვდი და მთხოვა, დავხმარებოდი საქართველოს. მაშინ გადაწყდა ამ ასოციაციის შექმნა." ასოციაციის საქმიანობა სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადრება სპორტს ექცევა. სიდნეის ოლიმპიადაზე საქართველოს წარმომადგენლებს ფორმები სწორედ იაპონურ-ქართულმა ასოციაციამ შეუძინა. როგორც ასოციაციის თავმჯდომარემ გვითხრა, ახლაც დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან ათენის ოლიმპიადის სპონსორობაზე. მოლაპარაკება მიმდინარეობს საქართველოში იაპონიის საელჩოს გახსნაზე (ამჯერად იაპონიის საელჩო მხოლოდ ბაქოშია).


*ძიუდოს სკოლის აღსაზრდელები ვარჯიშისას*

სტუმარმა გორის ძიუდოს სკოლას მაღალი შეფასება მისცა, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ეს დარბაზი გაცილებით უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე გორის სპორტული სკოლის ძიუდოს დარბაზი, რომელიც ბიუჯეტის იმედადაა. კობა კურტანიძის ძიუდოს სკოლას დიდი დახმარება გაუწია საერთაშორისო ორგანიზაცია „Mercy Corps"-მა. როგორც სკოლის ხელმძღვანელმა გიორგი თენაძემ აღნიშნა, სწორედ მიღებული გრანტით შეიძინეს ტატამი და სავარჯიშო აღჭურვილობა, რომელიც ამავე შენობაში, ათლეტიზმის დარბაზშია. სკოლაში 250 აღსაზრდელია, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში (რაც სკოლა ფუნქციონირებს) უკვე მოიპოვეს რამდენიმე რესპუბლიკური ჯილდო.

გიორგი თენაძემ და კოჯი ოსავამ ისაუბრეს შემდგომ თანამშრომლობაზე. როგორც აღინიშნა, შესაძლოა, მომავალში მოხერხდეს ახალგაზრდა ძიუდოისტთა გაცვლა - იაპონელი მოზარდები მცირე ხნით საქართველოს ეწვევიან, ხოლო ქართველები - იაპონიას. „ვიცოდი, რომ ძლიერი ოლიმპიელები გყავთ, მაგრამ არ მეგონა, თუ გორში ამდენი ბავშვი ვარჯიშობდა ძიუდოში," – აღნიშნა იაპონელმა სტუმარმა.

შეხვედრას ესწრებოდა „Mercy Corps"-ის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი სტივ პაუერი და შიდა ქართლის ოფისის კოორდინატორი ნინო მძინარაშვილი.

სკოლის აღსაზრდელებმა სტუმრებს საკუთარი საბრძოლო ოსტატობა უჩვენეს.

ჩოგბურთი

# შტეფი გრაფის საიდუმლო

ალბათ, გახსოვთ, მიმდინარე წლის იანვარში როგორი ნაძლევი დაუდო ანდრე აგასიმ თავის მეუღლეს, წარსულში შესანიშნავ ჩოგბურთელს შტეფი გრაფს: თუ აგასი ავსტრალიის ღია ტურნირს მოიგებდა, მაშინ მაისში, როლან გაროსის ტურნირზე, შტეფის აგასისთან ერთად უნდა ეთამაშა შერეულ წყვილთა თანრიგში...

ანდრე აგასიმ მელბურნში გაიმარჯვა და მეუღლეს წაგებული ნაძლევის შესრულება მოსთხოვა, მაგრამ შტეფიმ ჩოგბურთში დაბრუნებაზე ცივი უარი განაცხადა. დიდი ხნის განმავლობაში აგასი ამაოდ ცდილობდა მეუღლის დაყოლიებას, მაგრამ შტეფის კორტებზე გამოსვლა აღარ უნდოდა. სიტუაცია თითქოს ყოვლად უიმედო იყო, მაგრამ...

როგორც გერმანულმა "ბილდმა" აღმოაჩინა, შტეფი, თურმე, ყველასგან მალულად, თითქმის ყოველდღე ვარჯიშობს და ცდილობს, მიაღწიოს იმას, რომ კორტზე ორი-სამი სეტის თამაში არ გაუჭირდეს. ბერლინის ქალთა ღია ტურნირის დირექტორი ებერჰარდ ვენსკი კი-ბისკეინის ტურნირზე შეხვდა გრაფს. შტეფი მეუღლის მხარდასაჭერად იყო ჩასული. ვენსკის სურდა, შტეფის ბერლინის ტურნირზე დალაპარაკებოდა. გერმანული ჩოგბურთის "გრაფინიამ" ძალიან გაიხარა, როცა ვენსკიმ აცნობა, ბერლინის ცენტრალურ კორტს შენი სახელი დავარქვითო. ტურნირის დირექტორმა და ექს-პირველმა ნომერმა ბევრი ისაუბრეს. სწორედ ამ საუბრიდან გახდა ცნობილი, რომ შტეფიმ ისევ აილო ჩოგანი ხელში და ინტენსიურად ვარჯიშობს.


*შტეფიმ საიდუმლო ვერ შეინახა*

რისთვის იწუხებს თავს შტეფი? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ ისევ სპორტულ ფორმაში იყოს? იქნებ მაისში მართლაც აპირებს მეუღლესთან ერთად შერეულ წყვილთა თანრიგში თამაშს? შტეფი გრაფი ამ თემაზე კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს, მაგრამ მის ფანებს იმედი მიეცათ, რომ თავიანთ საყვარელ ჩოგბურთელს ისევ იხილავენ კორტზე...

# სალაყბო

## უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი



ეს დიდი ხნის წინათ იყო.

შინ ამოგანგლული სასკოლო ფორმით, დალილავებული ცხვირ-პირითა და გატეხილი თავით დავბრუნდი. სახლში შესულს ბებიაჩემის ვიშვიში და მამაჩემის მკაცრი მზერა მომეგება.

- ასე ვინ დაგამშვენა?

რაღაცნაირად ვიგრძენი, რომ მამა კი არ მეკითხებოდა, დამცინოდა.

- კიდევ ერთხელ მოხვალ ასე გაფერადებული და ერთ-ორ შტრიხს ჩემგანაც დაიმსახურებ.

წლების მანძილზე არა ერთხელ და ორჯერ გამხსენებია ეს სცენა - ერთი ჩვეულებრივი გაკვეთილი იმ მეცნიერებისა, რასაც ბიჭები პატარაობიდანვე ითვისებენ და რაც მერე კაცობის ერთ-ერთ საზომად იქცევა ხოლმე. უკანასკნელად ეს ზუსტად ერთი კვირის წინ, საქართველო-ირლანდიის მატჩისას გამახსენდა, როცა ერთ-ერთი ირლანდიელი ფეხბურთელი რაღაც პატარა საგნით ხელში მატჩის არბიტრთან მიცუნცულდა.

მერე იყო მსაჯთა და კომისართა აქეთ-იქით სირბილი, ნივთმტკიცების საიმედო ხელში გადაცემა, ალიაქოთი პრესასა და ტელევიზიაში, დამფრთხალი ქართული საფეხბურთო ელიტა, აღშფოთებული ევროპა (ცხადია, ვირტუალურად) და სერიოზულად შეშფოთებული ჩვენი მეზობელი რუსეთი. ერთი სიტყვით, თუ შესაძლებელია, რომ დღეებს რაიმე სახელი უწოდო კაცმა, განვლილ კვირაზე გაშლილი დანის კვირეული იქნებოდა ზედგამოჭრილი.

თითო გიჟი და ოხერი ყველა სოფელს ჰყავსო, იტყოდა ხოლმე ბებიაჩემი.

იმას, რაც იმ ირლანდიელმა ოქლაქმა იკისრა, ჩვენში ერთი მაგარი სიტყვით კი მოიხსენიებენ, მაგრამ გულზე მაინცდამაინც არ მომხვედრია, რადგან ამ ხალხს, ირლანდიელებს ვგულისხმობ, იმდენი მხრიდან ვიცნობ, იმდენი რამ წამიკითხავს და გამიგონია, რომ ერთი კაცის როგორიც გნებავთ საქციელი წარმოდგენას ვერაფრით ვერ შემიცვლის.

და რადგან თითო გიჟი მართლა ჰყავს ყველა სოფელს, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან არც მინდორზე ნატყორცნ ფანქრის სათლელ ჯაყვას გაუკვირვებივარ. ზოგს ღვინო აგიჟებს, ზოგს - ქალი, ზოგსაც - ფეხბურთი. რა მოხდა მერე, განერვიულდა კაცი და, რაც ხელში მოხვდა, ის ისროლა. თქვენ კი რა, ან თეფში არ მოგისროლიათ, ან საყვავილე, ანდა თუნდაც დანა-ჩანგალი?! ყველაფერი შეიძლება თქვან, მაგრამ იმას მაინც ხომ ვერ იტყვიან ქართველებზე, სტუმარს ქვებისა და დანების სროლით ხვდებიანო.

ზოგი ჭირი მარგებელია და მთელ ამ აურზაურს იმას მაინც გამოვრჩით, რომ ჩვენს დედაქალაქს კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა შეემატა. უცხოელი ჟურნალისტების ოპერატიულობის წყალობით, ფოტომ, რომელზეც ზუსტად არის აღბეჭდილი ადგილი, სადაც ის ავადსახსენებლი ჯაყვა დაეცა, მთელი განათლებული ევროპა მოიარა.

ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრავ!

ისე, კაცმა რომ თქვას, მართლა შემრცხვებოდა და იქნებ გავწითლებულიყავი კიდეც, დროზე რომ არ გამხსენებოდა მაიმუნებივით გალიაში გამომწყვდეული ჩვენი ევროპელი ძმები, ჩვენსავით გულდამწვარი ფეხბურთის ქომაგები, რომლებსაც არც მინდორზე გადასვლისა და არც რაიმეს სროლის საშუალებას არ აძლევენ, რაც, ალბათ, დამეთანხმებით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საამისო სურვილი, დროდადრო მაინც, არ მოუვლით ხოლმე.

შეიძლება ვცდები, შეიძლება ვამლაშებ კიდეც, მაგრამ ჯანდაბას... განებივრებულ და განაზებულ ევროპას კიდევ შეიძლება გაუგოს კაცმა, მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ ქვეყანას, რომელმაც წინა საუკუნის სულ რაღაც 30 წელიწადში სამოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე მოინელა; რომელსაც არც ოცდაერთი წელი ახსოვს, არც ორმოცდათექვსმეტი, არც ცხრა აპრილი; ვინ დაიჯერებს, რომ დერჟავას, რომელმაც რამდენიმე კომპლექსიანი კაცის დეგენერატული იდეის გამო მთელი მსოფლიო აამტუტა, კვერცხები, ფრჩხილების საფხეკი დანა და იმ ქვეყნის სტადიონი აშინებს, დღესაც თავისი რომ ჰგონია?!

ახლა კი მთავარზე.

რა ვქნა, დავიჯერო, რომ ქვეყნის სახე, ან, როგორც ახლა ამბობენ, იმიჯი შეიძლება ძირფესვიანად შეცვალოს სტადიონზე ნასროლმა ხუთსანტიმეტრიანმა ჯაყვამ? მაშინ, იმის გათვალისწინებით, რასაც ინგლისელი ფანები სჩადიან, ინგლისი ლოთების, ჩხუბისთავებისა და უსაქმურების ქვეყანა ყოფილა, ირლანდიელები კი - ცივსისხლიანი მკვლელები, რადგან მხოლოდ ასეთს შეუძლია სისხლის დაღვრა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, ჩემსავით ფეხდგომელა რატომ არ ისმენ წირვასო! მაგრამ ეს ხომ სისულელეა. ამიტომაც ვერ გავიზიარებ ჩვენს საერთო ვაიუშველებელს ქვეყნის რეპუტაციასთან დაკავშირებით.

ცხადია, იმაში, რაც წინა კვირას მოხდა, კარგი არაფერია. რა თქმა უნდა, შემიძლია, კიდევ ერთხელ გავიმეორო, თითო გიჟი ყველა სოფელს ჰყავს-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, გული სხვას მეუბნება - ეს უფრო იმედ და მოთმინებადაკარგული კაცის საქციელი იყო.

ალბათ, ყველასთვის ნაცნობია მატარებლის დაძვრის მომენტში წარმოქმნილი ილუზია: ბაქანი შენობებიანად აიდგამს ხოლმე ფეხს და სადღაც გასრიალდება. დღეს ბევრია დარწმუნებული, რომ ლიტვა, ლატვია, ალბანეთი და კიდევ ბევრი სხვა აშკარა პროგრესის გზას დაადგა. დამერწმუნეთ, ეს მხოლოდ ილუზიაა. ერთიც, მეორეცა და მესამეც თავ-თავის ადგილზე დგანან და იქვე დარჩებიან. ეს ჩვენ დავიძარით ადგილიდან, ლივლივით და საფუძვლიანად, ოღონდაც საპირისპირო მიმართულებით. ეს არის და ეს. დანარჩენი ყველაფერი - წიოკობაცა და შიშებიც - ემანდ დისკვალიფიკაცია არ მოგვცენო, თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი. ხალხს ხომ უნდა აფიქრებინონ, რომ ეგეთ რთულ სიტუაციაში, როცა უეფასთან მძიმე ბრძოლები მოგველის, ფეხბურთის ფედერაციის დაწიხვლა უგუნურება იქნებოდა.

ღმერთო ჩემო, რა ნაცნობი ხერხია!

აბა, კარგად!

ასეთი საფეხბურთო და არა მხოლოდ საფეხბურთო უფროსობის ხელში ფეხბურთისა და, საერთოდ, ქვეყნის აყვავებამდე არაფერი გეტკინოთ!

ინფორმაცია

# კენია და მარათონი ერთი ცნებაა

კენიელებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ მარათონული მანძილების ბატონ-პატრონები არიან. პარიზის ტრადიციულ მარათონზეც ფინიშის ხაზთან პირველები კენიელები აღმოჩნდნენ. ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგით დაასრულა ასპარეზობა კენიელმა მაიკ როტიჩმა. როტიჩს გამარჯვებისთვის 2 საათი, 6 წუთი და 32 წამი დასჭირდა. ისე კი, ადვილი შესაძლებელი იყო, გამარჯვება მასპინძელს, შარშანდელი მარათონული გარბენის ტრიუმფატორს, ბენუა ზვერჟიევსკის დარჩენოდა, მაგრამ ამისთვის ფრანგ მორბენალს 4 წამი დააკლდა (2.06,36). მესამე ადგილზეც კენიელია. ვილსონ ონსარემ, ფრანგთან შედარებით ფინიშის ხაზთან 10 წამის დაგვიანებით მიირბინა.

ქალ მარათონელთა შორისაც გამარჯვებული კენიელია. ბეატრის ომვანცამ 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გარბენას 2 საათი, 27 წუთი და 41 წამი მოანდომა. კენიელს ფეხდაფეხ მისდევდნენ იტალიელი და ტანზანიელი მარათონელები. იტალიელმა როზარია კონსალემ ფინიშის ხაზი მეორე (2.27,47), ხოლო ტანზანიელმა ბენუელა მრაშანიმ მესამე (2.29,12) შედეგით გადაკვეთა. მთლიანობაში სტარტზე 30 ათასი მონაწილე გავიდა.

# კატო კომაშია

რომ არა სამედიცინო პერსონალის ოპერატიულობა, სავსებით შესაძლებელი იყო მოტომრბოლელთა იაპონიის გრან-პრი ტრაგედიით დასრულებულიყო. Superbike-ის კლასში მოასპარეზე Honda-ს მრბოლელი დაიჯირა კატო რბოლისას ავარიაში მოჰყვა და თავი, კისერი და მკერდი დაიშავა. როგორც შემდეგ გაირკვა, კატოს ასპარეზობისას გული გაჩერებია. სარბოლო ტრასიდან საავადმყოფოში ვერტმფრენით გადაყვანისას ექიმებმა გული ხელოვნურად აუმუშავეს. ამჟამად იგი კომაშია.

**ციფრული მონტაჟის, ოპერატორის ხელოვნებისა და ფოტო საქმის შემსწავლელი სასწავლო სატელევიზიო ცენტრის სერთიფიცირებულ კურსებზე.**

ტელ: 34-41-15, 34-67-50

etv@ip.osgf.ge

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22


გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადების კუპონი

7.04.03 N-95

## აფიშა

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო საღარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა "ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**გალერეა „სოლოლაკი„**
"შემოდგომის პლენერი გარიყულაში", ხუთი პოლონელი მხატვრის გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
მამია მალაზონიას ნამუშევრების პესონალური გამოფენა

**ჰობი**
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
ანიმაციური ფილმი "ტიხიროს სულების სამყაროში"
დას: 14:00; 16:30 სთ ფასი 5,6 ლარი
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 19:00; 22:00 სთ ფასი 8,9 ლარი

**„რუსთაველი„**
"ტაქსი 3"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
"ჩიკაგო"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან იცვლება 104 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ. 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საძაგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 300 კვ.მ. ახალგარემონტებული სახლი, 3000 კვ.მ. ეზო-ბაღით, 100 ძირი შემოსავლიანი ხეხილით სოფელ გლდანში. 63 29 26, 63 32 39

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## მანქანები

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სხვადასხვა

ახალგაზრდებს გთავაზობთ საოფისე სამსახურს თავისუფალი გრაფიკით. გასაუბრება უფასოა. 41 57 77, 8(99) 58 70 54

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559**

იყიდება მინი კომპიუტერი "CASIOPEIA", ვინდოუსი, ექსელი, "მპ-3", ინგლისურ-რუსული ლექსიკონი. 8(93) 32 09 64

იყიდება 2-ტონიანი მანქანის ამწე და 40-ტონიანი დასაჭირხნი დანადგარი, 2-2 ცალი. 65 85 79

სამრეცხაო სალონი „კრისტალი" გთავაზობს თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა-დაუთოებას, ქიმწმენდას. სოლოლაკი, მაჩაბლის 1. 98 36 34

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**







**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**







## TV პროგრამა 7 აპრილი

### რუსთავი - 2

07.04 07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
19.00 სერიალი „მაშველები"
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „პლუტო ნეშის თავგადასავალი" მთ. რ-ში: ედი მერფი
02.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.40 ანონსი
16.55 ანონსი
17.00 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.15 „რამპა"
17.20 50-50
18.00 „ვესტნიკი"
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გინატები"
18.30 გასტი-ბუზუ
18.50 „მრავალჟამიერ"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.00 „მოამბე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „ნუ გაალვიძებთ მძინარე პოლიციელს"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „სპეკულიანტი" მთ. რ-ში ენდი გარსია
19.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი ბრავო „მწვრთნელი" მთ.როლში რიკი ტომლინსონი
01.40 ფილმი ღამურა „როლერბოლი" მთ.რ-ში ჟან რენო, კრის კლაინი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ლატარია ყველასათვის
21.00 ჯანმრთელობა
21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ეძიეთ ქალი" მე-2 ს.

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „სიყვარულის ფურცელი"
10.20 მხ.ფ. „საიდუმლო"
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „საბედისწერო გასტროლები"
22.40 ბურთი და მოედანი
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „გმირებს ყურები არ ეყინებათ"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ"
13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი მეტრო"
15.00, 21.00 ვესტი
15.30 ფილმის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 „გვარიშვილობა"
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 პირველი ნაბიჯები
23.00 მუსიკალური პაუზა
23.25 ინდური მხ. ფილმი.

### მეცხრე არხი

09.30 მხ. ფილმი „იარაღიანი კაცი"
11.05, 17.20, 17.50, 18.45, 21.55, 23.50 მუსიკა
11.10 მხ. ფილმი „სუპერჯაშუში"
12.50 დოკ. ფილმი „ფოტოროგოტი" მე-7 ს.
13.35 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „დესანტი"
13.50 „ოსტატები"-მელვინე
14.05 „გელისიმო" (გამ.)
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.30 მულტფილმი „კონკია"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
17.45 ლეო და გეო
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 146-ე ს.
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „გადასახადთა ამკრეფი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ.ფ. „ადამიანი-ფარვანა"

### იმედი

17.00, 01.00 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.50 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „ლაბირინთი" მე-11 ს.
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი" მე-11 ს.
20.30 8 1-2 სპორტული პროგრამა „გოლი"
21.00 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი" მე-5 ს.
22.45 კინონოსტალგია „კაპიტანი" (ჟან მარე)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 საბავშვო ფილმი „ჰერცოგი დიუკი"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.15 სათავგადასავლო ფილმი „დათვი"
14.00 მელოდრამა „არასოდეს არ ტირის ჯარისკაცის ქალიშვილი"
16.15 მულტფილმების კრებული
17.30 კომედია „ოპერაცია „ი" და შურიკის სხვა თავგადასავლები"
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.20, 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი"
20.00 ვესტერნი „ომი ველურ დასავლეთში"
23.00 „ალტერნატივა"
00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 თრილერი „ინსტინქტი"
03.30 მელოდრამა „მელვინეთა წესები"

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით)
12.50 კომპიუტერული ტექნიკა
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 კომპიუტერული თამაშები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
20.55 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.30 „კინოკლუბი „ - „იმიტატორი". დეტექტივი. რეჟ: ჯონ ემიელი. როლებში: სიგურნი ვივერი, ჰოლი ჰანტერი.
00.35 მობილურები
01.20 „ბიორითმი"

### OPT

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
13.15 Комедия „ПОЙМЕТ ЛИШЬ ОДИНОКИЙ"
12.10, 17.25, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.40 Следствие ведет Колобков
13.15 Что? Где? Когда? Финал
14.40 Смак
15.00 Путешествие натуралиста
15.30 Док. детектив „Героиновый дед"
16.20 Детектив „ЗЕРКАЛО ТРЕСНУЛО"
18.00 „Большая стирка"
19.25 Шоу Клары Новиковой
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00, 00.30 Время
22.40 „Последний герой-3"
23.45 Независимое расследование
01.10 „Новый день". „По ту сторону жизни"
01.40 „Новый день". Великий герцог Люксембургский
02.10 Апология
03.10 Детектив „БЕГЛЕЦ"
04.05 Худ. фильм „ПОД ВУЛКАНОМ"
06.05 Худ. фильм „ОТНОСИТЕЛЬНОСТЬ"

### НТВ

09.50 Детектив „СЫЩИКИ"
11.00 Сегодня утром
11.25 Команда.ru
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 Экстремальный контакт: Аллигаторы Южной Флориды.
12.35 „Подводный роддом". „Профессия-репортер"
13.05 Детектив „СЛУЧАЙ В АЭРОПОРТУ"
14.40 Криминал
15.05 „Женский взгляд". Э. Быстрицкая.
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.30 „Принцип „Домино"
18.05 Сериал „ГАНГСТЕРСКИЕ ВОЙНЫ"
19.20 „Внимание розыск!"
20.35, 00.20 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
21.50 Сериал „Бандитский Петербург"
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
01.30 Гордон

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*



# მიზეზები შონ ფერერის გასაცნობად



*ოდრი ჰეპბერნი*



*ოდრი ჰეპბერნი და მელ ფერერი*

**"დედაჩემი სულ თან მდევს. მივდივარ მანქანით, თვალს გავაპარებ ზევით და რას ვხედავ – ის საგზაო ნიშნის დაფიდან დამცქერის. ავიღებ ჟურნალს და გარეკანზე მის ფოტოს ვხედავ, საშხაპეში ვარ და უცებ მეორე ოთახიდან მისი ხმა მესმის, თურმე, ტელევიზორი დამრჩენია ჩართული..."** - ამ ტკბილი მოგონებების პატრონი 43 წლის შონ ფერერია, მაღალი, ბრგე სანტა მონიკელი კაცი, რომელიც ერთი შეხედვით სულ არ ჰგავს თავისი ცხოვრების მთავარ ქალს – დედას, ოდრი ჰეპბერნს. თუმცა, როგორც მასთან საუბრის შემდეგ "დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტი მაიკლ შელდენი დაასკვნის, შონს დედამისივით დაწმენდილი, რბილი ხმა და მუქი ფერის, ღრმა თვალები აქვს.

სანამ შელდენი და შონი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ხდება პატარა კურიოზიც. რესტორანში ინტერვიუზე მისული ჟურნალისტი ოფიციანტს ეკითხება, ხომ არ იცის, სად ზის ოდრი ჰეპბერნის ვაჟი. ოფიციანტი უარყოფის ნიშნად თავს იქნევს – ეგეთი აქ არავინ მინახავსო და მაგიდის წმენდას განაგრძნობს. არადა, თურმე, ჰეპბერნის შვილი ზუსტად მის ზურგს უკან დგას. **"არა უშავს, აბა, როგორ მიცნობდით, მე ხომ მამაჩემს ვგავარ. მელ ფერერის გენები ჩემში აშკარად ჭარბობს"**, - იცინის შონი, - **"მაგრამ თქვენ რომ დედაჩემის ოჯახს იცნობდეთ, მსგავსებას ჩემსა და ჰეპბერნებს შორისაც იპოვიდით. ოდრის მხრიდანაც ყველა ჩემსავით ძალიან ბრგე, მაღალი და ძლიერია. ასეთ სანათესაოში დედაჩემს ნამდვილ პრინცესად აღიარებდნენ – ის იყო უფრო ნაზი, ფარფატა და სხარტი, ვიდრე ყველა დანარჩენი ჰეპბერნი ერთად"**.

...შეიძლება, ბევრმა იკითხოს, თუ რატომ აქვეყნებს "დეილი ტელეგრაფი" მელ ფერერისა და ოდრი ჰეპბერნის ვაჟთან ინტერვიუს მაინცდამაინც ახლა. თუმცა, ჰეპბერნის თაყვანისმცემლები მათ უმალ შეაწყვეტინებენ – ოდრი ხომ ის თემაა, რომელიც არასდროს ძველდება, რომელსაც აქტუალობა თავად შეიძლება "მოუგონო" ან არც მოუგონო და, უბრალოდ, გაიხსენო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი. "ტელეგრაფიც" ოდრის გასახსენებლად რამდენიმე მიზეზს "იგონებს". ჯერ ერთი, ახლოვდება მისი დაბადების დღე – 4 მაისს ჰეპბერნი 74 წლის გახდებოდა. და მერეც მეორე – 21 აპრილს ჰეპბერნის ვაჟი, შონ ფერერი მართავს საქველმოქმედო საღამოს, რომელზეც ჰეპბერნის პირადი ნივთების უნიკალური გამოფენა მოეწყობა, ხოლო რამდენიმე მათგანი "სოტბის" აუქციონზე გაიყიდება. კითხვა არც არის საჭირო – შემოსულ თანხას შონი ღატაკი ბავშვების განათლებას მოახმარს – საქმეს, რომელსაც დედამისი სიცოცხლის ბოლო წლებში ერთგულად ემსახურებოდა.

არის კიდევ ერთი მიზეზი შონ ფერერის უკეთ გასაცნობად – გარდა იმისა, რომ ეს, თითქოს, დანარჩენი სანტა მონიკელებისგან არაფრით გამორჩეული კაცი, ძალიან ცნობილი მშობლების შვილია, ის მალე მწერლის ამპლუაშიც მოგვევლინება. შემოდგომაზე გამოვა შონ ფერერის წიგნი "ნაზი სული: მოგონებები ოდრი ჰეპბერნზე" და მკითხველიც საყვარელ მსახიობს გაიცნობს იმ ადამიანისგან, რომელსაც ყველაზე მეტად დაეჯერება: ოდრის ხომ თავის უფროს ვაჟთან ყოველთვის გამორჩეულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა. პროფესიით რეჟისორი შონიც დედის გარდაცვალების შემდეგ სრული განაკვეთით ერთადერთ "სამსახურში" მუშაობს – ის ოდრი ჰეპბერნის საქმეს აგრძელებს და უმცროს ნახევარ-ძმასთან, ლუკა დოტისთან ერთად განაგებს "ოდრი ჰეპბერნის ბავშვთა ფონდს" (33 წლის ლუკა ოდრისა და მისი მეორე ქმრის, იტალიელი ფსიქიატრის ანდრეა დოტის ვაჟია).

შონი დედის ნივთების აუქციონსაც სწორედ ამ ბავშვთა ფონდის გასამდიდრებლად აწყობს. **"დედის გარდაცვალების დღიდან მის თითოეულ ნაქონ ნივთს ვუფრთხილდებით. მის არქივში უამრავ ფოტოს, ტანსაცმელს თუ ხელოვნების ნიმუშს ვინახავთ. ჯერ მარტო ოდრის ფოტო-კოლექცია რად ღირს! დედა ხომ უამრავ ადგილას დადიოდა, იცნობდა მრავალ საინტერესო ადამიანს... თითოეული ნივთი და ფოტო ჩემთვის უძვირფასეს მოგონებებს ინახავს. ამიტომ არ მსურდა არქივის დაკოჭლება. მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ აუქციონზე მხოლოდ ათი ნივთი გამეტანა და შემოსული თანხა ბავშვთა ფონდში გადამერიცხა"**, - ჰყვება შონი.

იმ ათ ნივთს შორის, რომლებიც შონ ფერერმა "სოტბის" აუქციონისთვის "გაწირა", გახლავთ: სესილ ბიტონის სტუდიური და ხელმოწერილი პორტრეტი, რომელზეც ოდრის აცვია კოსტუმი "ჩემი მშვენიერი ლედიდან"; ულამაზესი, ხელით ნაქარგი კაბა, რომელიც ჟივენშიმ ოდრი ჰეპბერნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირისთვის – საბრინასთვის საკუთარი ხელით დაამზადა; ოდრი ჰეპბერნის იმ სკულპტურის ესკიზი, რომელიც ახლა გაეროს პლაზას ამშვენებს; და ბალთუსის ნახატი Paysage de Monte Calvello, რომელიც მხატვარმა მსახიობს 1971 წლის ზაფხულში აჩუქა. ნახატს წარწერაც აქვს: "ეძლვნება საყვარელ ოდრის".

რაც შეეხება წიგნს, ის იქნება ერთგული შვილის გულწრფელი აღსარება დედის შესახებ, რომელსაც – როგორც ბევრი ამტკიცებს – შვილმა კარიერა დაუნგრია. მართლაც, როდესაც ვაჟი შეეძინა, ოდრი კინემატოგრაფის უკონკურენტო ვარსკვლავი იყო. იდგა 1960 წელი და ჰეპბერნი უკვე ჰოლივუდელ ვეტერანად ითვლებოდა. მას ნათამაშები ჰქონდა როლები გერი კუპერთან, ჰემფრი ბოგარტთან და გრეგორი პეკთან ერთად. ოდრი ახერხებდა ყველაფერს – ისე ბუნებრივად ცეკვავდა ფრედ ასტერთან, თითქოს, მხოლოდ ცეკვისთვის ყოფილიყო გაჩენილი, შემდეგ კი თანაბარი წარმატებით, გატაცებით მღეროდა Moon River-ს ფილმში "საუზმე ტიფანისთან"... და აი, გაჩნდა შონი და დედამაც ჰოლივუდი და წარმატებული კარიერა გვერდით გადადო. **"აუტანელი იყო მისთვის იმის წარმოდგენა, რომ ვერ ივარგებდა, როგორც დედა"**, - აცხადებს შონი და დასძენს, რომ ბავშვობა ოდრი ჰეპბერნისთვის, თითქმის, წმინდათა წმინდა ხანა იყო. ეს იმიტომ, რომ მას თავად ჰქონდა რთული ბავშვობა. როდესაც ჰოლანდიაში გერმანელები შეიჭრნენ, ოდრი პატარა იყო, მაგრამ მაინც ახსოვს ნაცისტური მმართველობის სისასტიკე. **"ამ წლებმა, ფაქტობრივად, მთელი მისი ფილოსოფია განსაზღვრეს. სწორედ მას შემდეგ დააფასა ოდრიმ თავისუფლება და შეიზიზღა რადიკალური მთავრობები. ხოლო გერმანელების საქციელი ისე ცუდად ჩარჩა მეხსიერებაში, რომ წლების შემდეგაც შინ გერმანულს არაფერს აჩერებდა. სწორედ თავისუფლებისა და მშვიდობის გამო უყვარდა შვეიცარია. სულ ამბობდა, რომ ეს ადგილი საცხოვრებლად იმიტომ აირჩია, რომ იქ ომისგან ყოველთვის დაცულნი იქნებოდნენ"**, - იგონებს ფერერი.

შონს კარგად ახსოვს ისიც, რომ დედამისს, რომლის სილამაზეზე სხვები არც კი დავობდნენ, საკუთარ მომხიბვლელობაში ხშირად ეპარებოდა ეჭვი: **"მართალია, ძალიან მამაცი გახლდათ, მაგრამ თვითრწმენა აკლდა. არც კი ფიქრობდა, რომ ლამაზი იყო. ალბათ, სწორედ ამიტომაც ის ყოველთვის – ცხოვრებაშიც და ეკრანზეც ნამდვილ ადამიანს ჰგავდა და არა სექს-სიმბოლოს"**. შონიც სახელს – ოდრი ჰეპბერნს ყოველთვის თავგანწირულ, მოსიყვარულე, სამზარეულოში მოფუსფუსე დედას უკავშირებს და არა საქვეყნოდ აღიარებულ ულამაზეს ქალბატონს: **"ის, უპირველეს ყოვლისა, დედა იყო. ქალი, რომელიც ყურის ანთების დროს მივლიდა, რომელიც ძილის წინ ამბებს მიყვებოდა... როდესაც სკოლის ამხანაგები მომყავდა შინ, დედა მაშინვე წინსაფარს მოირგებდა, თმას მაღლა აიწევდა და სამზარეულოში ფუსფუსს მოჰყვებოდა. ყოველთვის უნდოდა, რომ გარშემომყოფებს მიეღოთ ისე, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი დედა და არა ვარსკვლავი. ის ხომ ბუნებით არც იყო ვარსკვლავი, პირიქით, ძალიან უბრალო ქალი გახლდათ. უყვარდა პასტა ტომატის წვენით. ყველაზე დიდი ფუფუნება კი მისთვის სასტუმროში ნომრის აღება და მრავალფენიანი სენდვიჩის შეკვეთა იყო. თუ ამას მოახერხებდა, მორჩა, იმ დღეს უბედნიერესი იყო"**.

ჰეპბერნმა სიცოცხლის ბოლო წლები UNICEF-ს ელჩობას და აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობას დაუთმო. "ომის დროს სომალიში მუშაობდა. შიმშილი, ძალადობა, ჩონჩხადქცეული ბავშვები – იქ ნანახმა დედაჩემი ბოლომდე გაანადგურა. მახსოვს, დამირეკა და მითხრა, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს, ჯოჯოხეთში ვიყავი და უკან ძლივს დავბრუნდიო. სწორედ იქ გახდა ავად. თავიდან გვეგონა, რომ ეს იყო მუცლის ღრუს უბრალო ინფექცია, მაგრამ გაირკვა, რომ კიბო ჰქონდა... ამ საშინელი ამბის თქმა მისთვის მე მომიხდა. არასდროს დამავიწყდება მისი პასუხი. ფანჯარაში მშვიდად გაიხედა და, უბრალოდ, წარმოთქვა: "რა დასანანია". ეს იყო და ეს. კალიფორნიიდან შვეიცარიაში გადავიყვანეთ და რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა"...

ოდრი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თავის ბაღში სეირნობდა, ჩერდებოდა თითოეულ მცენარესთან და რობერტ უოლდერსს უბარებდა, თუ როგორ უნდა მოევლო ყვავილებისთვის გაზაფხულიდან, როცა ის უკვე აღარ იქნებოდა ცოცხალი. უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ კი მისი კუბო სასაფლაოსკენ შონის მამას, მელ ფერერს (ეს არანაკლებ ცნობილი მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერი ახლა 84 წლის გახლავთ და სანტა ბარბარაში ცხოვრობს) და ოდრის ერთგულ მეგობარს ჟივენშის მიჰქონდათ.

"დეილი ტელეგრაფს" შონ ფერერი კიდევ ერთ ტკივილს უზიარებს – მას გული წყდება, რომ დედამისს ძალიან დააკლდა ცხოვრებაში ერთი რამ, რასაც ნამდვილად იმსახურებდა – ეს მოხუცებულობის ტკბილი წლები გახლავთ. უბერებელი ოდრი ხომ 64 წლისა გარდაიცვალა.



## ბახუსისა და ფერწერის ტრიუმფი



გაროფალო "ხარება"

გუშინ დრეზდენში გამოფენა გაიხსნა, რომელიც ამ დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქისთვისაც კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. 3 აგვისტომდე სასახლეში მიბრძანებულ "ბახუსის ტრიუმფის" დამთვალიერებლებს – სწორედ ასე ეწოდება გამოფენას – იტალიური, ფერარას პროვინციის მხატვრობის 40 ნიმუშის ხილვის საშუალება ექნებათ.

სამი საუკუნის განმავლობაში, ფერარაში შექმნილი ფერწერული ტილოების დიდი ნაწილი დრეზდენის ძველი ოსტატების სამხატვრო გალერეის კუთვნილებაა: 1745 წელს საქსონიის კურფიურსტმა და პოლონეთის მეფემ, აუგუსტ III-მ, მოდენადან, დ`ესტეთა სასახლიდან 100 ტილო წამოიღო. მათგან 14 ნამუშევარი გამოფენაზეა წარმოდგენილი.

ეს შედევრები უკანასკნელად "სამშობლოში", ფერარაში, დიდი წარმატებით იყო გამოფენილი – ფერარას ჰერცოგების, დ`ესტეთა საგვარეულო ციხე-დარბაზში ექსპოზიციის სანახავად 60 ათასი ხელოვნების მოყვარული იყო ჩასული. დრეზდენის გამოფენის ორგანიზატორები იმედოვნებენ – და, როგორც ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ, - რომ მათაც არანაკლები მნახველი ეყოლებათ.

"ბახუსის ტრიუმფი" დრეზდენში 2003 წლის უმნიშვნელოვანესი გამოფენაა. მისი ყველაზე ძვირფასი ექსპონატები დოსოსა და ბატისტა დოსის, ჯიროლამო და კაპრისა და გაროფალოს ტილოებია.

გაროფალოს მიერ 1540 წელს შექმნილი შედევრი, "ბახუსის ტრიუმფი", რომელზეც 40 ფიგურაა გამოსახული (ამან განაპირობა გამოფენის ექსპონატების რაოდენობაც), ფერარას პროვინციის ფინანსური დახმარებით საგანაგებოდ ამ გამოფენისთვის იქნა რესტავრირებული.

## დღესასწაულის მოლოდინში

მოდების სახლი "მისონი" უკვე სამზადისს იწყებს: სექტემბერში მას 50 წელი უსრულდება, ასეთი თარიღი კი, მოგეხსენებათ, სახუმარო ამბავი არაა.

"სექტემბერში, მოდის კვირეულის დროს, მილანში ფართომასშტაბიანი აქციის მოწყობას ვაპირებთ," თქვა "მისონის" წარმომადგენელმა. "გასული წლების ყველა კოლექციის რეტროსპექტიულ გამოფენას მოვაწყობთ, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, შემდგომ ნიუ იორკშიც გაიმართება".

"მისონი" ტაი მისონიმ დააარსა. ის სპორტსმენი იყო, ტანად მაღალი, და მთელი ცხოვრება ტანსაცმლის შერჩევა უჭირდა. მისი მეუღლის, როზიტას ოჯახს ნაქარგობების ფაბრიკა ჰქონდა. მათ გაცნობისთანავე მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს და მოდის სახლის დაარსება გადაწყვიტეს. ამ წყვილმა იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოჯახური მოდის სახლის შექმნა შეძლო.

1997 წელს ცოლ-ქმარმა თავიანთი საქმე შვილებს გადასცა. ამჯერად მათი ქალიშვილი, ანჯელა, ქალთა ტანსაცმელზე ზრუნავს, მამაკაცების სამოსი და მარკეტინგის განყოფილება კი ვაჟს, ვიტორიოს აქვს ჩაბარებული.

50-ე წლისთავი მხოლოდ წარმოების იუბილე როდია. ფირმის დამაარსებლებიც 50 წლის წინათ დაქორწინდნენ, ამიტომ წლევანდელი ზეიმი განსაკუთრებით სასიხარულოა და, შესაბამისად, განსაკუთრებით დიდებული იქნება.




## კროსვორდი



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

**ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში**



9 აპრილს, 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე

2003-2004 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37ა
(ახალი ეკლესიის უკან). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
ტელ: 22 74 41 22 78 89

20%-იანი ფასდაკლება კუპონით

პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე - "Discover Georgia"

43 ვიდეო ჩვენება, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი ტექსტი

DIGITAL ENCYCLOPEDIA ON GEORGIA




NeoMedia

მხოლოდ 33 ლარად!

ადგილზე მიტანით

დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!

**წამალი "სალხინო"**

**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.